

# ნიშნისა და სივრცის




საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია \* LITERATURULI SAQARTVELO \* ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАРТВЕЛО

21 თებერვალი, 2014 წ. №7 (3693) ბათუმის 78-ე წელი ღირსი 1 ლარი

თამაზ ნივნივაძე

## ჯერ ვარდები, მერე ნებსები!

ვარდთა და ნებსთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების...  
რუსთაველი



წინამდებარე წერილი ქვეყნის სათავეში სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლიდან დაახლოებით წლისთავზე დაიწერა! ამის მიუხედავად, ამ გიჟის მმართველობის მთელი ეს პერიოდი ისეთი სიზუსტით მაქვს აღწერილი, გეგონებათ, ხელში აფთიაქარის სასწორი მჭეროდეს!

**ძვირფასო თანამემამულენო!**  
ჩვენს ტურფა საქართველოში ახლა ვარდების ბუჩია!  
ორიოდე დღეში ვარდობისთვეც დაგვიდგება და ამ თვისთვის დამახასიათებელი კარგი ამინდიც!  
და, რაც მთავარია, ქვეყანაში ჯერაც ვარდების რევოლუციის სურნელი ტრიალებს!  
ერთი სიტყვით, კარგი რამ არის ვარდი! მით უმეტეს, ვარდობისთვეში და ვარდების რევოლუციის სამშობლოში, ე. ი. საქართველოში!

ოღონდ ჭკვიან ქართველებს არც ეს უნდა დაგვა-  
ვინყდეს – როგორც ყველა ყვავილს, ფესვები ვარდ-  
საც ნებსში უდგას!  
კიდევ უფრო ზუსტად, ნებსში და ნაგავში!  
ამის გათვალისწინებით, რა თვალწარმტაცადაც არ უნდა გამოიყურებოდეს ვარდების რევოლუცია, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ადრე თუ გვიან მაინც მის ფესვებთან (ე. ი. ნებსთან და ნაგავთან) მოგვი-  
ნევეს დაბრუნება!  
როგორც ჩანს, ეს დროც ნელ-ნელა დგება!  
ყოველ შემთხვევაში, დღეს უკვე ვარდის სურ-  
ნელს რალაც უსიამოვნო სუნიც ერთვის!  
შეიძლება, ამ მძაფრ სუნს ჯერ ყველა ვერ  
გრძნობს, მაგრამ ამას მე ვინ გამომაპარებს!  
სწორედ ამიტომ არის, თავს რომ არ ვზოგავ და  
ვცდილობ, ვიდრე ეს უსიამო სუნი მთლად სიმყრა-  
ლეში არ გადაზრდილა, საქართველოს მოსახლეო-  
ბაც გამოვალვიძო!  
რასაკვირველია, ამისი გამოცდილება მაქვს –  
ჯერ კიდევ კომუნისტების მმართველობის დროს  
ჩემი შეძახილი – „გაიღვიძე, გრიშა ბიძია, დეპოში  
ვართ!“ ცაში ღმერთს ანუხებდა.  
რაკი ამ შეგონებამ არ გაჭრა, ახლა, სააკაშვილის  
ხელისუფლების პირობებში, ჩემი ქმედება კიდევ  
უფრო გავამძაფრე და მოსახლეობის გამოსაფხიზ-

ლებლად აღარც სიმბოლური პალოს გამოყენებას  
ვერიდები!  
გახსოვთ, ალბათ, ამასწინათ „ლიტერატურუ-  
ლი საქართველოს“ მკითხველებს თურქი მწერლის,  
აზიზ ნესინის მოთხრობა შევთავაზე – „პალო, რო-  
მელიც მეფეს გაერჭო!“  
მე ეს პალო არაფერში მჭირდებოდა, გარდა იმისა,  
ქვეყნის ხელმძღვანელობა, მისი ქვეშევრდომები და  
მთელი ქვეყანაც რომ გამეფრთხილებინა: ვინც ცუ-  
დად მოიქცევა, ეს პალო არც ერთს არ აცდება-მეთქი!  
ერთი სიტყვით, იმის თქმა მინდოდა, რომ პალო  
შეერჭობა ყველას, ვინც მას დაიმსახურებს!  
არადა, ჩემი მხრიდან ქართველი ხალხის გა-  
მოსალვიძებელი „პრეპარატების“ ძიება კვლავაც  
გრძელდება!  
ამჯერად გთავაზობთ რუსი მწერლის, ლუდმილა  
პეტრუშევსკაიას მცირე მოცულობის ნაწარმოებს  
(„ვარდი“), რომლის სახელდასახელო თარგმნაც ჩემს  
ძვირფას მეგობარს ჯუმბერ თითმერიას ვთხოვე!  
ამ მოთხრობაში კი – ქართველების გასაოცრად!  
– ყველაფერი ისეა აღწერილი, თითქოს მწერალ  
ქალბატონს საქართველოში ვარდების რევოლუცი-  
ისა და შემდგომდროინდელი მოვლენები საკუთარი  
თვალთ ენახოს!..  
აბა, ნახეთ – საოცარია, ღმერთმანი!..

## ვარდი

ლუდმილა პეტრუშევსკაია

ერთ კაცს უცებ ვარდით სა-  
ამური სუნის ფრქვევა დაეწყო. და  
ამასთან უკვე არაფერი გაეწყობო-  
და, ის მალაზიში შევიდოდა თუ არა,  
ყველანი იმავ წამს ჩერდებოდნენ,  
ჰაერს იყნოსავდნენ და გაიძახოდ-  
ნენ:  
– ვარდების სუნი დგას, თითქოს  
ვარდნარში მოვხვდითო.  
და, ვიდრე მალაზიიდან ეს კაცი  
არ გავიდოდა, არავის არც არაფრის  
ყიდვა არ შეეძლო, ყველანი იდგნენ  
და თვალეზრებულნი იყნოსავდ-  
ნენ ამ სუნს.  
მაგრამ თუ ეს ადამიანი მოუ-  
ლოდნელად აცხადებდა, რომ ასეთი  
გასაოცარი სუნი სწორედ მას ასდის,  
მას ყველანი ეცლებოდნენ ან უბრა-

ლოდ არავითარ ყურადღებას არ  
აქცევდნენ და განაგრძობდნენ ვარ-  
დების სუნის შესუნთქვას.  
და ეს ადამიანი, სადაც არ უნდა  
მისულიყო, მას არავინ უჯერებდა,  
ყველანი მის ირგვლივ მიმობრძო-  
ნენ და ეძებდნენ, თუ სად იყო და-  
მალული ვარდები, მას კი არავითარ  
ყურადღებას არ აქცევდნენ.  
ამ ადამიანის სახლში კი სულ  
სხვა რამ ხდებოდა: ყველას ძალი-  
ან მობეზრდა ვარდების სუნი. ხომ  
ყველას შეიძლება მობეზრდეს, თუ

სახლში მთელი წლის განმავლობაში  
რალაცის ძლიერი სუნი დგას.  
ამას გარდა, მეზობლები ხარ-  
შავდნენ შჩის ან სოკოს წვნიანს, ან  
კიდევ კატლეტებს წვავდნენ – და  
ყველაფერ ამას ვარდების სუნი ას-  
დიოდა.  
ყველა მეზობელი ამბობდა, რომ  
მათთვის ცხოვრება აუტანელი გახ-  
და.  
– ვერა და ვერ გავგიგია, – ნუნუ-  
ნებდნენ დიასახლისები, – გუშინდე-  
ლი წვნიანი ამჟავდა თუ რა: ვარდე-

ბის სუნი ასდის და მორჩა. ეს არის  
და ეს.  
სახლში ძალიან გამრავლდნენ  
თაგვები, რადგან კატები სუნით ვერ  
არჩევდნენ მათ – კატებსაც ვარდე-  
ბის სუნი ასდიოდათ.  
ბოლოს ამ ბედკრულმა კაცმა გა-  
დანყვიტა ბოტანიკურ აკადემიაში  
მისულიყო: იმედი ჰქონდა, რომ იქ  
გაერკვეოდნენ იმაში, რაც მის თავს  
ხდებოდა.  
და მართლაც, ბოტანიკურ აკა-  
დემიაში მას მაშინვე შემოეხვივნენ  
პროფესორები, სინათლისკენ შე-  
აბრუნეს და კამათი დაიწყეს იმაზე,  
▶▶ დასასრული მე-2 გვ.

პირველი გვერდიდან

ვარდი ყვითელი იყო თუ თეთრი. პროფესორები დიდხანს კამათობდნენ იმიტომ, რომ ვარდის ფერზე იყო დამოკიდებული ამ ვარდის მოვლა.

ბოლოს პროფესორებმა გადაწყვიტეს, რომ ის კაცი თეთრ-ვარდისფერი ვარდი იყო და უთხრეს მას, რომ ჩარგავენ პატარა ქოთანში, ანუ კოჭობში, რათა შემოწმდეს, თუ რომელი სასუქი უფრო მოუხდება და რითი ჯობს მისი მორწყვა.

ეს კაცი, უნდა ითქვას, ასეთმა საყოველთაო ყურადღებამ პირდაპირ გაფურჩქნა. იგი სიამოვნებით დათანხმდა პროფესორებს, რომ ის ქოთანში ჩაერგოთ და წვრილი თოკით მიებათ გრძელ ჯოხზე, იმიტომ, რომ მეცნიერებმა აუხსნეს,

რომ სხვაგვარად შეიძლებოდა ის ძირს გართხმულიყო. მას, როგორც ყველა თეთრ-ვარდისფერ ვარდს, დღეში სამჯერ რწყავდნენ რალაც მღვრიე წყლით, ასე რომ, ყოველდღე უსველდებოდა ფეხები და ის, ბოლოს და ბოლოს, გაცივდა და ჩანვა. წვრილი თოკი, რომლითაც ის მაგრად იყო მიბმული ჯოხზე, ნამდვილად გულდაგულ იკავებდა მას. პროფესორები ყოველ ნახევარ საათში სინჯავდნენ და ბოლოს ამ ადამიანს თეთრ-ვარდისფერი ვარდის ნაცვლად წითელი ვარდი შეარქვეს, რადგან ის სურდომ გაანითლა.

მაგრამ, როცა სურდოს წერტილი დაესვა, პროფესორებმა ისევ გასინჯეს და ვერაფრით ვერ გაიგეს, თუ ახლა რა ფერისა იყო ეს ვარდი, იმ-

სჯელეს, იმსჯელეს და განაცხადეს, რომ მათ გამოიყვანეს ახალი ჯიში – მკრთალ-ვარდისფერი უსუნო ვარდი.

იმიტომ, რომ მკურნალობის დროს მან თავისი სუნი დაკარგა.

პირველ ხანებში ამ კაცს ეშინოდა, რომ მას კინისკვრით გააგდებდნენ იქიდან, მაგრამ მისი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა: მის სანახავად მოჰყავდათ უცხოელი და თანამემამულე ექსკურსანტები და მართავენ გასვლით ლექციებს, რომლებზე დასასწრებადაც ის ქოთანს მაგრად ჩაბლაუჭებული მიეშურებოდა. თანდათან ეჩვეოდა იმას, რომ არაფრისა შინებოდა, ცივი წყლით მუდმივი რწყვა მას აკაჟებდა, სუნის გამოცემად კი სუნამო „კრასნაია მოს-

კვას“ ისხურებდა. ინტერვიუებში, რომელთა მიცემაც დაიწყო გარკვეული ხნის შემდეგ, სიამოვნებით იგონებდა იმ დროს, როცა არავის სჯეროდა, რომ ვარდის სუნი მას ასდოდა და იმ სახლიდანაც აგდებდნენ, სადაც ცხოვრობდა. ერთადერთი რამ, რაც არ უყვარდა, ის იყო, რომ მას ნეხვით აპატივებდნენ, კვებავდნენ, მაგრამ ყვავილები ნება-მორჩილი არსებებია და მას ყვავილის ცხოვრების ატანა უწევს.

რამდენადაც ნამდვილ ყვავილებს ნაგავში უდგათ ფესვები და ისე იკვებებიან.

თარგმნა

ჯუშუბარ თითხარია

„ლ.ს.“ რედაქტორის მინანერი:

(ვარდების თემის გაგრძელება)

ძვირფასო თანამემამულენო!

დამეთანხმებით, ალბათ, მართლაც საოცარი მოთხრობაა და თანაც მეტისმეტად ტრაგიკული!

ყოველ შემთხვევაში, ვინ წარმოიდგენდა, რომ იმ კაცს, ვისაც უეცრად „ვარდივით საამო სუნის ფრქვევა დაეწყო“ და ისეთი პირი უჩანდა, თითქოს მთელი სიცოცხლეც ბედნიერებაში უნდა გაეტარებინა, ბოლოს და ბოლოს, თავად ეს ცხოვრებაც კი სატანჯველად ექცეოდა!

არადა, თავიდან მართლაც რა ილბლიან ვარსკვლავზე გაჩენილა!

ჯერ იყო და, სრულიად მოულოდნელად, ვარდივით საამო სურნელის ფრქვევა დაეწყო!

მერე კიდევ მის სიახლოვეს მოხვედრილ ხალხს მუდამ იმის შეგრძნება ჰქონდა, თითქოს პირდაპირ ვარდნარში მოხვედრილიყო!

შემდგომ ამისა, ეს ადამიანი სადაც უნდა მისულიყო, ყველანი მის ირგვლივ მიმორბოდნენ და ეძებდნენ თუ სად იყო დამალული ვარდები, რომლის საამო სურნელიც ამ კაცის სხეულს საკმეველივით ასდოდა!

და გასაკვირიც არაფერია, ასეთმა საყოველთაო ყურადღებამ და სიყვარულმა ეს კაცი ვარდივით თუ გაფურჩქნა!..

(ძვირფასო მკითხველო. თქვენი არ ვიცი, მე კიდევ ეს კაცი ჩვენი ხელისუფლებიდან ვილაცას მაგონებს!)

გადის დრო და ყველაფერ ამას გვირგვინად კიდევ ერთი სასწაული – ვარდების რევოლუცია მოჰყვა!

ერთი სიტყვით, ის კაცი, ვის გვარსაც მე აქ შეგნებულად არ ვასახელებ, ისეთი ალტკინებული და ალტაცებული გახლდათ საკუთარი ბრწყინვალე გამარჯვებებით, რომ მინას ფეხს აღარ აკარებდა!

სხვათა შორის, არც სჭირდებოდა – დღედაღამ თვითმფრინავებში იჯდა და ისეთივე თავგანწირვით ურტყამდა დედამიწას „კრუგს“, როგორც ფარვანა სინათლის წყაროს!..

არც იმის დრო რჩებოდა, ლიბრის გადასანმენდად თვალებამდე თითი მიეტანა – მისი ხელის ყოველი გაქნევა ცხვირთან მთავრდებოდა!

და, თურმე, უბედურებაც ცხვირწინ ელოდა!..

\*

ეს უბედურებაც წლისა თუ წლინახევრის შემდეგ დაიწყო!

სილატაკის ზღვარზე მისულ მოსახლეობას მალე მობეზრდა ვარდების სურნელი და ან უკვე ვარდის სუნს თონიდან ახლად ამოყრილი შოთი პურის სუნი ერჩია!

ცხადია, ასეც იყო მოსალოდნელი, მით უფრო, თუ სახლში მთელი წლის განმავლობაში რალაცის ძლიერი სუნი დგას!

ასე რომ, ვარდის სუნთან ერთად ცხოვრებაც დღითი დღე აუტანელი ხდებოდა!

როგორც ჩანდა, ამდენმა ვარდმა და ამ ვარდის იმედად ყოფნამ ქვეყანაში მართლაც აუტანელი ვითარება შექმნა!

მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უიმედობამ მოიცვა!

„ვერა და ვერ გაგვიგია, – ნუნუნებდნენ დიასახლისები, – გუშინდელი წვნიანი ამჟავა თუ რა: ვარდების სუნი ასდის და მორჩა!..“

„სახლში ძალიან გამრავლდნენ თავგები, რადგან კატები სუნით ველარ არჩევდნენ მათ – კატებსაც ვარდების სუნი ასდოდათ...“

ეს აუტანელი ვითარება კი ნელ-ნელა სახლიდან სახლში, ქუჩიდან ქუჩაში, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა და, ბოლოს და ბოლოს, ყველა ხვდებოდა, რომ ასეთ ქვეყანაში ცხოვრება აღარ შეიძლებოდა!..

ამას კიდევ ხელისუფლების სისასტიკეც ემატებოდა...

რასაკვირველია, ვინც ეს ხალხი ამ დღეში ჩააგდო, ვერც ის ადამიანი იგრძნობდა თავს უკვე კარგად!

ქალბატონი პეტრუშევსკაიაც წერს:

„პირველ ხანებში ამ კაცს ეშინოდა, რომ მასაც კინისკვრით გააგდებდნენ ქვეყნიდან...“

მაგრამ მწერალმა ქალბატონმა თავისი გმირი დაზოგა, ქვეყნიდან არ გააძევა, თუმცა ხალხის უსაფრთხოების მიზნით, „ქოთანში ჩარგული და გრძელ ჯოხზე წვრილი თოკით გამობმული“ ჰყავდა!..

ერთი სიტყვით, ჯერ მისგან სამუზეუმო ექსპონატი შექმნა!

მერე კიდევ, ეს კაცი, როგორც ნაშთი ძველი დიდებისა, რალაც სასარგებლო საქმისთვისაც ხომ უნდა გამოეყენებინა?

ჰოდა, მოთხრობის ავტორმაც იმდენი ქნა და ისეთი ბიზნესგეგმა შეადგინა, რომ ეს კაცი ქვეყ-

ნის მოსახლეობისთვის მის მიერვე მიყენებული ზარალის კომპენსაციის წყაროდ აქცია!..

როგორც ქალბატონი ლუდმილა წერს:

„მის სანახავად მოჰყავდათ უცხოელი და თანამემამულე ექსკურსანტები და მართავენ შოუკონცერტებს!“-ო.

ბოდიშს ვიხდი, ასე მე ნამცდა, თორემ ქალბატონ პეტრუშევსკაიას ამ ადგილას „შოუკონცერტების“ ნაცვლად „გასვლითი ლექციები“ უწერია!

თუმცა, ამ შემთხვევაში მთავარია, ქვეყნის ხაზინას შემოსავლის წყარო რომ გაუჩნდა და, არა მგონია, რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს, შოუკონცერტების გამართვით მოახერხებენ ამას თუ გასვლითი ლექციების ნაკითხვით!..

ეს ჩვენი გმირიც, უკაცრავად, მწერალი ქალბატონის მოთხრობის გმირი, თავის ახლანდელ მდგომარეობასაც ადვილად შეეგუა და, რაკი ცოცხალი დატოვეს, იმ ქოთანში ჩარგულიც კარგად გრძნობდა თავს, რომელშიც წვრილი თოკით გრძელ ჯოხზე ხალხის საჩვენებლად ჰყავთ გამობმული!..

ოღონდ ეს კი იყო, მარადიული სისველისთვის გაჩენილი მისი ცხვირი უსიამოვნო სუნს მხოლოდ მაშინ იკრავდა, როცა, როგორც ყვავილის საკვებ საშუალებას, რამდენიმე ვედრო ნაკელს ყოველდღიურად ფეხებზე აყრიდნენ!

ყოველივე ამას კი ქალბატონი პეტრუშევსკაია სიტყვასიტყვით ასე გადმოგვცემს:

ამ კაცსო – თავისი მოთხრობის გმირზე ამბობს, – „ერთადერთი რამ, რაც არ უყვარდა, ის იყო, რომ მას ნეხვით აპატივებდნენ და კვებავდნენ“-ო.

და იქვე აზუსტებს:

„მაგრამ ყვავილები ნება-მორჩილი არსებებია და მასაც ყვავილის ცხოვრების ატანა უწევდა“-ო!

მე კიდევ, ძვირფასო თანამემამულენო, ამ სარედაქციო ჩანაწერსაც ასე კობხდა დავამთავრებ:

რაკი, ქალბატონი ლუდმილას აზრით, „ნამდვილ ყვავილებს ნაგავში უდგათ ფესვები“, ამ ჩვენი დროის გმირსაც, როგორც ყოფილ ვარდს, სამომავლოდ ასეთი ცხოვრების ატანაც მოუწევს!..

დაილოცოს შენი სამართალი, ღმერთო!..

პატივისცემით

თაბაზ ნიზნიჰაიკი –

ვარდების თემის ერთ-ერთი სპეციალისტი

„ლიტერატურული საქართველო“, № 16, 29 აპრილი, 2005 წ.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია და გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“ რედაქცია იუნყებია, რომ მწერალ მამუკა დოლიძეს გარდაეცვალა დედა, ცნობილი კომპოზიტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

**მერი დავითაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია და გაზეთ „ლიტერატურული საქართველო“ რედაქცია იუნყებია, რომ გარდაეცვალა გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი

**აკასალომ ვეკუა**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საბავშვო გამომცემლობა „დილა“ იუნყება, რომ გარდაეცვალა გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრი

**აკასალომ ვეკუა**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**კარლია ლექსრომტი**

– მეტროს კარივით ყოფილა  
თურმე სიკვდილის კარები:  
ახლოს თუ მიდი, კარები  
იქაც თავისით იღება! –  
ახლოს თუ მიდი სიკვდილთან,  
კარი თავისით იღება...

დიდი ოხერი ვილაცა  
არის, ძვირფასო, სიკვდილი! –  
რაც მაგან აგერ, ჩვენს თვალწინ  
ინკმუტუნა და იყეფა...  
ნამით რომ მიუახლოვდე –  
კარი თავისით იღება...

ის ცოფიანი ურჩხული...  
მეც შევასწარი თვალი და  
გავოცდი – რომ არ ველოდი,  
მაინც და მაინც იქ ება...

არ გინდა! ახლოს ნუ მიხვალ! –  
კარი თავისით იღება!

როგორც ეს მეტროს კარები –  
იქაც თავისით იღება...

●  
პაემანს რომ არ აცდენდი  
და ქეიფს რომ არ აცდენდი,  
რას ფიქრობენ ახლა შენზე  
შენი გული, მისი სტენდი...  
აქეთ – გული, იქეთ – შხამი,  
იქეთ – ცეცხლი, აქეთ – დენთი...  
რით უშველი სხეულს დალილს,  
რას უპირებ სულს მოთენთილს...  
ხომ იყავით მუდამ წყვილი,  
როგორ გახდი ახლა კენტი...  
ნეტა მორჩეს... ნეტა მალე  
ჩაიშალოს გულიც... სტენდიც...  
კაპიკი არ ედო ფასი,  
მისი ფასი გახდა ცენტი...  
ნამონეტი და იკითხე  
ახალმოდის უიქენდი!  
ყოფილიყავ აზნაური,  
იქნებოდი ახლა დენდი!  
...  
სცადე – იქნებ სიკვდილის წინ  
პოეზიის გახდე ბრენდი...

●  
გადასწია ღამემ ფარდა  
და ახალი დღე ჩაგვბარდა!  
რად გინდა, რა! – რა უშველის  
ჩვენს ქვეყანას – ნამდვილ ბარდაკს...

ეს აზრი აქვს ალბათ ყველას  
ასი ნაძირალას გარდა!  
... ღვთისმშობელმა საქართველო  
ზარდა, ზარდა – ვერ გაზარდა...

**უპინარი ლექსი**

ხელში ჩავიგდე სიჩუმე  
ძლივს. ბოლოს, როგორც იქნა...  
არ გინდა? – იქცე სიჩუმედ –  
უმშვენიერეს წიგნად...  
აღარც ყაყანი, ბუზღუნი,  
ჩურჩული, ლანძღვა, ლიქნა...  
ჩამოდგა დიდი სიჩუმე,  
ძლივს. ბოლოს, როგორც იქნა...

რაც მე იმ მღვრიე ცხოვრებამ  
და იმ ხმაურმა მიქნა!  
გამეფდა დიდი სიჩუმე!  
ძლივს. ბოლოს. როგორც იქნა...  
აღარც ის კატა მიკნავის,  
აღარ მიკნავის, მიკნა...  
მთლად სიკვდილივით სიჩუმე  
ჩამოდგა, როგორც იქნა...

დუმს თხა, პოეტის საფლავზე  
ბალახები რო კიკნა...  
მარადიული სიჩუმე.  
ძლივს. ბოლოს, როგორც იქნა...

**ჩვენი ბირჟა...**

თუმცა ვიცი, რომ მთლად უმიზეზოდ,  
გულს რომელიმე უთუოდ მატკენს –  
გული რატომღაც,  
გული სულმუდამ,  
გული ყოველთვის მიმინევს მათკენ!

შევხვდე თუ არა, ან სად და რისთვის –  
გეგმებს წინასწარ არასდროს ვადგენ!  
გული ყოველთვის,  
გული რატომღაც,  
გული სულმუდამ მიმინევს მათკენ!

ვინ – უარესი,  
ვინ – უკეთესი –  
ვერ გამოვარჩევ ვერავის მათგან! –  
მე ერთნაირად მიყვარს ისინი  
და გული მუდამ მიმინევს მათკენ!

არიან მათში ნაღდად ტიპები –  
მიზეზს ვერ გეტყვი – გვერდით რო ვადგენ!  
ნაწყენობისას არ ვიკვლევ მიზეზს –  
მე გული ისევ მიმინევს მათკენ!

ანდა ისინი – მე, გულგაბზარულს,  
იქ, კლინიკაში, თავზე რო ვადგენ –  
მე, რა თქმა უნდა, ეს გაბზარული  
გული ყოველთვის მიმინევს მათკენ...

**ზაფხული.  
პოეტი კითხულობს პოეტს...**

პოეტებთან საუბარი გავაბი –  
ვისაუბრეთ, როგორც კაცებს შეფერის! –  
ჯერ სათქმელი მოვახსენე კავაფისს,  
მერე კიდევ – ისევ ბერძენს – სეფერისს...  
– მეც მოვკვდები, როგორც პოეტს შეფერის!  
– პოეტს? მაინც რომელს?  
– თუნდაც სეფერისს,  
თუმცა, თვითონ სეფერისის არ იყოს,  
სიკვდილისთვის ვარ საკმაოდ ბებერი! –  
როგორ მოვკვდე, როგორც პოეტს შეფერის...

ვერ მოვკვდები, როგორც პოეტს შეფერის!  
მე მოვკვდები, როგორც კვდება ბებერი...

... ვზივარ, ვფურცლავ კავაფისს და სეფერისს...


კიდევ კარგი, ქრის ქალაქში ზეფირი...

●  
ორ ცალხელასაც შეუძლია, დაუკრან ტაში,  
მაგრამ უკრავენ? არ უკრავენ,  
არ უყვართ ტაში!  
... ორი ცალხელა ვიცი აგერ –  
ბიჭი და გოგო! –  
ნაღდად არ გამომერჩევინ  
ძმაში და დაში!

●  
წელს, ერთხელ მაინც, მინდა ვესტუმრო  
ჩემს უსაყვარლეს სუფსას... ტაბანათს...  
მარტო ის რად ღირს – სუფსის ხან მღვრიე,  
ხან – ბროლის წყალში ტანის დაბანა...  
ვნახო ადგილი, დღისით ან ღამით,  
მდინარე შავ ზღვას რომ უერთდება,  
და ვნახო, სანამ დამდგარა ჟამი –  
სიცოცხლე სიკვდილს რომ უერთდება...

**ლექსრომტი-პანეპირიკი**

ტვირთს, რომელსაც რუსთაველი  
ასწევს,  
ჩვენ ვერ ავწევთ, ყველა ერთად,



**ტარიელ ჭანტუშია**

ას წელს!  
მარტოკაცი – ის გათიბავს  
იმდენს, რაც არაფრით შეუძლია  
ას ცელს!  
უკვე მეცხრე საუკუნე დგება,  
ყველას  
ყველგან  
ყველაფერში  
გვასწრებს!

ექვია, რომ სამუდამოდ  
გაძლებს!  
უშურველად ჩვენ ყველაფერს  
გვაძლევს!  
მისი ღვანლი – ერთადერთის,  
ერთის –  
გადაფარავს ერთად ყველას  
ღვანლებს...

●  
ოცნების მატარებელი  
მეასედ იცვლის ლიანდაგს.  
სიჩქარის მიუხედავად –  
ფიქრს ყველგან დააგვიანდა...  
რა არის მაინც ეს ფიქრი –  
რა სწრაფი. უცხო. რა ბნელი...  
გზებზეც რა უცებ ფეთქდება  
მიზანი. ბომბი, შრაპნელი...  
დანალვლიანდა. შეწუხდა.  
დაფიქრდა. დაეჭვიანდა...  
... მთელ დედამიწას ეშველოს –  
არ ეშველება ჭკვიან თავს!

**ნაწყვეტი სკაქტრიდან! –  
გაურკვეველი პოეტური ჟანრი**

თეთრები იწყებენ და აგებენ! –  
დენიკინი, იუდენიჩი, კოლჩაკი. ვრანგელი...

წითლები აგებენ და ამთავრებენ... –  
გორბაჩოვი. ლიგაჩოვი. ელცინი. კომპანია...

მწვანეები ზრუნავენ კურდღლებზე და  
ავიწყდებათ ადამიანი...

ცისფრების საქმე შავადაა –  
მძვინვარებს შიდაში...

ყვითელი ჭირი ისევ ცდილობს,  
შეძვრეს ვენაში...

ნარინჯის ბაღებს აფხაზეთში  
მაიმუნსაშენის აღზრდილები დაეპატრონენ!

შავები უნდა ეცვათ მხოლოდ იმათ,  
ვისაც უხდება! – აღარ გვინდა ნაადრევი  
სიკვდილი და უბედურება...

# პროფესორი კობა არაბული


როდესაც იწყებ ფიქრს კობა არაბულის პოეზიაზე (საერთოდ, პოეტურ შემოქმედებაზე!) შესახებ, უნებლიეთ ცნობიერებაში გაიღვავებს ცნება სააზროვნებო-სამშობლოსეული სივრცეშემოსაზღვრულობის შესახებ. კერძოდ, რას ნიშნავს სააზროვნებო სივრცე და ამ სივრცეში, კონკრეტულად, სამშობლო და მამულიშვილობა... და უმალ(ვე) ნათელი ხდება, რომ სამშობლო მარტო ტერიტორია კი არ არის, არამედ, უპირველესად, სააზროვნებო სივრცეა, ჩაკერული შენს გენეტიკურ-სისხლისმიერ ქვეცნობიერში. და, თუ ივინყებ და კარგავ ამ (ქვეცნობიერ!) სივრცეს, კარგავ სამშობლოს, საკუთარ თავსაც და ზე-ცნობიერსაც, რომელსაც შენი სამშობლოს შემოქმედი ჰქვია. ხოლო ვინ არის ეს შემოქმედი, რა ჰქვია, რა ენობა – სწორედ ამისი პოეტურ-სახისმეტყველებრივი ძიებაა მთელი მისი შემოქმედება და, სხვათა შორის, მისი პოეზიის ლექსმური აღკაზმულობაც. დიახ, აღკაზმულობა, რადგან მისი ლექსი თავიდანვე (თავიდან!) იცილებს, იძორებს თავალ(თ)მოსანონებ ბრჭყვიანა თავსამკაულს და იტოვებს მხოლოდ და სწორედ იმას, რაც ლექსის მხედარს სჭირდება, რომ არც ძალიან დამძიმდეს და არც ძალზედ მსუბუქად იგრძნოს თავი. აქვე უნებურად არ შეიძლება არ გაგახსენდეს დიდი ვაჟას პროზაული თუ პოეტური (ლექსემური) მეტყველების აღნაგობა (სტილისტიკა!). პროზაში თუ ქართველი პოეტი-ქურუმი ახალ (უდახვეწილეს!) საერო (ჰაგიოგრაფიულზე დაფუძნებულს) წერით-მეტყველებას ამკვიდრებს, პოეზიაში ხალხურ-ფოლკლორულ ზეპირმეტყველებრივ სახიობრიობას ჩამოქნის, რომ ეროვნულ ჰეროიზმს არ დაუკარგოს (არ გაუნელოს!) ზოგადისტორიული არსი და მნიშვნელობა-დანიშნულება. ემფატიკური ბოლოსართი – ა, სწორედ საამისი დანიშნულების მაჩვენებელია: «გაღმა ჩანს ქისტის სოფელი არწივის ბუდედავითა, საამო არის საცქერლად დიაცის უბესავითა». ჩამოაშორეთ – ა და მიიღებთ პროზას. დიახ, ემფატიკური „ა“ ჰეროიკული განცდის აღმძვრელია, მამოძრავებელი. ამ მხრივ კობა არაბული ახალ ლექსემურ-მეტყველებრივ სახიობრიობას გვთავაზობს, ახალ ჰეროიკულ სტილისტიკას, კერძოდ, პოეზიისა და პროზის ეგრეთ წოდებულ შუალედურ მეტაფორისტიკას. მოგეხსენებათ, რაც აუცილებელია პროზაული მეტყველებისთვის, ხშირად სრულიად ზედმეტი და მიუღებელია პოეზიისთვის, ზოგადად ლექსისა და ტროპული მეტყველებისთვის. კობა არაბული პროზა-პოეზიის თანაბრადხმოვან (თანაბარხმოვან!) ლექსემურ სახიობრიობას ქმნის, რათა აზრის ჩვენება-გამოთქმა თუ გამოსახვა-გამოხატვა ბუნებრივი და მიზანიმართული იყოს სანყისიდან დასასრულამდე, ანუ, რაც მან უნდა გვითხრას და უნდა წარმოჩინდეს და წარმოისახოს, უფრო სწორად, გვეჩვენოს და გვაჩვენოს თავი; მოგეხსენებათ, სტილი პიროვნებაა, შემოქმედება – სულის სარკე! მასთან პროზაული სიმძიმე და პოეზიის (პოეტური!) ჰეროიკული-სიმსუბუქე ერთმანეთს ანონასწორებს, ანუ წარსულს, აწმყოსა და მომავალს ერთ სასწორზე ათავსებს, რომ არც ხიბლში აღმოვჩნდეთ და არც სასონარკვეთაში შთავინთქათ, რადგან ერისთვის, მისი გზისა და ისტორიული (თვალსაწიერის!) ცნობიერებისთვის, ორივე მოუღებელია და დამღუპველი: „დაეგორებენ სინეზე სინას – სინის ფერსა და სისხლისფერ რკინას, ჩამოჰკიდებენ მახვილებს კოშკზე – ფარს შეაბამენ ფარდაგად წვიმას. ჩამოუშვებენ ხვთიშვილნი სამნი – ზენა ჯვართი და ქვექურის კართი, აქ რკინაულნი დადებენ სამანს, ჯვარის ქადაგი ამოვლენ სანეს...“ („სინისა და სიტყვის საიდუმლო“). მოგეხსენებათ, ნებისმიერი შემოქმედის (პოეტის! პროზაიკოსის!) უპირველესი დანიშნულებაა, შექმნას საკუთარი (სხვათაგან განსხვავებული, გამორჩეული!) მხატვრული

სამყარო და ამ სამყაროში წარმოაჩინოს საკუთარი სახე-ხელწერა. კობა არაბული ეს შეძლო და გაკვალა საკუთარი გზა-ბილიკი. არ შეიძლება არ აღინიშნოს: მისი პატრიოტიზმი არ არის ხმამაღალი, ბრჭყვიანა და მყვირალა, არც ხალხში გასავრცელებელი – სასიმღერო და არც სუფრასთან თუ წვეულებებზე (თამაღის მიერ თავმოსანონებლად!) წარმოსატქმელი. ის არც ყვირის და არც მოთქვამს, იგი ჩაგაფიქრებს – ვინ ხარ, რატომ ხარ და რატომ უნდა იყო ან არ იყო ამქვეყანაზედ. ჩვენთა ძველთა თქმულისამებრ – მისი ლექსი საქმიანია და საქმე ლექს-ზმნიანი! მისი პოეზია ზნეობრივია, მაღალსულიერი და უმწარესად ტკივილიანი (მტკივნეული!). საგანგებოდ(აც) უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე რთული და ძნელად მისაღწევი (შესასრულებელი!) ადამიანის სიცოცხლეში, ცხოვრებაში სწორი (მართალი!) აზროვნების სწავლაა, გათავისება, შემეცნება! „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდები“ ან, გენებავთ, „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი ტანჯვისთვის არის გაჩენილი“, სწორედაც რომ სწავლა-შემეცნების ურთულეს გზას უკავშირდება. ეს პროცესი (თითქმის!) დაუსრულებელია, არა გააჩნია ასაკი და დასაზღვრულობა. მეტიც, იგი ზნეობრივი მაქსიმია! კობა არაბულის ამ ნიგნისმიერი მთლიანი შემოქმედებითი-სააზროვნებო სივრცე სწორედ ამ პრობლემის აღქმის, შემეცნების გაცნობიერებისა და სწავლების პროცესის (თავისთავადის) მისტიკაა, კერძოდ, თუ არ ცნობას გვანვდის მითი, რას ეფუძნება, რა საიდუმლოს გვიმჟღავნებს და საით(კენ) მიგვახედებს: „ხელი თუ არა – შენთვის დარჩეს ჩემი ბეჭედი, უსახელოა ჩემი ხელის ხუთივე თითი... ამოდის მთვარე ნაისრალი თორღვას ბეჭედიან, ნათდება უცებ ჩემი ერის სიზმარი – მითი...“ დიახ, სწორი და მართალი აზროვნება სიზმრიდან ცხადში დაბრუნების პროცესს უკავშირდება, ძილურადნიდან ცხადში დაბრუნებას, ისტორიული, წინაპრისეული ყოფა-ყოფ(ნ)იერების სწორად გააზრებასა და სწავლა-შემეცნებას. ეს ნიგნი – „მითების გაღვიძება! ნიგნი სიზმრისა და სიხარულისა“ გვეუბნება, შეგვაგონებს – ერს არა აქვს შეცდომის დაშვების უფლება, იგი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს (განა თვით გენიალური „ვეფხისტყაოსანი“ ამ პროცესის მთლიან (სრულფასოვან!) მხატვრულ სახე-ხატს არ წარმოადგენს?!): „ჩამოათოვა ბოდავის ტაძარი, დავათის – სტელებს, ყინვალის – სოფლებს... ნასოფლარებში ჩაფარდული ხანძრებს. ნიგნებს და საგნებს ჩვენს სულში მყოფებს!.. ბოლოს ლოცვების მოვიდა თოვლი და დამარხულ არს ყოველი თოვლში... ფარავნის ტბაზე მეთევზეთ შორის, – ქალი გამოჩნდა და კარგულ ქოშით! „აგერ ქვეყანა, შხამით და თაფლით, ლეღვის ნაყოფით და ლელვის ფოთლით!“ – ქალმან მეთევზეთ ჩახედა თვალში... ქალი მეთევზეთ აბანეს წყალში...“

აქ, ამ პოეტურ-ლექსემურ-ლიტერატურულ ეპიზოდში, „ქართლის მოქცევის“ (გაქრისტიანების!) ისტორიული მისტიკური ნარმოჩნელი, მარტვიად, უბრალოდ, ძალდაუტანებლად შესასწავლად და გასაცნობიერებლად; ნინომ, როგორც ღვთის რჩეულმა, განწმინდა ჯერ კიდევ „ლეღვის ფოთლით“ ფარებული ქართველის ცოდვის შვილი, განწმინდა წყალი თავისი წმინდა სხეულით და მეთევზეთაგან ნიგნადართული თვითონაც განწმინდა იმავალში: ნინომ განწმინდა წყალი და წყალმა განბანა ნინო ამქვეყნიური (ამსოფლიური!) მტვრისგან; აქ და შემდგომ ტაეპებში მეთევზეები და თევზი, რა თქმა უნდა, სახარებისეული მისტიკის (ცნობიერებით!) პარადიგმაა, სწორედაც რომ მართლად აღქმულია და სასწავლად მოწოდებული. „ჩვენ ვართ მონანი და ჩვენ ვართ მწყემსნი – ქალს მეთევზეთა მიაღრვავს თევზნი...“ ჩვენ ვართ ცოცხალნი და ჩვენ ვართ მკვდარნი“ – და მეთევზეთა გაუსხ-

კობა არაბული  
Iakob-aba Arabuli

მითების გაღვიძება  
Awakening Of Myths



წიგნი სიზმრისა და სიხარულისა

კობა არაბულის კოეზიის  
დღე მწერალთა სასახლეში –  
26/02/2014, 3 სთ. წიგნის პრეზენტაცია – „მითების გაღვიძება“ და გზა არაბულის ნახატების გამოფენა

კონას“. როგორც იტყვიან, კარგი საქმე კეთილად შეინყნარებო. დიახ, წარსულიდან გამომდინარე ეს სიტყვებიც და „ლექსიკონიც“ მონოდება მარადიული სიფხიზლისკენ, რადგან „დამარხულ არს ამ მინაში წილი ღვთისმშობლის... შენახულია ამ ანბანში სიბრძნე ქარაგმის: – „თუ ახლა მოვწყდით, ხელმეორედ ველარ ვიშვებით! – ამოგვეწურა დროის მარაგი...“ დიახ, ეს პოეტური კრებული თავისი ორგანო სიმბოლიკური სათაურით – „მითების გაღვიძება“ – „ნიგნი სიზმრისა და სიხარულისა“ წინდანწინვე მიგვაახლებს მართლაც იდუმალებაში ჩანთქმულ (რალაც) საიდუმლოსთან, რომელიც ამ ნიგნით უნდა გაცხადდეს! რა საიდუმლოა ეს, რომელიც პრეისტორიული ჟამიდან დღემდე ამოგვივარდა გონებიდან, ისტორიის ნისლში ჩაიხურა და მიგვახსენებდა? თურმე, ისტორია, წარსული მარტო-ოდენ ფაქტები, საბუთები ან უტყუარი ცოდნა-გადმოცემები არ გახლავთ! იგი მითად ქცეული საკრალური ცოდნაა, რომელსაც ადრე თუ გვიან მიუხერხებდა ერის ცნობიერება საკუთარი არსობრიობის კვლავ აღმოსაჩენად და შესაცნობად (შესამეცნებლად). კერძოდ, რანი ვიყავით, როგორ ვცხოვრობდით... და მოვედით (მოვალნიეთ!) დღემდე. მითი, პირველ რიგში, სულიერ ფასეულობებზე ამახვილებს ყურადღებას – ჰეროიზმზე, თავდადებაზე, სიკვდილის შიშის დაძლევაზე! ეს ნიგნი ერთგვარი მითოლოგიური პოეტური მატთანა კოლხიბერიული (ერთიანი-მთლიანი!) ცნობიერებისა, რომელიც ისტორიულ ფხოვში ჩაიკირა, ჩამკვიდრდა და შემდგომ ქადაგების, ხევისბერების და, უპირველესად, დიდი ვაჟას მინდასეული სიბრძნით ამოიფრქვა. ნიგნი, ამავე დროს, ლექსემური საუბარია მკითხველთან. მისი (მიმინებული) მიახლება და სიამაყით სიხარული: „მეთორმეტე წლისთავზე დიდი ომი დაიწყო ქაჯებთან. ხოგაი საომრად წაიყვანეს. ხახმატის დროში: მიდიდნენ ყმანი სალოცავის ძველი დროებით, მიჰყვებოდნენ ღვთისშვილი – და მიჰყავდათ გასული (?) – ხოგაი „გვაშიდან გაიყვანეს“ ღვთისშვილებმა, უხორცო წარიტანეს თან საომრად!.. ვინაიდან ხორციელნი ვერ შევიდოდნენ ქაჯთა ქალაქში...“ (ნიგნადი: ქაჯებთან ომის მითი). ეს ლექსემური ეპიზოდი იმიტომ მოვიხმეთ, გვეჩვენებინა, რომ მართლაც არსებობენ წმიდა სულები – ღვთისშვილი, მართლაც მფარველობენ ხორცი მკითხველს წმიდა სულებს (მინდა!) და მათი მეშვეობით მფარველობენ ერს, ხალხს, ეთნოსს და ა.შ. მეტიც, მინდას რომ წამიერად მოეჩვენა უსხეულოდ ყოფნა ქაჯებთან ომის დროს, თურმე, საუკუნე გასულიყო: „მისი გვამი(ც) შექმული იყო ჩრჩილისაგან(?)“ და „ხოგაი ნებით შევიდა ნაცნობ სამოსელში“. ეს ეპიზოდი, ეს ფრაგმენტი, თავისთავად უკვე ისეთი საიდუმლოა ამომცნობია, რომ „საუკუნეზე მოკლე არ იქნება არც ერთი ომი

▶▶ 30-4 გვერდიდან

ჩვენს მამულში“ – გაფრთხილება-მონოდებაა მდგრადობისათვის, სიმკვრივისთვის, გადარჩენისთვის, ვინაიდან „თუ გადაშენდა სამერცხლეთი – მერცხლის სანაცვლოდ მოვა ყვავი, დარჩება „ვერცხლის მაკრატელი“ და გაზაფხული მოსაყვანი“. მეტიც – „ჩიტის დარდი და ჩემი ლექსი – მხოლოდ ხოგაის მინდის ესმის... მხოლოდ ხოგაის მინდში იცის ჩვენი ამქვეყნად ყოფნის მითი...“ ზოგმა შეიძლება (სამართლიანად! გულუბრყვილოდაც!) იფიქროს, დღეს – ოცდამეერთე საუკუნეში, კომპიუტერულ და უაღრესად „პრაგმატულ“ ეპოქაში, – რაღა დროს მითია, ანდრეზი, რომანტიკა-პეროიზმი და ა.შ. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ეს მითები და ანდრეზები შეგვახსენებენ ჩვენს თავს, მიგვაახლებენ „ძველებს(თ)“, მიგვაყურადებენ „ქვათა ლაღად“, აკლდამების წუხილს და ნებსით თუ უნებლიეთ შეგვაგონებენ სიბრძნეს – ვინც ივინყებს წარსულს, ივინყებს მომავალს! უფრო მართლად, ნათლად – აღარ რჩება მას მომავალი: „დაგას ჩემი სახლი ჩუმი, როგორც ჩამქრალი ცეცხლი, ვაშლის ყვავილი ცვივა დამქვანარი. თან დაუმარხავს მწუხარე ვერცხლი, ათასნაირი ჯურის აბჯარი...“ ამ სტროფის სიმბოლიკური სახე-ხატები, ფიქრობ, ზემოთქმულის ნათელი ნიშნულია. სწორედ ამგვარი სიმბოლიკით სუნთქავს ეს ნიგნი – პოეტური კრებული-მატიანე, ოღონდ მითოლოგიური თვალსაზრისით ნარმოჩენილი. აქვე იმასაც ვაცნობიერებთ თუ რატომ და როგორ წამოიძარა (ქართულ სინამდვილეში!) ასეთ ბუმბურაზად ვაჟა-ფშაველა, რადგან მისი ფესვები იქ იდგა, მითში, ანდრეზში, საიდუმლო-საკრალურ ცოდნა-სიბრძნეში, რომელიც საქართველოს სხვა კუთხე-მხარე-ადგილებში ჩაინახვია, ჩაიფერვია, აქ კი, ფხოვეში, ჯერ კიდევ ცოცხლობდა, ბუჭტავდა. და ბუნებამაც მოასწრო – ვაჟას სახით – ყოველივე ამის (!) გადარჩენა. ან განა თავადვე არ გვამცნობს ავტორი (!): „ის, რასაც ახლა ვწერ, ყველასთვის არ იქნება საინტერესო“, – რადგან დღეს,

აზროვნება-დაკარგულ (და გაუფასურებულ) სამშობლოში, თუ არ აღსდგა და არ აღორძინდა აზროვნების ღირსება, ჩვენ – ყველა, უაზრობაში (ისედაც) ჩაძირულნი, კიდევ (სრულიად) ჩაინთქმებით. ამიტომაც არის ამ ლექსემური კრებულის თითოეული სტროფი (ერთგვარი) შეგონება თუ როგორ მივუბრუნდეთ ფესვებს, აზროვნების წესს და როგორ მოვიპოვოთ (აზროვნებაში ჯერ!) სამშობლო, რადგან სამშობლო-მამული, როგორც აღვნიშნეთ, მარტო საცხოვრებელი ტერიტორია კი არ არის, უპირველესად, სააზროვნებო სივრცეა და, თუ ვკარგავთ სააზროვნებო სივრცეს, ვკარგავთ ყველაფერს ანიდან პოემდე! და ეს ნიგნიც ამგვარი სააზროვნებო სივრცის დაბრუნების მცდელობაა, თანაც ყოველგვარი „რიტორიკისა“ და „პომპეზურობის“ გარეშე. რომელ ერთ ციტატას მოვუხმეთ ამ აზრის განსამტკიცებლად თუ დასასაბუთებლად (?), დასამონებლად: „გამოეყოფა ლექსი სხეულს, – გამოტყავს ნეკნებს და გადის მზეზე სისხლიანი სარკმლიდან და უერთდება ქართა ქროლას და ფიფქთა ცვენას და – მწვანეთა გადმოფენას... და რჩება სიხარული დაუსრულებელი ტანჯვის და სიკაროილე – ბარტყებ აფრენილი ბუდის – ხელახალი აღვსების მოლოდინი რომ ასულდგმულებს“ („ლექსის დარდი“). საერთოდ, კობა არაბულთან რითმა, როგორც ტროპული სახეობა, ქმნის (მკითხველთან!) უშუალო სასაუბრო ტონალობა-განწყობის ჰარმონიას. ეს არის ერთ(და)გვარი ხერხი, მუსიკალური გამა, რომელსაც ჩვეულებრივი (თითქოს!) პროზაული მეტყველებიდან პოეზიაში გადაყვანა და თანაც ისე, რომ არ განიცდი არავითარ უხერხულობას ან ძალდატანებას, გნებავთ, გალიზიანებას: „ჩემი პოეზია – ზურგით მთვარისკენ, სახით – მტრებისკენ! ჩემი ჩრდილი – გადახრილი აკლდამებისკენ. მრგვალი ქუდი – სულთაკრეფის წყალი რომ მომაქვს... მარტობის ფამს რომ მოიხდი და ამბავს ჰკითხავ, შენს ქუდს საუბარს რომ გაუბამ კაცის მაგიერ, – აი, ქუდი, აი, ხალხი, ვისაც ის ხურავს!“ ეს პოეტური ამონარიდი ერთგვარი ფსიქოხატებრივი მიზანსაცნაა ჩვენი კაცებრივი-მინიერი სახე-ხასიათის ამოსაცნობად, შესამეცნებლად: ანუ, სად დაგვეკარგა (თუ გადაგვეკარგა!). ჩვენი მამრული ბუნება-თვისება და, თუ დაგვეკარგა, სჯობს (ვიდრე ჯერ კიდევ გვიან არ არის!) მოვიძიოთ ის ქუდი, რომ ვთქვათ (და თქვან ჩვენზე!) – „აი, ქუდი! აი, ხალხი, ვისაც ის ხურავს“ („ქადაგის როლისთვის“). და კიდევ, ჩვენ რაც არ უნდა ვთქვათ, მივყვეთ და მიმოვიხილოთ (წერტილ-მძიმესაგებრ!) ეს მითო-პოეტური-მატიანე, ყველაზე უკეთ თავად პოეტი გვთავაზობს ნიგნის დედა-არსისეულ გასაღებს: „ლექსის აღმოჩენა ჩემთვის ისეთივე სასწაულია, როგორც ახალი დღის გათენება! აქ მინდა ერთი რამ ვთქვა: არაფერია უკვდავი, უკვდავი და მარადი მითში შედედებული ცოდნა, რომელიც თემმა შეინახა, როგორც მთვარის დისკოზე დაწერილი საიდუმლო, – რომელიც ზოგჯერ წარმოგვიდგება ისე ცხადად, როგორც მთვარე სისავსეში, ზოგჯერ კი მიეფარება მზის დისკოს და „სინათლის ჩრდილში“ იფარება! – და არც არის მითი და პოეზია, რომელიც თითქოს ყოველთვის არის და არც არის. ხილული და უხილავი, ბნელი და ნათელი ერთდროულად. ქვემარტივი პოეზია მითის ანათალია! პოეზია აღვიძებს მითებს და მითები შობენ პოეზიას!...“ მართლაც, ძნელია უკეთ გამოხატო სათქმელი, ვიდრე თვითონ პოეტმა განგვიმარტა. და მაინც: „ვერ მოვუარე ჩემს მამულს, ვერ ვიქმენ იმის პატრონი! შევეუთქვი საღვთო კოდეზი, ვავდრე, რასაც ვნატრობდი. ვერ შევეშველე ჩემს ნიშებს, რწმენა დაგვარგე ნაქონი. შორს დარჩა ჩემი სურვილი, როგორც ცა – ირმის ნახტომი... ქალამანივით გამიცვდა გზა მთვარის შუქით ნაქსოვი... შევიდვერ ვცადე და ამიცდა ისარი მტრისთვის ნასროლი! ჩალოარეს ომებმა, ნიშებს ჩაუქრეს სანთლები... ბრწყინა-დაცვეთილმა ლომებმა ბეჭზე დამადეს თათები. შემომბლერტეს ქარებმა ბეჭებში ციხის კალთები. თავდახოცილი ქორები, ატირებული მართვინი...“ ამ „სინანულის ლექსით“ ის მართლაც ყველა იმ ქართველის სათქმელს ამბობს, ვისაც მართლა სტიკვა სამშობლო და კიდევ სამშობლო! და, თუ ინანიებ კიდევ, ე. ი. ჯერ კიდევ გაქვს მომავალი! „ლაშარის გორზე შავდებები – შავ ნისლი შავიკვარები. სხვა გზა არა მაქვს სავალი, არც სიტყვა დამრჩა სათქმელი“ („სინანულის ლექსი“). და მართლაც, განა (მართლა) რა უნდა თქვა ამაზე მეტი...

თამარ შავლაძე

# კობა არაბულის ნიგნისთვის „მითების გალჳიკა“

შენ ერთხელ ერთს პოეტს უთხარი: მითი გიდას გვერდში. მე გეტყვი: შენ უდაგახარ ქართულ მითს გვერდში! შენ თავს უყრი მითად განყრილ ნაპერწკლებს. უვლი, საკუთარ სულს ჩაჳებრავ: პოეტი-მოგვი.

პოეტი-მეუდაბნოე. უდაბნოს ნაყოფიერმქმნელი. ვაჟა მითის კაც-პოეტი. მითისა, რომელიც თითქოს „ყოველთვის არის და არც არის“. შენი ლექსიც „მითის ანათალია“. „სანუხ არს ესე“, რომ ადამიანმა სამყაროს მითური ჳვრეტის ტალანტი დაკარგა. ადამიანმა, ზოგადად, არა შენ.

შენ ვაჟას გეზებით დახვალ. შენც იმ ქაჯავეთით ხარ შეურვებული. შენც იმ ცოდნით ხარ გარძენებული და იმავითი ხარ დაწვებულები, რის დაკარგვასაც ვაჟა ასერიგად ჳარობდა. შენც იმ ცოდნის ნატამალს ჳპატრონობ. ჳპატრონობ და დაჳგურგურებ.

აი, ვხედავ აჩრდილს, გოდების ნიშანივით დაყუდებული კოშკიდან კოშკზე გარდამავალს. მკენესარეს, თავზე „მთვარის მტვერი“ რომ დასდის. „ვარსკვლავთ ჳრიალი“ ჩაესმის... და გააჳრყოლებს მაშინ მასაც. თუმცაღა, „ორი მზე“ მეგზურობს – ჳესკენელისა და ქვესკენელის.

შენი სახე აქვს, კობა-აბა, იმ აჩრდილს.

იქ, სადაც ველური ხილი ყვაოდა, ახლა მხოლოდ „ეკალი აბია მინას“. როგორ არ ჩაგაკვდეს ხელში საკუთარი მფეთქავი გული?! დიდი გუდანის ხევისბერი სცენიდან გასულა, ერი სხვათა სამისში გახვეულა, სული გაჳყვინვია. სვანური ჳარი „მცხეთის ცას გაბზარავს“.

მაგრამ ეს რა ხდება?! ირემთკალოზე, კოპალას ქვევს შორის, ქრისტეს პერანგზე წევს და ილოცავს მარიამის „ძე წარმართული“. წყეული კვირა ლოცვა-კურთხევით შემობრუნდება. ნინო დაჩნდება, გვეცხადება თავფარავანთან. ნისლებში ჩნდება „მაცხოვრის ნიგნი“. რად იყო, რომ „ბიბლიამდელი ბიბლიელი“ აქამდე მას ვერ ვხედავდით?!

ნულარ ღონდები! „ოთხრქა-ოთხყურა“ ველურბატკნები გამოსწმენდენ მღვრიე სისხლიან ტბადა-მდინარეთა „სიმურს“...

## ნახევტი წერილიდან: „მითების გალჳიკის დიდოსტატი და მომთჳინიერებელი“

სულიერ ფასეულობებზე საუბრის დროს, პირველ რიგში, მხედველობაში მაქვს ხევესურული მითები, ლეგენდები თუ ხალხური პოეზიის ნიმუშები, ერთი შეხედვით მდინარეს რომ მოგვაგონებს თავისი სათავით, კალაპოტითა და უამრავი შენაკადით. მდინარის სათავის პოვნა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვი „ფოლკლორულ მდინარეთა“ შესახებ, რომელთა სათავეებთან მისაღწევად არიანდასა და, რაც მთავარია, საზეპურო ნიჭია საჭირო, და ეს იმიტომ, რომ მთელი ამ ხალხური სულიერი შემოქმედების სათავე, წინაპართა აჩრდილები საუკუნეთა მირიადებში მიმოხვეული მარგალიტები უკვე კარგახანია, რაც დიდ „ნაკრძალად“ არის ქცეული.

თავის დროზე ამ დიდ „ნაკრძალში“ ახერხებდა გასეირნებას პოეტი ხოზე მარია დე-ჳერედია თავისი „ტროფეებით“, რის შესახებაც მიუთითებდა კიდევ მისი ქართულ ენაზე მთარგმნელი პოეტი მიქელ ჳატაროძე.

მეორე – ნიკოლაი რერისი იყო, ვინაც რუსული მითებისა და ლეგენდების გადახარშვის შემდეგ, ინდურ-ტიბეტური მითების მიკვლევასა და მათ მოთვინიერებას მიჳყო ხელი, თუმცა მათ ნიაღში ამოდ შეეცადა შამბალას პოვნას, მის ნაცვლად კი გებერის მახვილსა და მოლაპარაკე კლდეებზე ქცეულ მითურსახეებს მიაკვლია და თავის ტილოებზე მარადიული სიცოცხლით შემოსა ისინი, თავად კი იმავე სამყაროში მიმოიბნა ფერფლად...

პირველი დიდი ვაჟა-ფშაველა იყო, ვინაც გახსნა ხევესურულ ანდრეზთა საიდუმლო, იმ „ნაკრძალის“ ოქროს კარიბჭე და, მითიური გმირები გამოაღვიძა და მარადიული სიცოცხლის სული შთაბერა მათ...

მსგავსი რამ მოიმოქმედა პოეტმა-მისტიკოსმა, მკვლევარმა კობა არაბულმა, მან თავისი განუყოფელი პოეზიის წყალობით, პოეზიის მძინარე მზეთუნახავივით, ლეთარგიული მითისაგან იხსნა უძველეს ხევესურთა ნახევრად მითიური, რეალური თუ ირეალური გმირები, კაც-ღვთაებანი თუ დევ-კერპები და მათ თავიანთი სრულიად ახალი პარანასი საკუთარ ლექსებში მოუჩინა და ეს იმ დროს, როცა ამ მითიურ გმირთა ან უკვე ჩაუხანგებული და მირაჳული სახეები, უძველესი ბერძნული პანთეონის ბარელიეფებით, ბუნდოვანი და სახედაკარგული იყვნენ...

ამ მითიურ გმირთა და სალოცავთა ნაკრძალში შეღწევას კობა არაბულმა მთელი თავისი სიცოცხლის ოქროს ხანა და შემოქმედება შესწირა.

ნულარ ღონდები! არ შეაჳმევენ ჩვენი ბალღები შენი ლექსების „მანუსკრიპტებს“ უხედნ სახედრებს და „კერძო ვირებს“.

უცხო-უცხო საკვირველებანი ამოსხდებიან შენი ლექსებიდან. ცას ვარსკვლავებზე შეემატებიან. ახალ-ძველ ქართულით გაანათებენ! აქ „თამარის ნაკონი წყაროებია“! ხოგაის მინდის სადღაც აქვეა. თორღვა ძაგანის სულიც გადად-გადმოდის მუცოს ნვერებზე. „უბეჭრეულ ქალებს“ უბეებით სულის საზრდელი მოაქვთ. შენ „რა მექნას ციხის“ კარიბჭეს მიდგომიხარ და... შენს წინაშე იგი თავათ იღება. ბალღად იქცევი და ბრძენი ბერები ჳანია მუჭში უცხო ნიშნების ოქროს გასაღებს გიდევენ...

შენ კიდობნის გახსნის დღეს შესწრებიხარ. ამიტომაც აქადაგი:

„სამძიმარამ ხოგაის (სულთაკრეფის ლამეს) ვერცხლის ყელსაბამი ჩაუფინა ლოგინში და მზისფერი თმები ქერის ძნებოვით დააბერტყა ლავინზე...“

აი, შენი აჩრდილი უჳანასკნელად ერკინება ქაჯთა დედას. აჳა, გამარჯვების ყოფინასაც გაიგონებენ მღვინეს შეხიზნული წინდა ბერები!

„ღვთის ნახახის“ ალაფია სწორედ ღვთიური „ოქროს ფანდურები“ (შემოქმედების სიმბოლო), „მზე-ქალები“ (სიცოცხლის საწყისი), „ვერცხლის აკვნები“ (უკვდავი თაობა), მემქედურნი (მშვიდობის ბედისწერის მქედელნი) და თავდახსნილი „ანიბანი“ და „ჳო-ხოხი“.

შენი ლექსი ცრემლის თვისებისაა – სულს აანკარებს. და კიდევ: ქალწულის წიაღია, მამაკაცის წინარე ცოდვილ გენს რომ დაანმინდავებს. შენ „შენი უხორცო სიყვარულის“ პურით აპურებ შენს შთამომავალს.

შენ ვაჟას პირმშობის კერძი დაგიდგამს! კობა-აბა, დაგილოცავ შენს ვადაჯვრიან ლექსებს!

ციხანა ჳვერნაძე

სხენებულ გმირთა სულ-ჩადგმასა და ხორცილ მოპერანგებას პოეტის მთელი 20-ფორმიანი ლექსთა ნიგნი თუ სხვა ცალკეული გამოკვლევები მიუძღვნა. მათი რიცხვი, ალბათ, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ამას იან პარანდოუსკი „ხედავდა“ თავისი მეგობარი მწერლის მაგიდაზე და აოცებდა ის, თუ როგორ ეტყოდნენ ამ მაგიდაზე მწერლის ეს აურაცხელი გმირები.

კობა არაბულმა, თავისი ლექსების სახით, უკვე გარდასულ დროში ჩამდგარ მითოსურ გმირებს, ნამდვილი პანთეონი შეუქმნა, რომლის კვარცხლბეკი წინაპართა საფლავებზე, მათ მიერ შექმნილ ციხე-კოშკებზე, მათ საგმირო საქმეებსა და ლეგენდებზეა აგებული...

დღეს რომ კობას პოეზიის და ესეების მითიური პერსონაჳები გავაცოცხლოთ, მათ ახალ სამკვიდრებულ ხევესურეთის მინა უკვე აღარ ეყოფათ, მათ სულ სხვა სამოსახლოები დასჭირდებათ. სასიხარულოა, რომ მისი ლექსები და ესეები, იტალიურ, ინგლისურ და გერმანულენოვან მკითხველსაც მიწვდა.

კინორეჳისორ მელ გიბსონის კინოფილმში ქრისტეს როლის შემსრულებელი მსახიობი კავიზელი, ჳვარცმის სცენის გადაღების დროს, როგორც ამას სიამაყით ამბობდა, ხედავდა და ისმენდა თურმე ყველაფერს, რაც 100 კილომეტრის იქით ხდებოდა და ხმაურობდა...

მითების გამღვიძებელი მედიუმისთვის 100 კილომეტრი ჳღვაში წვეთია. კობამ ეს მანძილი, ეს რთული გზა, უცნაურად სწრაფად განწლო და ასევე მოუთმენლად დაბრუნდა უკან – ოქროს კარიბჭეებამდე „მითოსური მტვერით“ დაფარული...

კობა არაბულის განსაკუთრებული ნიჭი და ხედავა გამჳღავნდა მის ესეებში „ფხოვის საკრალური დრო – ათენგენიდან ყვავთაღვსებამდე“ და მის მიერვე შედგენილ და მისივე რედაქტორობით გამოცემულ ჳურნალებში, რომელთაც „მითი და ტრადიცია“ ჳქვია და რომელთა შექმნაში მეც ვიღებდი ერთგვარ მონაწილეობას. თავისი შინაარსით გამორჩეულმა ამ უნიკალურმა ჳურნალებმა მკითხველთა და მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს და საერთაშორისო პრემიით დაჯილდოვდნენ...

ავთანდილ ჳართაგავა

ამონარიდი ნინო ქადაგიძის ინტერვიუდან „ზურაბ ჟვანიას სიკვდილი ახალაიას, ალანაის და მელნიკოვს უკავშირდება“ (ნათია დოლიძე, გაზეთი „ყველა სიახლე“):

„2004 წელს ზურას დაბადების დღეზე ჩვენთან სტუმრად იყვნენ: სააკაშვილი, მერაბიშვილი, ოქრუაშვილი და ადგიმელი. ბევრი სტუმარი გვყავდა. ესენი გვიან მოვიდნენ და ცალკე მაგიდის გავლა დაგვჭირდა. მოკლედ, ისე მოხდა, რომ ერთ სუფრასთან მოუწიათ ჯდომა. მახსოვს, მათმა საუბარმა როგორ შემაშფოთა. ამას წინათ ტელევიზიით მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის სატელევიზიო საუბრის ჩანაწერი მოგვასმენინეს, რომელშიც ფოტოგრაფების საქმეზე ლაპარაკობდნენ, რომ ვიღაც უშლიდათ ხელს, ამბობდნენ, მოვიშორეთ, ამას ჩავუგდებთ, იმას დავაჭერინებთ... მაშინ ვიფიქრე, დავილუპეთ-მეთქი.“

ნინო ქადაგიძის მონათხრობი მაფიქრებინებს, რომ ყველა ძალადობის ავტორი მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი კი არა, მისი გარემოცვა იყო სააკაშვილთან ერთად. ასე რომ, უახლოეს დროში, მათაც მოუწევთ კუთვნილი ხვედრის განაწილება. ლხინში თანაზიარები ჭირშიც თანაზიარები უნდა იყვნენ...

„საკაშვილისთვის ადამიანი არასდროს ყოფილა მნიშვნელოვანი. ვისაც ამ კაცთან ოდესმე შეხება ჰქონია, ეს უგრძნია. ჩვენს სახლში სააკაშვილი ოჯახით ცხოვრობდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ვუყურებდი მის ურთიერთობას მეუღლესთან, შვილთან, მერნაშენთან, ეს მართლაც უცნაური ურთიერთობები იყო... ვფიქრობდი, შესაძლოა, სხვისი თანდასწრების გამოა ეს ურთიერთობები ასეთი-მეთქი.. ეს კაცი ოჯახის წევრების მიმართაც კი არ გამოხატავდა სიტბოს და ყურადღებას. თითქოს მის პიროვნებაში ეს ნაწილი საერთოდ არ იყო. არ არის ეს კაცი ჯანმრთელი, რაღაც ემოციები აკლია. დაუნდობლობაც აქედან მოდის, თუნდაც ის, რაც ზურას მიმართ, მისი ოჯახის მიმართ გამოიჩინა (ნათია დოლიძე).“

ნინო ქადაგიძის ინტერვიუში ზუსტად არის ნაჩვენები სააკაშვილის სულიერი პორტრეტი, ანუ როგორია იგი შინაურ გარემოში. ადრევე ვამბობდი, დავნერეკიდევ, რომ იგი მიზანთროპია, ნინო ქადაგიძეც ამასვე ამბობს თავის ინტერვიუში. ეს ფსიქოტიპი გლობალურ ძვრებზე ფიქრობს და ავიწყდება ყოველგვარი ადამიანური, გარდა პირადი სურვილები-სა და აკვიატებისა, რისთვისაც იგი მზად არის, დაიკიდოს მთელი საქართველო და თავისი ახირება ხალხის ნებად გამოაცხადოს. ბაგრატიის ტაძრის ხელახალი აშენება და გადახურვა გაიხსენეთ თავის მწვანე სახურავით. სამწუხაროდ, ალბათ, იუნესკო თავის სიიდან ამოიღებს ტაძარს მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილმა უარი თქვა რესტავრაციის მიღებულ ნორმებზე და სხვა არქიტექტურული ძეგლი შექმნა. არ ვიცი, არქმევს თუ არა სახელს იგი თავის გატაცებას, მაგრამ, ჩემი აზრით, ის კინის თაყვანისმცემელია. ორი მაგალითის დასახელებაც კმარა: წმინდა გიორგის რომელიღაც ძეგლის ასლი თავისუფლების მოედანზე და ბაგრატიის ტაძრის გადახურვა, სახურავის მწვანედ შეღებვა – მის გემოვნებაზე მეტყველებს.

ამაზე 2008 წლის ომისდროინდელ დღიურში ვწერდი: ეს ჩვენი ვითომ-ლიბერალი პრეზიდენტი ფეოდალური სამყაროს გადმონაშთით საუბრობს და აზროვნებს, მისი ლექსიკაც ნაციონალ-პატრიოტულია და შუასაუკუნეების გმირების მაგალითების მიბაძვას გვიკვირებს, პარალელურად ჯეობარით მოაქვს თავი, თან ნაციონალ-ბოლშევიკობაც სცადა ხანგრძლივი დროის მანძილზე, კულტურა საკუთარი მხარდაჭერების დონეზე აინტერესებს და მის კიჩურ გემოვნებას ენერება მთელი ქვეყანა. რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი თამაშობს სახელმწიფოობანას, რომელსაც პრეზიდენტი კი

არა, თავის შოუმენი სჭირდება, რათა ხალხს შეუქმნას კეთილდღეობის ილუზია. ამ თამაშს იმედგაცრუება და მრავალათასიანი მიტინგები მოჰყვა შარშან, ნოემბერში, ხელისუფლებამ რომ სასტიკად დაარბია, რაც ვადამდეელ საპრეზიდენტო არჩევნებში გადაიზარდა და მორიგი ფიქციის შედეგად მივიღეთ ის, რაც პროფანაციას უნდა მოჰყოლოდა.

თავისუფლების მოედანზე, საქართველოს ბანკის სიახლოვეს, მიწიქვეშა გადასასვლელის მოპირდაპირე კედელთან, ალბათ, გახსოვთ, რამდენიმე ქალბატონი ჩამოჯდებოდა ხოლმე და ჩამვლელებს მიადევნებდნენ: – ოქროს ვიბარებ! ოქროს ვიბარებ! ოქროს ვიბარებ! ხშირად მინდებდა აქეთ ჩავლა და დადევნებულმა ინფორმაციამ – ოქროს ვიბარებ, ამხედდა მოოქრული წმინდა გიორგისკენ და გავი-

# დანახული აქვარი

ფიქრე: ნუ გეშინია, შენ თუ ჩაგიბარებენ ოქროთი მოვაჭრენი ან მეჭართეები, შენი ასლებით მოფენილია მთელი მსოფლიო და მაინც გადარჩები, რადგან შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ, ე.ი. ერთდროულად მრავალ ადგილზე დაგხარ და, ამავდროს, არსად არ ხარ, როგორც ქვეშაირი ტი ხელოვნების ნიმუში...

ღიახ, 90-ანი წლებიდან მოყოლებული, ოცდამეერთე საუკუნეშიც, თავისუფლების მოედანზე ზურაბ ნერეთლის გამოჩენამდე და მოგვიანებითაც, საქართველოს ბანკის შორიანხლოს, პუშკინზე, შინიდან მოტანილ დასაკეც სკამებზე ისხდნენ ქალები და მგზავრის მიახლოებისას, იმის მიხედვით, ვისგან რას მოელოდნენ სავარაუდოდ, შესაბამისი სიძლიერის ხმით თითო-თითო, ცალ-ცალკე, ზოგჯერ ჯგუფურადაც ამოიძახებდნენ – ოქროს ვიბარებ, ოქროსოო!!!

ვიდრე იქაურობას გაეცლებოდა მგზავრი, რამდენჯერმე მაინც მინგვებოდა ქალების ამოძახილი.

– ოქროს ვიბარებ!

წმინდა გიორგის მოოქრული ძეგლი მზეზე ბრწყინავდა და ეს ბრწყინვა ნამდვილად მოტივირებული და კიწური გახლდათ ძეგლივით. ერთხელაც ამ გზაზე მიმავალ დანიელს აეკვიტა ნულოვანი ტოლერანტობის მძიმე შედეგები, სრულიად უდანაშაულოდ დახოცილი ახალგაზრდები და თვალი აუტრემლიანდა. მერე მეგობრის ის ლექსიც გაახსენდა, ასე რომ ეხმადნებოდა არა მარტო მის სატყვიარს, არამედ საზოგადო ტყვიარს, რომლის მიჩქმალვა და მიჩუმება გადაწყვიტა ხელისუფლებამ და, თუ უფლებადამცველები ამ თემას შეეხებოდნენ, საშინლად ბრაზობდა ხელისუფალი და მისი დაქვემდებარებული „სასტაგი“. დღესაც შეამჩნია დანიელმა ფაშფაშა ქალები, ასაკეც სკამებზე აღარ იყვნენ მოკალათებულები და, ცხადია, აღარც მათი ხმა ჩაესმოდა, მაგრამ მის მესხიერებაში მაინც გამეორდა ოდესღაცინდელი ექო:

– ოქროს ვიბარებ! თუმცა იქ უკვე არავინ იყო, მხოლოდ მეგზოვები ფუს-ფუსებდნენ და საგულდაგულოდ გვიდნენ თუ ამტვერებდნენ ტროტუარს.

### ძეგლთან

პუშკინის ქუჩაზე ფაშფაშა ქალები იუნყებოდნენ, რომ ოქროს ვიბარებენ, თავს ოქროდ ასაღებ და ისევ მიწა ხარ, ის მიწა, ახლა რომ გაზონში იბარება.

თავს ვერ შეატყუებ, არ ჩაგიბარებენ, ეს შენი სახეა თუნუქის გეორგინა, ჩემი ოქრო კი ოქროს მხედარია, ჩემი ოქროსფერი გიორგუნა.

საქართველოს ბანკთან ჰყვავიან ცაცხვები, ცაცხვებმა არ იციან, სად არ იყვავილენ, მახსოვს მეგობრის მწარე შეხუბრება – წლები მომავალში გამორიყვავენო

გვამებს, ჩამალულებს დარდების მორევში, რომ წამოედება ხსოვნის ბადეები,

შენ კვდები თანდათან, ასევე თანდათან, ვერც იგრძნობ, დღე-ღამეს ისე გადაები, რომ გიჭირს ნასვლა წარსულის გასათბად, არ გინდა ქუჩაში გამოცალკეება, ნაცნობი დეკოლტე – ჩიხი პირობითი და მშვიერ თვალების გამოსარკვევას

უკვირს, რომ ქალები ოქროს ვიბარებენ, მხედარი მიხედება თვალის გაპარებით, რომ ეიმედება ასლების სიმრავლე და თან ეშინია ჯართში ჩაბარების.

17. 6. 2008 წ.

„ინერპრესნიუსში“ 27 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატიის მინაწერში თიკა კანდელაკი აღნიშნავს: „ჩემი ინფორმაციით, რუსეთთან მოლაპარაკებაზე მოსკოვში საქართველოს უშიშროების საბ-

ჭოს მდივანი გიგა ბოკერია ჩამოფრინდა. ვნახოთ, რით დამთავრდება შეხვედრა.“ სტატიაში გაქარწყლებულია მითი დემოკრატიის შუქურად ნოდებულ სააკაშვილზე და წარმოჩენილია მისი რეალური სახე. გულწრფელად გითხრათ, არ მახარებს ჩვენი პრეზიდენტის დაქინება, მაგრამ სიმართლეს ვერსად დამალავ. ციხის კადრების შემდეგ მისი რეპუტაცია და იმიჯი გაქრა – გაეროში სააკაშვილის გამოსვლისას ცარიელ დარბაზში რამდენიმე აფრიკელი ლიდერი თვლემდა.

ახლა, წინასაარჩევნო ციებ-ცხელებისას, ხმა ამოიღო მერაბიშვილმაც. ვიდრე დუმდა, დუმილი ისეთ იდუმალებას სძენდა, რომ ზოგიერთები მის სიჭკვიანეზე ალაპარაკდნენ.

მერაბიშვილი აქტიურად იმეორებს მისი პირადი დირექტორის ფრაზებს; რომ „ოცნების“ ლიდერი არაფერს ამბობს პუტინზე, საქართველოში ქურდების ჩამოყვანა უნდა, საქართველო უნდა აქციოს რუსეთის ლარიზ გუბერნიად და ათასი სიყალბე, ანუ ის, რაც ნაცებმა შეთხზეს და თვითონ და მისი თუთიყუშები ხშირად იმეორებენ. მათი მიზანი ერთია, ამ ლეგენდებით დააფრთხონ ადამიანები და ხმები წაართვან „ქართულ ოცნებას“. მათ რიტორიკაში ასეთი გეგმა გამოიკვეთა: ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა არ უნდა დავეუშვათ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს. ეს პრიმიტიული აზრი თუ გადაწყვეტილება საკუთარმა ტყავმა უკარნახაო და ახლა ათას სისულელეს ტენიან თავიანთი არხების მსმენელებს, ისევ და ისევ თავის გადარჩენისთვის. აშკარად ჩანს, რომ არჩევნების გაყალბება საკუთარი პერსონების გადაარჩენის ერთადერთ რეალურ გზად მიაჩნიათ და თავიანთ თავს აიგივებენ საქართველოსთან. პირდაპირ ამბობენ: არ დავუშვებთ, საქართველო რუსეთის გუბერნიად აქციონ! ეს ტექსტი სინამდვილეში ასე იკითხება: არ შეიძლება, ჩვენ აღარ ვიყოთ საქართველოს ხელისუფლებაში, თორემ მძიმე დღეები მოგველის.

### ვინ შეაგროვა ამდენი ყბედი, შენუხებული სამშობლოს ბედიო?!

90-იან წლებში დანერილი ეს ორსტრიქონედი ახლაც გამომადგა.

იგი საკუთარ ბედზე მოფიქრალია და თითქოს სამშობლოზე ნუხს. საკუთარი დანაშაულების მიჩქმალვა სურს, მაგრამ, თუ ხელისუფლებამ არ იქნება, როგორ გადაირჩენს თავს.? აი, მთელი ფილოსოფია თუ მთავარი სატყვიარი, რაც ამათ უნიჭო ლეგენდებში იკითხება.

ასე რომ, თიკა კანდელაკმა გაამხილა გიგა ბოკერიას სავარაუდო საიდუმლო ვიზიტი მოსკოვში. მანამდე რობერტ სტურუამ განაცხადა: მოსკოვში შეხვედრებს მართავს ბოკერია...

ესენი ხელებს შლიან, რა სისულელეა, რაებს იგონებენ?! თავის გადარჩენის უნაპირო სურვილმა მოსკოვში აფრინა დესპანი, გვიშველეთ, ვილუპებით! ერთ ხელს ივანიშვილისკენ იშვერენ, გვარნუ-

### ბივი ალხაიზივილი

ნებენ: პუტინის ერთგულია, ერთხელ არ მოიხსენია აუგად... ხოლო მაღულად მოსკოვში გააპარეს დესპანი პუტინთან მოსალაპარაკებლად, ან იქნებ მორიგოვთან. რა მნიშვნელობა აქვს, ვისთან... მთავარია, რომ ეს ნაბიჯი შიშმა გადაადგმევინა ნაც-მოძრაობას. მართლა ბრძანდებოდა ბოკერია კრემლში?! რომელ შიშს ვგულისხმობთ, აბა, რა საკითხავია?! თვითონაც ხედავთ, შავ დღეში არიან... უზნეობის პიკი. ტოტალური სიცრუე, რომელიც ქამელეონივით ცვლებადია და გამუდმებით ფერს იცვლის... არსებობს ძველი და ახალი ტყუილები, საქორების მიხედვით ტყუიან.

ახლა მათ აუდიოკომპრომატებზე საუბარიც ზედმეტია. ადანაშაულებენ ხანდრავას, სანიკიძეს და აჩვენებენ კადრებს თუ როგორ ამოიკენეს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი კოორდინატორი, რომელსაც შსს კრიმინალურ ავტორიტეტად ასალებს. მერე სხვა ფოტოს აჩვენებენ, შეგვეშალაო. ირკვევა, რომ გუბაზ სანი-

კიძის საუბარი უშიშროების ყოფილ მინისტრთან დიდი ხნის წინათ გაიმართა და რომ თანამოსაუბრე მრავალი წელია მშვიდად ცხოვრობს ქუთაისში. აშკარად გამოჩნდა ამ უნიჭოთა არაპროფესიონალიზმი. არაკომპეტენტურობა და მორიგი სიცრუე დადასტურდა აგრეთვე საფრანგეთის ყანდარმერიისთან ურთიერთობაში, რაც აისახა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დელიკატურ წერილში. საფრანგეთის ყანდარმერიის უწყების ორწინადადებიანი ფრაზა აქციეს ბრალდებად, თითქოს ქართული ოპოზიცია ცდილობს, საფრანგეთში მცხოვრები ქურდების დახმარებით დაამხოს საქართველოში ხელისუფლება. ეს უკვე შსს ფანტაზიაა. ისინი დავალებას ასრულებენ და ამიტომ აყალბებენ საბუთებს და იგონებენ ცრუ არგუმენტებს.

საკაშვილს ძალიან სურს ხაინდრავას დაპატიმრება. არ გამოვირიცხავ, რომ მაინც დაიჭიროს ამ განუკითხობაში. პროკურატურა და სასამართლო უსიტყვოდ დაუიბადა ტურებს და შეუკერავს საქმეს. ხაინდრავამ მოასწრო და საფრანგეთის საელჩოს ყველაფერი შეატყობინა. არ ვიცი, როგორ დაიცავს ფრანგული კანონმდებლობა ჩვენებური ნერონისაგან.

„საქართველო მუდმივად დგება ფერფლიდან რამდენჯერაც არ უნდა სცადოს მისი წაქცევა,“ – განაცხადა სააკაშვილმა ქუთაისში დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის გახსნისას. პირველი ფრაზა პასუხია ნინო ჟვანიას ახლახან გამოქვეყნებულ ინტერვიუზე, სადაც ნინო ქადაგიძე გაკვირვებულია, „როგორ ახერხებს სააკაშვილი, სრულიად უიმედო ვითარებიდან ფენიქსივით ფერფლიდან აღდგეს... მიშას ტექსტში „აღდგეს“ იქცა „ადგება“-დ, რაც თავისთავად რამდენიმე საინტერესო ნიუანსს შეიცავს.

ასე უპასუხა სააკაშვილმა არა მარტო ნინო ქადაგიძეს, არამედ მთელ საქართველოს. საქართველო მე ვარ და ნებისმიერ ვითარებაში აღვდგები ფერფლიდან, ასე თქვა!

თავის თანამებრძოლის ქვრივს ასე უპასუხა, ჩვენ კი შეგვახსენა, რომ იგი ყველაფერს კითხულობს და ფრთხილად ვიყოთ, რამე ისეთი არ წამოგვცდეს, მერე რომ არ ვინანოთ.

ფენიქსი ფერფლიდან ჩვენს თვალწინ პირველი ოქტომბრის არჩევნებზე უნდა აღდგეს, როგორც მიშა წერდა, უნდა აღდგეს!

მხარდაჭერები კი სააკაშვილს ბევრად ნაკლები ჰყავს, ვიდრე ივანიშვილს, მაგრამ იძალადებს და გააყალბებს. ხელს ვინ შეუშლის?! ის ხომ ძალიან, ძალიან თავისუფალია.. თან იმასაც იტყვის, საქართველოს რუსეთის გუბერნიად ვე-ლარასოდეს გადააქცევთ, ვერ მოგართვით!!! ნურას უკაცრავად!!!

რამდენიმე არასასურველ ადამიანსაც ჩააყუდებს, თუ, რა თქმა უნდა, ეუთო და სხვა დამკვირვებლები არჩევნებს ლეგიტიმურად ჩათვლიან.

თუ ახლაც გაგვიცა დასავლეთმა, მე არ ვიცი, რა გეშველება...

# ჩვენსად, ჩვენსად, ჩვენსად!

## შატალო

ჩემს ბავშვობაში ძალიან მოდაში იყო „შატალოზე“ სიარული. „შატალო“ – გაკვეთილების გაცდენას ნიშნავს.

მე არ მიყვარდა ეს „შატალო“, რადგან დროს ისე კარგად, როგორც სკოლაში – თანაკლასელებთან, უფროსკლასელებთან და, წარმოიდგინეთ, მასწავლებლებთან – ვერსად ვატარებდი, მაგრამ რაღაც „კაცური“ რეპუტაციის გასამყარებლად, იმის დასამტკიცებლად, რომ არაფრის არ გეშინია და ამაზე წამსვლელი „მასტი“ ხარ, მაინც აუცილებელი იყო წელიწადში რამდენჯერმე ამ ნაბიჯის გადადგმა.

თავიდან პირველ ვაჟთა სკოლაში შემეყვანეს. გოგოებისა და ბიჭების გაერთიანება რომ დაინყო, რატომღაც, არ ვიცი – შეიძლება მაშინვე შეამჩნიეს გამოცდილმა პედაგოგებმა ჩემი ტრფიალი სანინალმდეგო სქესისადმი – პირველ ქალთაში გადამიყვანეს, რომელიც ცოტა ხანში, ასევე გაუგებარი მიზეზებით, 47-ე სკოლად მონათლეს.

ეზოში უზარმაზარი ჭადარი და პატარა ეკლესია იდგა. იქ ფიზკულტურას გვიტარებდნენ. აი, ამ გაკვეთილებს კი სულ ვაცდენდი, არ მიყვარდა და როგორ გავიხარე, როცა ათეული წლების შემდეგ გენიალური მარინა ცვეტაევას ფრაზა წავიკითხე: „Физкультура это трата времени на трату сил“.

ჩემი სკოლა ჩიტაძის ქუჩაზე, ახლანდელი საგარეო საქმეთა სამინისტროს, იმხანად პარტიული სკოლის – ახლა არ მკითხვოთ, რომელი პარტიისო, მაშინ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ერთი პარტია იყო – შემდეგ კი კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობის პირდაპირ მდებარეობდა.

სკოლიდან თუ გაიპარებოდი, ან მაღლა, მთანმინდაზე უნდა ასულიყავი ან დაბლა – რუსთაველზე დამკვეთელიყავი.

თუ მთანმინდისკენ ნახვიდოდი, პირდაპირ ილიას, ვაჟას, ბარათაშვილის სამუდამო განსასვენებელს გადააწყდებოდი. გალაკტიონს რომ მიასვენებდნენ, ჩვენ სკოლას ვამთავრებდით. იმ დღესაც „შატალოზე“ ვიყავით და მთანმინდიდან ვუცქერდით, როგორ მოჰყვებოდა მის კუბოს სერპანტინით დახვეულ აღმართზე მთელი საქართველო. დიდებული სანახავი იყო ეს მსვლელიობა.

დაბლა თუ დაეშვებოდი, ჯერ საქართველოს კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის კაბინეტს, ახლა რომ უშიშროების მინისტრი ზის, ჩაუქროლებდი, მერე პიონერთა საახლესა და მინისტრთა საბჭოს შუა გაივლიდი და პირდაპირ კინოთეატრ „რუსთაველს“ მიაღებოდი.

იქ ვეზიარეთ ომისშემდგომ ენ. „ტროფეინი“ ფილმებს პირველად. ბილეთი სულ რაღაც ოცდაათი კაპიკი ღირდა, თუმცა კონტროლიორები ხანდახან უბილეთოდაც გვიშვებდნენ ბალღებს.

იყო მესამე გზაც. სკოლის ეზოდან, ეგრეთ წოდებული უკანა კარიდან თუ გაიპარებოდი, ბესიკის ქუჩაზე ბაღში აღმოჩნდებოდი. ახლა ამ

ბაღში დიდი საბას ძეგლი დგას. დილაა. პირველივე გაკვეთილს ვაცდენ რამდენიმე მეგობართან ერთად.

გაზაფხულია. მთანმინდიდან ნიავს ახლად აყვავებული ნუშისა და გარგარის ყვავილის გამაბრუებელი სურნელი მოაქვს.

თბილა. „მანონი... მანონი...“ ჩაიარა რუხი ბრუნვისგან ხელით შეკერილი დიდი ჩანთებით ახორხლილმა კოჯრელმა მემანვნემ. ამ ქალს პირველად არ ვხედავ, ყოველ დილით დადის აქ და მყუდროებას არღვევს...

სინყნარეა... პურის მაღაზიაში კანტიკუნტად შედიან მთანმინდელები.

ჩვენ გრძელ მწვანე სკამზე ვსხედვართ და უდარდელად ვენევიტ სიგარეტს.

არავითარი აზრები არ ანუხებს და აშფოთებს ჩვენს გონებას. არადა, რთული პრობლემა გვაქვს გადასაწყვეტი: ქვევით დავეშვათ თუ ზევით აუყუყვით?

ამ დროს გაისმა ყვირილი, ღრიალი, რაც გინდათის დაარქვით...

„ჩემი ინსტრუმენტი...“

„ჩემი ინსტრუმენტი სად არი, ტო... მოვკლავ... დამიბრუნეთ ჩემი ინსტრუმენტი, თქვე უნამუსოებო, ხალხი არა ხართ?“

ეს ჟორიკა არ არი? – იკითხა მალხაზმა.

ჰო, ის არი, ნასვამია? – შოთაც დაბნეულია.

ნასვამი კი არა, გაგლეჯილია, ვერ ხედავ?

ასე აღრიანად სად მოასწრო?!

მე ჟორიკას არ ვიცნობ. ჩემს წარმოდგენაში ინსტრუმენტი ვიოლინო, როიალი და ვიოლონჩელია და ამიტომ, ბუნებრივია, ამ თავგანწირული ღრიალის გაგონებისას რომელიმე ცნობილი მუსიკოსის ან კონსერვატორიის სტუდენტის გამოჩენას ველო.

ამ დროს ჟორიკაც მოგვიახლოვდა.

– ეს ვინ არის? – ვიკითხე მე. არაფერი მიპასუხეს.

– ბიჭებო, მიშველეთ, ჯიგრებო, ჩემი ინსტრუმენტი... უთხარით, სთხოვეთ, დამიბრუნონ, დავილუპები უიმისოდ... დავილუპები...

– სად არი ინსტრუმენტი, ჟორიკ, სად?

– რა ვიცი, ნუხელ აქ მუხური იყო, ჩვენები და სოლოლაკელები... ერთი შემოვარდა, ამუბნელია, სიფათზე ვცნობ... ინსტრუმენტი მთხოვა, მათხოვეო, წავიდა და წავიდა, მთელი ღამე არ მეძინა, ველოდი, ველოდი... არ მაიტანა... არ მაიტანა... დავილუპე, დავილუპე... ბი ჯე ბო... ჩემი დანა... ჩემი კუკლა, ტარზე შავტყავგადაკრული დანა სად არი?

– ვინ არი ჟორიკა? – მეორედ ვიკითხე მე

– შენ კიდე რა მოგივიდა, ამუბნელი საპოუნკია.

## წვირა

დადიოდა თბილისში მაღალი, ლამაზი, ეშხიანი, გალაკტიონივით გრძელწვერა კაცი – რეზო საყვარელიძე, მეტსახელად „წვერა“.

ბატონი რეზო მათემატიკის მასწავლებელი იყო. პირველ სკოლაში ასწავლიდა, მაღალ კლასებში.

სრულიად მოუსყიდველი, უცნაურობამდე პატიოსანი, პირდაპირი, იუმორით სავსე. არ არსებობდა მასთან ჩანყობა.

ანეკდოტებად იყო ქცეული მისი მოუსყიდველობის ამბავი.

„რააა არა, მევიდეს, კაცო, შენი ხათრით რააა არ დოუნერ სამიანს“ შეპირდებოდა ახლობელს. მივიდოდა მონაფე და რახ! – ორიანი.

ამას არ აკმარებდა, მთელი კლასის წინაშე გალანძღავდა:

„ბიჭო, რააა არ გრცხვენია, ამხელა მუტრუკს, სამიანის გულისთვის რომ ამინრიალე მთელი სანათესავო და ამიტალახე სახლის კარი“.

შედეგიც ჰქონდა: ყველამ იცოდა, რომ მასთან ვერაფერს განწყობდა და ამიტომ სწავლობდა...

„სტროგი, სტროგი“ უსაშველოდ.

არა, ბუნებით კი არ იყო ასეთი მკაცრი, „იმიჯს“ ქმნიდა აბეზარი, ზარმაცი მონაფეების და მათი მშობლების მოსაგერიებლად.

დევიზი ჰქონდა: ხუთს ვერ დაგინერ, ბიძია, ვერც ოთხს. თუ იცი, სამიანს მოგაშავებ. ხუთზე ღმერთმა იცის, ოთხზე მე და ჩემი სამიანი სხვის ხუთიანს გერჩინოსო!

პოპულარული კაცი იყო თბილისში.

ბატონი რეზო ჩემთვის რეზო ბიძია იყო იმიტომ, რომ დედაჩემს ბიძაშვილად ეკუთვნოდა.

ნიგნებიდან თავი რომ ავნიე ბოლო კლასებში და ჭკუა ქუჩისკენ რომ გამეპარა, ცხონებულმა დედაჩემმა გადაწყვიტა, მათემატიკას მაინც ვასწავლი, აგერ არ არი რეზოო.

იცოდა მისი სიმკაცრის ამბავი და იფიქრა, ბავშვს გადავარჩინო.

ახლა რომ ვუკვირდები, ისე ხშირად იცვლიდა საცხოვრებელს რეზო ბიძია, ალბათ, ბინა არ ჰქონდა, ქირობდა. ჯერ ძველ თბილისში, მერე დავითაშვილის დასაწყისში, მერე იმავე ქუჩის ბოლოში, სამადლოს გვერდით. ერთოთახიანი ბინა ჰქონდა ყოველთვის.


ჰყავდა მეუღლე, ცისფერთვალეა, ქერა, მშვენიერი ქალბატონი – ნათელა, რომელიც ფრანგულს ასწავლიდა და აბსოლუტური ანტიპოდი იყო ქმრისა. რამდენადაც თავისუფალი იყო ბატონი რეზო, ლალი – როგორც საქციელში, ისე საუბარში, იმდენად წყნარი, თავშეკავებული ბრძანდებოდა ქალბატონი ნათელა. მხოლოდ ორიოდე ფრაზა მაქვს შემორჩენილი მისგან.

სალამოს შვიდი საათის შემდეგ ვიკრიბებოდი. ისინი სკოლებიდან დაღლილ-დაქანცულები, მშვირები, მე – ჯან-ღონით სავსე.

ჩემს გარდა, ბატონ რეზოს რამდენიმე მონაფე ჰყავდა და ძირითადად ამით ირჩენდა თავს.

ქალბატონ ნათელასაც ჰყავდა მონაფე. მაგრამ, როგორც წესი, ყოველთვის რატომღაც ერთი.

ჩვენ ყველანი დიდ მაგიდას ვუს-



გიორგი არაბაძე

ხედით გარშემო.

ქალბატონი ნათელას მოსწავლე ყოველთვის კუთხეში იჯდა, განმარტოებით და ჩუმად ეპუტუნ-ეჟღურტულებოდა ფრანგულად მასწავლებელს რაღაცას. შევიდოდი და:

– კიდე მოდი, შვილო?  
– რა ვქნა, რეზო ბიძია, დედაჩემი...

– არა, მოდი, მოდი, გენაცვალე, შენზე კაი ვინ მოვა? ნათელა! მევიდა ბოვში, გეინძერი, ქალო! შენ, ჭაში ნახათქუნებ ვედროსავით რო გაქ მაგ თავი, რას მომჩერებხარ? წინ ჩეიხედე რვეულში! – ეს სიტყვები ერთ-ერთი ჩამორჩენილი მონაფისკენ იყო მიმართული.

– რევაზი! – ეს იყო ქალბატონი ნათელას პირველი ფრაზა. მისი ყველაზე დიდი აღშფოთება. პარალელურად ვახშამს ამზადებდა და, თუ სიმართლე გინდათ, სწორედ გემრიელი ვახშამი იყო ჩემი მათემატიკის გაკვეთილების გაუცდენლობის ძირითადი მიზეზი.

– რააა კურკლივით დოუდე ამ ბოვშს, ქალო, ხო მომკლა დედამაცისმა, არ იტყვის, ის არ მეყოფოდა, უსწავლელი რო გამოუშვით ბოვში, მშიერიც დამიტოვეთ?

– რევაზი! – ეს ისევ ქალბატონი ნათელაა.

რეზო ბიძიას საყვადური, რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერებოდა. ქალბატონი ნათელა ყველაზე დიდ ნაჭერს მე მიდებდა ხოლმე.

მე მრცხვენოდა თავდაპირველად.

– არა, დიდი მადლობა, არ მინდა!  
– ჰოდა, შენ და შენმა „არმინდამ“ ერთად ჭამეთ!

ეს მეორე ფრაზა გახლდათ ქალბატონი ნათელასი.

დანარჩენ მონაფეებს რეზო მასწავლებელი სულ ტყავს აძრობდა, წურავდა, ისე ამეცადინებდა.

მე ვუყვარდი, ვეცოდებოდი და სულ საქმელს მაძალღებდა.

ხვდებოდა, რომ ჩემგან მათემატიკოსი არ გამოვიდოდა.

ხანდახან ამოიოხრებდა:

– ეხ, ელენა, – ასე ერქვა დედაჩემს, – შენ რა გითხარი ამ ბოვშის წვალებისთვის? – მერე მომიბრუნდებოდა და მეტყოდა: – თვლა მაინც ისწავლე, ბიჭო, იქნებ გამოგადგეს რამეში, რა იცი?!

... თვლა კი ვისწავლე, მაგრამ გამომაღვა, რო?!

►► გაგრძელება შემდეგ ნომერში

**საქართველოს**

თავდავინყება, საქართველოვ, ხარ ერთადერთი, შენით იწყება ყველაფერი, შენით მთავრდება, მარადისობის რწმენით მავსებს სინდინდე ღმერთის, ერის და ბერის გონი გიდგას სანდო თავდებად.

რატომ ხარ ასე ტკბილზე ტკბილი, სულზე საამო, შენი შვილი ვარ, შესაშური, თან დამყვა ბედი, შენ ხარ ყოველი: მზეი, მინა, წყალი, მალამო... ჩვენი გაჩენის და კაცობის წინამორბედი.

**ყველა ანბანი კარგია**

ყველა ანბანი კარგია, კარგია ყველა ანბანი, სულ მთლად ია და ვარდია, ოქროს ცვარ-ნამში ნაბანი. ტანმწყაზარ, თვალეხბატული – მაინც სხვა არის ქართული.

**აი, ჩემი მამული**

სახლი მთაში, სახლი ბარში, ზედ ზღვის პირას ჩადგმული, ხალხი ლაღი, გულგადაშლით – აი, ჩემი მამული.

აივნები, აივნები მძივებზე გაბმული, ხალხი თბილი, წმინდა ნების – აი, ჩემი მამული.

ვაზი ხეზე, ვაზი სარზე, სახლებზე განაბული, აღმაფრენი სილამაზე – აი, ჩემი მამული.

სუფრა სახლში, სუფრა გარეთ, ღვინოთი დანამული, მასპინძელი გულმხურვალე – აი, ჩემი მამული.

**ქართველი ვარ, ქართველი ვარ**

ბრდღვიალა მზე სხივებს მაქსოვს, ჩაუქრობი ნათელი ვარ, ყოველთვის და ყველგან მახსოვს: ქართველი ვარ, ქართველი ვარ.

ღვთისმშობლის ნილხვდომილი ლაღი ქვეყნის მმართველი ვარ, სიკეთეს ვარ მინდობილი, ქართველი ვარ, ქართველი ვარ.

დიდი შოთა რუსთაველით სამსოფლიო სახელი ვარ, ღირსებებით სასურველი ქართველი ვარ, ქართველი ვარ.

უნდა მნახო შემოდგომით, რა უხვი და რა რთველი ვარ, მოყვასთათვის კარგის მდომი ქართველი ვარ, ქართველი ვარ.


ვცხოვრობ ღვთიურ შეგონებით, ანთებული სანთელი ვარ, არავის დავემონები, ქართველი ვარ, ქართველი ვარ.

**ოქროს ჟამი**

ყმანვილობის ოქროს ჟამი მორცხვად მიცქერს ჩეროდან. რა სჯობს იმ დროს და სიამეს, ზღაპარიც რომ მჯეროდა.

ეს სამყარო იწყებოდა ჩემი სოფლის მდელოდან, ღელე, გორა, ეზო, ოდა – ყველაფერი მღეროდა.

ჩემად ვთვლიდი მზის სამყოფელს, აღერსად იფრქვეოდა. ნეტავი, მთელ ნუთისოფელს სიყმანვილე რქმეოდა.



**გალაქტიონ ლლონტი**

**სინათლე და სისადავე**

სინათლე და სისადავე ჰაერივით მასაზრდოებს, არ ვუმართავ არვის დავას, ვეჭიდები ჯანსაღ რტოებს. სიბნელე კვლავ ბნელად წავა, სინათლე კი კვალს დატოვებს.

**გულს ვუსმენ მხოლოდ**

მე ვუსმენ შოთას, მე ვუსმენ შოთას, ქართული სულის ზეიმს და შფოთვის; დავითს, ნიკოლოზს, აკაკის, ვაჟას გულის სიღრმიდან შევძახებ ვამას; ვუსმენ ილიას, ჩვენს დიდ ილიას, ის ზღვა ძალა და სიმძიმელია... და რომ ვფიქრდები ბოლოს, საკუთარ გულის ხმას ვუსმენ მხოლოდ.



**რეზა შალვა**

**ვხვდები გამთენიას...**

ვხვდები გამთენიას, სულმთლად უძინარი, მინდა, მზის სხივებმა დარდ გამითელონ, ღამის ნაფიქრალზე მითხრან სამძიმარი, გული, დამსხვრეული, ეგებ გამითელონ. სულაც არა ვჩქარობ, ახლა ფიქრს წასვლას, მთვარით მოვედ და სხვა რა დამჩენია, ვნატრობ კოკისპირულ წვიმას, თუნდაც თავსხმას, რაღაც საიმედო, თუკ გამჩენია. მთვარის ცაღ ამოსვლას შიშით ვეგებები, ვიცი, როგორც ნუხელ, ველარ დავიძინებ, ფიქრს კი, მაგრამ სევდას, რას შევეგუები, ისეც დამძიმებულ გულს არ დავიძიმებ. ძლიერ გადაღლილი ღამეულ წვიმით, მთვარის სხივებისგან დამჩნა მოგონება, თითქოს შენზე ფიქრის ვიყო შესანიერი, არ მაინტერესებს, ვის რა ეგონება. არ ვიფიქრებ-მეთქი, როგორ მწარედ შევეცდი, ახლაც მთვარეს ველი, უკვე ჩამოღამდა, ისე მენატრები, ვფიქრობ, ბოლოჯერ ვცდი, მგონი, ნაფიქრალი სიზმარს ჩამოჰკავდა. ვხვდები მზის ამოსვლას თითქმის უძინარი, ნატვრა ასახდენი, ფიქრით რამდენია, მსურდა შენთვის მეთქვა დღემდის უჩინარი, გულით მომელოცა გრძნობის გამთენიას.

**დაბვიზრუნდება...**

საქართველოა, ალბათ, სამოთხე, (სხვა საყუდარი ჯერ არ მინახავს), მინა, ცის თალი, ერთად დაამოყვრეს, ამდენ მშვენებას ერთად ვინ ნახავს. ღვთისმშობლის მიერ ნაკურთხ მინაზე, უფლის გაჩენის დასაბამიდან, ქრისტეშობიდან დღეის მიჯნაზე, უფლის დიდებას ვწამობთ თავიდან. ერი სიმართლის ბრძოლით გამტანი და ათივ მოძღვრების, ჩვენ უფალის, უსამართლობის ბრძოლით ამტანი და მაინც, დღემდის თავისუფალი. თავისუფლებას უნდა მოხვეჭა, ცხოვრებაც გვსურდა ლაღი, ახალი, მაგრამ ყოფილა, ზურგიტ მოგვეჭრა, მოპარვით ჩაგვცხო მტერმა ლახვარი. ისეც წამოდგა ქართველ ერი, ფრთებ აშალა ცაშ არწივმა, დაჭრილს შევლოდა ერ და ბერი, ვერ შეგვაშინა ტყვიამ ნაწვიმმა. დიდხანს ძალიან გულ მტკიოდა, გული, რომლისაც მოკვლა გვიპირეს, დედას თავისი შვილ სტკიოდა, მტრისამაც მრავლად გამოიტირეს. ახლა სხვა დროა, მორჩით, გეყოფათ, ჩვენ რაც არის, არ დავთმობთ ისეც, მინა წართმეულთ გამოეყოფა, დაგვიბრუნდება, უფალით მყისვე.

**თითქმის გავიდა...**

უკვე ზამთარი თითქმის გავიდა, მალე დათბობის დღენ იწყება, დრომ გაზაფხულის მოსვლა გარინდა, რომ შეგვახსენოს თავდავინყება. რად იგვიანებ, მითხარ, ვინა ხარ, ვისთან მოხვედი, ანდა, რას ეძებ, შენ სადარი არც რა მინახავს, მივხვდი, უჩემოდ დიდხანს ვერა სძლებ. მე შენ მოგელი დროდან ზამთარის, სითბოდ მთავარის, თვიდან აპრილის, იმედის გრძნობით დრომ გამთბარი

და ყვავილებით, ველად აყრილით. გულისტკივილი, ვიცი, მომელის, ქების სიტყვებიც არ მეზარება, სითბოს საწყისის მუდამ მდომელი არ მსურს გულს ჩამრჩე გამოცანებად. შენით შევხარი, ვდღეობ ზვალადან, გაზაფხულივით მეცნე მინდოდა, მომავლის ნდომამ არ განმადიდა, თუ ნაზამთრალი კვლად დამინდობდა. შენა ხარ ჩემ და სხვათ მრავალის, ვერშეუცნობ გულისტკივილი, ჩვენ სიცოცხლე არის მთავარი და დასაწყისი ჟივილ-ხივილის.

**მინდა გახარო...**

მე ახლა ვთვრებ შენ სურნელით, შევნატრ მოსვლას გაზაფხულისას, ოცნებად რჩები ბევრ მსურველის, ყვავილად, მინდვრად დარაზმულისა. ტყის გაღვიძებას უგალობს შაშვი, სხივ ელვარებს მზიდან ნატყორცნი, ბალმ დაცქმუტავს პატარა ბავშვი, ნაოფლარ მკერდზე ნიავ-ნაკოცნი. ადამიან ნეტავ, თუ ხვდება, როცა ბუნება იცვლის სამოსელს, ძველ ოცნება რომ ფიქრით ცვდება და კარებს ახალს უღებს დამლოცველს. გაზაფხულივით შენსკენ მოვილტვი, ლურჯ იებ მინდა გახარო, შენს აღტაცებას როგორ მოვიშლი, თუნდ ზეციერმა სულთან გამყაროს. გვიან, ტკივილად ჩამრჩი, თავიდან, სალბუნს დავეძებ წამლად აქამდის, გულმ ამენთო კელაპტრად, მინდა, გეფერებოდე ძლიერ დალლამდის. შენ თვალების ვარ შემართება, ვიყო შენს ბაგეთ თანაზიარი, ყვავილს უწყლობით რა ემართება იც და წყაროდ გამაზიარე. მინდა და ვთვრებ შენ სურნელით, შევნატრ მოსვლას გაზაფხულისას, მუდამ ვიქნებ მათ მსურველი, ყვავილთ, მინდვრისათ დარაზმულისა.



სხვა ხალხის ისმის აქ ურიაშული. გალაკტიონი

მარცხენა თვალი დილიდანვე უთამაშებდა, გულმაც რაღაც ცუდი უგრძობო, ამიტომ გარეთ აღარ გასულა და განსაკუთრებულიც არაფერი შემთხვევითა და, ალბათ, არც შეემთხვევია, საღამოს ძალი გასასიერებლად რომ არ გაეყვანა, - სწორედ იმ ადგილას, სადაც, ჩვეულებებისამებრ, ძალი ქუჩაზე გადაჰყავდა ხოლმე, მალაღობი, შავცილინდრიანი უცნობი დაინახა.

- თადეოზ ბატონო, გაგიკვირდებათ, მაგრამ სწორედ იმ ადგილს, სადაც თქვენ ქუჩის გადაჭრას აპირებთ, შავ ფერებში ვხედავ და აქ გადასვლა, მეტი რომ არ ვთქვა, ერთობ სახიფათოა. - უცნობმა ცალი, სრულიად უფერული თვალით გამოხედო (მეორე შავი ლენტი ირიბად ჰქონდა გადაკრული), მისმა შავმა ხელჯოხმა ჰაერში წრე შემოხაზა და მსუბუქად შეეხო ქვაფენილს. ამგვარი გაფრთხილება უყურადღებოდ შეიძლება არც დაეტოვებინა და ქუჩის მეორე მხარეს უფრო ფრთხილად გადასულიყო, მაგრამ უცნობის უბოროტო, მენტორულმა თეატრალურმა ტონმა და ასეთმა უჩვეულო მომართვამ, თადეოზო, - მაშინ, როცა ყველა თედოს ეხახდა, ისე გააღიზიანა, რომ გაფრთხილება არად ჩააგდო, თითქოს ჯინაზე, მანქანების სავალი ნაწილზე გადავიდა და მამინვე დაისაჯა - საბურავების ავის მომასწავებელი ღრჭიალი და დარტყმა ერთი იყო. და გონება დაკარგა...

...პირველი, რაც მკაფიოდ დაინახა, ეს იყო კედელზე გაკრული წარწერა, რომელიც, ინგლისურის არცოდნის მიუხედავად, გაკვირებულმა მაინც თავისუფლად წაიკითხა: მაგარ, ჯანსაღ სხეულში, შესაბამისად, ჯანსაღი, ძალიან მაგარი სხეულია! ერთი კი გაიფიქრა, ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული არ უნდა იყოსო, მაგრამ მეტად აღარ ჩაძიებია, - ისედაც თავი უსკდებოდა და იმგვარი უჩვეულო შეგრძნება ჰქონდა, თითქოს საიდანდაც, მსუბუქი შორეიდან დაბრუნდა ხანგრძლივი, დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ. იდაყვებზე წამოიწია, უფანჯრო ოთახს თვალი მოავლო და შეცბა, - კუთხეში, სკამზე გაუძმრეველად იჯდა თეთრხალათიანი, თეთრჩაჩიანი კაცი და შუშის თვალებით მოსჩერებოდა, მერე რაღაც გაურკვეველი ბგერები ისე წარმოთქვა, სახის ნაკვეთები ოდნავდაც არ შეტოვებია, ეტყობა, რობოტი იყო. გარდა ამისა, ოთახში სხვა უცნაურობანიც შენიშნა: კედელთან მიდგმული ოვალური კარადა და ასეთივე სავარძელი თითქოს ჰაერში ეკადა, ვაითუ, ჩემი საწოლიც ასევე, ძლივს გადაინია, სარკესავით პრიალა იატაკზე საწოლის ოთხივე გორგოლაჭიანი ფეხი და თავისი გამოსახულებაც დაინახა, საწოლის თავთან ასევე ჰაერში გამოკიდებულ ეკრანზე კი გაღიმებული ლამაზმანები. ჰაერშივე სველივებდა გამჭვირველი სითხით სავსე ონკანიანი ბალონიც, მაგრამ, წყურვილის მიუხედავად, წყლის ჩამოსხმა ვერ გაბედა, არ იყო დარწმუნებული, შიგ დასალევი წყალი თუ იდგა. უცერად რაღაც უჩვეულო ხმა შეაკრთო. რობოტმა ბალონიდან ერთჯერად ჭიქაში ჩამოსხმული წყალი მიანოდა, თუმცა ვერ მიხვდა, საიდან გაჩნდა იმის ხელში ეს ჭიქა, მერე ცარიელი ჭიქა გამოართვა და ასევე გაუგებარი დარჩა, როგორ მოახერხა მისი ჩაგდება ბურთივით მრგვალ, უნახვრეტო, მფრინავ ნაგვის ყუთში, მაგრამ უფრო იმან გააოცა, რომ თავის ტკივილი დაღვეისთანავე მოეხსნა. ამ რობოტმა და მფრინავმა ნაგვის ბურთმა, უცნაურმა კარადამ და სავარძელმა, წყლის ბალონმა და ლამაზმანებთანმა ეკრანმა, ჰაერში ასეთნაირად გამოკიდებულმა ყოველივე ამან, თითქოს ამ ოთახში დედამიწას თავისი მიზიდულობის ძალა დაუკარგა, ფანტასტიკური ფილმი მოვაგონა. ნეტავი, სად მოვხვდით, ფიქრობდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა თუ რა მოხდა

იქამდე, ვიდრე ამ უცნაურ ოთახში აღმოჩნდებოდა. საწოლზე წამოჯდა, ფეხები ფრთხილად გადაინია იატაკზე და ფლოსტებში გაყო. ერთხანს ასე გაუძმრეველად იჯდა, თავს ცუდად თითქოს არ გრძობდა და წამომდგარმა გაუბედავად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მერე უფრო თამამად გაიარ-გამოიარა. მარცხენა, გაბუყებულ ხელს თუ არ ჩავთვლით მაინც-დამაინც არაფერს შეუწუხებია, თავმაც გაუარა და რისთვის მოათავსეს ამ, სავარაუდოდ, საავადმყოფოში თუ სასტუმროში სრულიად გაუგებარი იყო და, რაც უფრო სწრაფად დააღწევდა აქედან თავს, მით უკეთესი იქნებოდა. პიჟამიანი გარეთ

მლის ზონარის განასკვავც კი ვერ მოასწრო, არა, აქ შეჩერება თითქმის შეუძლებელი იყო, გვერდით ქუჩაზე გადაუხვია და მისკენ კოჭლობით მომავალი ნაგაზი დაინახა.

- ზოი, შენც აქა ხარ, ბიჭო? - გახარებულმა თავზე ხელი გადაუსვა, იმან კი მარჯვენა, მტკივანი თათი თითქოს ჩამოსართმევად გამოუნოდა, ერთი საცოდავად დაინკმუტუნა და ნაღვლიანი თვალებით ამოხედა. - ეს რა დაგმართნია, ბიჭო? - ნაიარევი თათი ცხვირსახოცით გადაუხვია, იმან კი ხელი აულოკა.

- ეს სად მოვხვდით, თუ იცი? - იკითხა სხვათა შორის, ქუჩის ბოლოში მეჩეთის

ქართული ხარ, ბიჭო?!

ვერ გავიდოდა, მისი ტანსაცმელი კი შეიძლება სწორედ იმ კარადაში ყოფილიყო, რომლის კარს მართალია, სახელური არ ჰქონდა, მაგრამ ხელის შეხებისთანავე გაიღო და შიგნით მისი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი აღმოჩნდა; თავისი ნივთები გამოიღო და კარი თავად დაიხურა. ჩაიცვა, წამით ოთახის კართან შეჩერდა და ეჭვით გახედა რობოტს, მაგრამ ამას არამცთუ მისთვის წინააღმდეგობის განევა არ უცდია, ყურადღებაც კი არ მიუქცევია. ცარიელ დერეფანში გავიდა, ლიფტის ლილას დაანვა, მაჩვენებელზე, მისდა გასაკვირად, 34-ე სართული დაინერა, ლიფტის კარი გაიღო, ცარიელ კაბინაში შეაბიჯა და სულ რამდენიმე წამში პირველ სართულზე აღმოჩნდა. ფართო, ნათელ ფოიეში უჩვეულო არაფერი შეუმჩნევია, გარეთ კი, კედელზე მიმაგრებულ აბრაზე გაუგებარი, თუმცა შიგნით ნანახის მსგავსი, აქაც ინგლისური, მეტად უცნაური სახელწოდება ამოიკითხა: „გზისტენცილისტურ-ექსტრაორდინარული, მალალსირთულიანი ფარმაკომფრინავი, მთავარი საპილოტე კლინიკა“. შავი, კვადრატული ბუჩქებით შემოსაზღვრული ბილიკით მინის გამჭვირვალე ჭიმკარს მიადგა, კარი მძიმედ აინია, თითქოს ჰაერში დაეკიდა, მერე ასევე მძიმედ დაემგა მის ზურგს უკან და უსახური ცათამბჯენებისა და უცხოელების გარემოცვაში მოხვედრილმა ვერც კი შეამჩნია უკან კოჭლობით ადევნებული უზარმაზარი კავკასიური ნაგაზი. ამ გამაყრუებელ ხმაურში იქით-აქეთ სწრაფად მოძრაობდნენ შავმოსასხამიანი, ჩადრიანი ქალები, ჩალმიანი მამაკაცები, შავკანიანები, ფერადკანიანები, არაბები, ჩინელები და სრულიად გაურკვეველი ეროვნების ხალხი, მაგრამ წამლად ერთი ქართველიც ვერ ნახა, რომ გაეგო თუ სად მოხვდა და, რომც ენახა, სირცხვილით როგორ უნდა ეკითხა, არ იფიქრებდა, მთავრიდან ხომ არ ჩამოფრინდოდა. არადა, თბილისი წამდვილად არ იყო და არც ესენი იყვნენ თბილისელები - სრულიად განსხვავებულ, უცხო გარემოში აღმოჩნდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისთვის აქ არავის ეცალა, ან მობილურით საუბრობდნენ ან ყურსასმენები ჰქონდათ გაჩრილი და სადღაც მიიქაროდნენ, შუა ქუჩაში ნელა მიედინებოდა მანქანების უწყვეტი ნაკადი, მერე ხალხმა გაიტაცა და ფეხსაც-

მინარეთი შენიშნა და არა, თბილისი არ არისო, დაასკვნა, მაგრამ თუ თბილისი არაა, მაშ, რა ჯანდაბაა, ხომ წარმოუდგენელია, რომ ადამიანი თავისი ნების სანინაღმდეგოდ უცერად, ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში ან ჩიკაგოში აღმოჩნდეს თავის ძალღთან ერთად?..

- ერთი, ეს გამაგებინა, სადა ვართ და მეტი არაფერი მინდა, - ჩაილაპარაკა თავისთვის და სწორედ აქ მოხდა საოცრება - ძალღმა, ადამიანის ხმით, მკაფიოდ და გარკვევით წარმოთქვა მხოლოდ ერთი სიტყვა: თბი-ლი-სი და ეს იმდენად დაუჯერებელი იყო, ალბათ, მეჩვენებო, გაიფიქრა.

- რაო, ბიჭო, რა თქვი?

- თბი-ლი-სი, - ზუსტად ისევე გაიმეორა, უკანა თათებზე დადგა და პატრონს შეაჩერდა. ძალი ადამიანივით თუ ალაპარაკებოდა, ამას ვერასდროს წარმოიდგენდა. რაღაც უსიამოვნო, შიშნარევი შეგრძნება გაუჩნდა, მოეჩვენა, თითქოს ადამიანად გადაიქცა, მაგრამ უცნაურმა ხილვამ სულ რამდენიმე წამს გასტანა. ზოი წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, შეჩერდა და გამოხედა, კიდევ გაიარა მცირე მანძილი და ისევ გამოხედა. აშკარად მონანიშნებდა, გამომყევით, ქუჩის ბოლოში კი უკანა თათებზე დაჯდა და თავანუელი რაღაცას მიაჩერდა. მანაც იქით გაიხედა, მაგრამ მრავალსართულიანი შენობების მეტი ვერაფერი დაინახა, მერე ზოისკენ გადაინაცვლა - ზემოთ, შენობებს შორის, შორს ეკლესიის მზისგან გაკაშკაშებული გუმბათი თითქოს ჰაერში ეკიდა და ტაძრის ნაწილიც მოჩანდა. თითქოს მეცნობაო, ჩაილაპარაკა, თუმცა ეკლესიის სახელი ვერ გაიხსენა.

- მთა-წმინდა, - წარმოთქვა ზოიმ ისე, რომ ერთი ნერტილისთვის თვალი არ მოუნყვებია. ძალღმა მთაწმინდა თუ იცოდა, ვერც ამას წარმოიდგენდა და ვერც ის დაიჯერა, რომ ეს, სრულიად გაუცხოებული ქალაქი მართლა თბილისი იყო, ის ეკლესია კი (სახელი ისევ ვერ გაიხსენა) მთაწმინდა, გამომყევით, ანიშნა, გზა გააგრძელა და ხმაურიან, ცათამბჯენებით დაბურულ ისეთ დერეფანში აღმოჩნდა, მზის სხივი რომ ვერ ატანდა, ჰაერი კი მანქანების გამოწაბოლქვით იყო გაჟღენთილი. მართალია, ეს საშინელი ქუჩა-დერეფანი პირველზე ბევრად ფართო იყო, მაგრამ მოძრაობა აქაც ჭირდა,

სიმონ ჯაფარიძე

მანქანების მჭიდრო ნაკადი კი დიდი, შავი ხოჭოების ქარავანივით მილოღავდა შუა ქუჩაში. ნაირფერად მოციმციმე მოძრავე და უძრავ რეკლამებს შორის კედელზე ძლივს იპოვა ქუჩის დასახელება: „First avenue“.

- პირველი ავენიუ, - ჩაილაპარაკა სინანულით. - აკი თბილისიაო...

ზოი უკანა თათებზე დაჯდა. ერთხანს ქუჩაში მოძრავე ხალხს მოსჩერებოდა.

- რუს-თა-ვე-ლი, - წარმოთქვა მკვეთრად და გარკვევით.

- რას ამბობ, ბიჭო, ეს რუსთაველია?!

ზოიმ უწინდებურად ანიშნა, გამომყევით, ხალხის ფეხებს შორის გაძვრა და პატრონსაც გაუკვლია გზა. საშინელ დერეფანს, როგორც იქნა, თავი დააღწიეს, შედარებით მშვიდ ქუჩაზე გავიდნენ და ვინრო აღმართს შეუდგნენ. აქ ტყუპებივით მსგავსი ორსართულიანი, უაივნო და ბანიანი, უსახური, სრულიად უცხო შენობები იდგა, აღმართის ბოლოს კი მინარეთიანი მეჩეთი. ზოი ისევ უკანა თათებზე დაჯდა და ზემოთ, მთას მიაჩერდა, აქედან კარგად მოჩანდა სწორედ ის ნაცნობი, პატარა ეკლესია, რომლის სახელიც ვერაფრით გაიხსენა.

-მა-მა-და-ვი-თი, - დამარცვლა ზოიმ და თვლებში მიაჩერდა. ამჯერად ის უცნაური ხილვა აღარ განმეორებულა - მის წინ ერთგული ნაგაზი იჯდა, ზემოთ მამადავითი იყო, ქვემოთ კი ქალაქი და, თუ ეს საშინელება მართლა, თბილისია, ასე რამ შეცვალაო?.. ეს კითხვა ხმამაღლა აღარ გაუმეორებია, საეჭვოა, ზოისგან ამაზეც მიეღო პასუხი.

დაღმართის ჩაუყვანენ და კვლავ იმ დაბურულ ქუჩა-დერეფანში აღმოჩნდნენ. აქაც სწრაფად მოძრავე ჭრელ ხალხში უყურსასმენო და უმობილურო ერთი კაციც კი ვერ ნახა, ქართველი ხომ მით უმეტეს, ბოლოს და ბოლოს, ის მაინც რომ დაეზუსტებინა, თბილისში იმყოფებოდა თუ არა. როგორც იქნა, ერთი ჭლარა, უღვამა, თითქოს ქართველი კაცი შენიშნა - არც ყურსასმენები ეკეთა და არც მობილურით საუბრობდა, ჩაფიქრებული დინჯად მიუყვებოდა ქუჩას, ერთხანს მალაზიის ვიტრინასთან შეჩერდა, მერე ისევ აუჩქარებლად გააგრძელა გზა. ერთხანს უკან მიჰყევებოდა, მერე ნიუახლოვდა, მაგრამ მოერიდა და, იმის ნაცვლად, რომ ეკითხა, ეს რა ქალაქიაო, რა ქუჩააო, ხმამაღლა შეეკითხა, ხმაური რომ გადაეფარა. კაცმა რაღაც უცნაურად გამოხედა, საჩვენებელი თითი ჯერ ყურზე მიიღო, მერე კი აქეთ-იქით გაიქნია, არ მესმისო და უხმოდ გასცილდა; ეტყობა, ყრუ-მუნჯი იყო და, ალბათ, ამიტომაც არ ჰქონდა მობილური და ყურსასმენები. ზოიმ კვლავ ხალხის ფეხებს შორის გაიკვლია გზა, ის კი კედლის გასწვრივ გაჰყვა, ინგლისურ, არაბულ, სომხურ, რუსულ, იაპონურ თუ ჩინურ იეროგლიფებთან რეკლამებს ათვალთვებდა. წამლად ერთი ქართული სიტყვაც კი ვერ ნახა, მერე ჰაერში ჩამოკიდებული უზარმაზარი, ფალოსის ფორმის ნითელი ბუშტი დაინახა, რომელიც ნელა იბერებოდა, მერე ნელა იჩუტებოდა, კვლავ იბერებოდა და ასე განუწყვეტლივ, ქვემოთ კი ინგლისური რეკლამა ციმციმებდა და უწინდებურად ესეც, თავისდა გასაკვირად, ასევე თავისუფლად წაიკითხა: ჯონსონის კონდომი ლონდონიდან უზრუნველყოფს უსაფრთხო და 100%-ით უმედეგო სექსს! იხმაურეთ ჩვენი კონდომი, იცხოვრეთ მშვიდად, ბოლომდე. ოღონდ უმელოდო, გაიფიქრა და, თითქოს ამის პასუხად, თვალში მოხვდა უზარმაზარ ეკრანზე მოლიმარი მამაკაცის მოძრავე ფოტოსურათი ასეთი ინგლისური ტექსტით: ხმა მიეცით პრეზიდენტობის კანდიდატს კენეტ მაკრეგვენს. ის გაგათავისუფლებს რეპროდუქციული ფუნქციისგან და მეტი დრო დაგჩვენებთ საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. საინტერესოა, ეს რეგენი რანაირად აპირებდა ქალის გათავისუფლებას და უწინდებურად ეს სტრიქონები გაახსენდა: „ქართველის დე-



მე-9 გვერდიდან

დაო, ძუძუ ქართველისა, უნინ მამულსა უზრდიდა შეილსა, თუმცა ლექსის ავტორი ველარ გაიხსენა, - მას მერე, რაც აქ მოხვდა, მახსოვრობამ ულაღადა, ჯერ მამადავითი ვერ გაიხსენა, ახლა ამ ლექსის ავტორი და ის, როდის ისწავლა ინგლისური და, რაც მთავარია, როგორ აღმოჩნდა ამ სრულიად უცხო ქალაქში, რომელიც თითქოს თბილისია, მაგრამ, ამავე დროს, თბილისს არ ჰგავს. არადა, ქალმა შეილი თუ არ გააჩინა, ერი როგორღა გამარჯვდება, თუმცა ვილაც რეგენს რაში ენაღვლება ქართველების გამრავლება. ფოტოდან ეშმაკურად მომღიმარი მამაკაცი თითქოს დასცინოდა და, რომ შეძლებოდა, სიამოვნებით ჩამოგლეჯდა ამ წარწერას თავის რეგენიანად. ერთხანს სექსმოზის ვიტრინაში გამოფენილ სხვადასხვა ზომის ხელოვნურ ფალოსებს, გასაბერ ქალებსა და კაცებს ათვალიერებდა, თუმცა ამან ისე არ გააკვირვა, როგორც ამ გაუგებარმა მოწოდებამ: ძირს, ქართული სეპარატიზმი!!! ეს აშკარად, პროვოკაციული მოწოდება იყო. ხომ წარმოუდგენელია, ქართველებმა საქართველოდან განყოფიერების მიხედვით, ერთხანს ჩინურ, არაბულ, რუსულ, სომხურ, იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და, ქართულის გარდა, ვინ იცის, რა ენაზე აღარ, შესრულებულ წარწერებს ათვალიერებდა და მერე კიდევ უფრო გაუგებარ მიმართვას წაანწყდა: დაიცავი ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, შეზღუდულ და შეუზღუდავ შესაძლებლობათა მქონე და ასევე, განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის უმცირესობათა უფლებები. ამდენი ერთად შეკრებილი უმცირესობანი ბოლოს უმრავლესობად რომ გადაიქცეოდნენ, საეჭვოა, მომავალში უმცირესობაში შემორჩენილი (თუ უკვე უმცირესობაში მყოფი არა) ქართველების უფლებათა დაცვა მოენდომებინათ. აქამდე რატომ უნდა მიგვეყვანა საქმეო, გაიფიქრა და, წერებები რომ არ აშლოდა, გადაწყვიტა, ამგვარი მიმართვებისთვის ყურადღება აღარ მიექცია, მაგრამ უნებლიეთ კვლავ თვალში მოხვდა უზარმაზარი, სხვადასხვაფერად მოციმციმე ინგლისური რეკლამა: ხელოვნური ჩასახვა ინტერპლუსის კლინიკაში, როგორც თქვენი, ასევე, ჩვენი, ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის საიმედო, ჯანმრთელი დონორების სპერმით და გარანტიით. ხელოვნური ჩასახვა ჩვენი დროის ასახვაა.

- ეეჰ, რა გაუკუღმარებელ დროში მოვხვდით, ბიჭო, ნუთუ ეს ყველაფერი მართლა ჩვენს თბილისში ხდება, - ჩაილაპარაკა სინანულით, სწრაფად გასცილდა იქაურობას და გაოგნებულ მინის უზარმაზარი ბურთის, - თურმე ქორწინების სახლის - წინ აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ბურთი ძალიან ნელა ბრუნავდა, მისი ფართო კარი და ნაირფერად მოციმციმე ინგლისური აბრა ერთ ადგილზე რჩებოდა. ქორწინების სახლი „პინგვინი“ ახდენს როგორც ტრადიციულ - ორსქესიან, ასევე ერთსქესიან, მრავალსქესიან და უსქესო წყვილების ქორწინებას მაღალ დონეზე. ამის ზემოთ ნითლად მოციმციმე კონტურით გამოსახული იყო ორი ერთმანეთს მიხუტებული მამაკაცი და ორი მიხუტებული ქალი. გამოდის, რომ მამაკაცი დაქორწინდება მამაკაცთან, ქალი კი - ქალთან და ამას უნდა დაერქვას ოჯახი?.. ხალხნი, თქვენ ხომ არ გადაიარეთ, იყვირა, მაგრამ ვინ მოუსმინა. არა, პროტესტის გამოხატვას აქ არავითარი აზრი არ ჰქონდა, ასეთი ქორწინების სახლის მომგონის და აქ შემსვლელის დედაცო... მიაგინა და აუჩქარებლად გაუყვა ქუჩას. ამდენი უმსგავსო რეკლამის, ბინძური მონოდებისა და მიმართვის შემდეგ კედელზე გაკრული ეს პლაკატი ნათელ წერტილად გამოჩნდა, - ჩვეულებრივ, თეთრ ქალაქზე ქართულად სულ ხუთი სიტყვა ეწერა: ქართველებო! გამოფხიზლდით, სანამ დროა, გამოფხიზლდით!!! რახან მოუწოდებენ, ესე იგი, დარჩენი კიდევ ქართველებო, რაღაც იმედი გაუჩნდა, მაგრამ შავმაი-სურიანმა ბიჭებმა ამის იმედიც გადაუნურეს, პლაკატის ჩამოხევა რომ ვერ მოახერხეს, ერთმა ჯავყით გადასერა. ზოი

ბიჭს მივარდა და შარვალი ჩამოახია, მერე ყვეთი დაერია სხევებს. საიდანღაც პატრულის მანქანა გაჩნდა, იქიდან ორი პოლიციელი გადმოვიდა - შავკანიანი და ქართული იერის მქონე შავგვერდანი, ულვაშა ახალგაზრდა. რა მოხდაო, იკითხა შავკანიანმა ინგლისურად და ზოის აღმაცერად გადახედა, ეტყობა, ამ ზორბა ძაღლის დანახვამ შეაშფოთა.

- აი, ამ საზიზარმა ძაღლმა ფეხზე მიკბინა, - ინგლისურად შესჩვილა შარვალჩამოხეულმა და ფეხზე მიანიშნა.  
- ცოფიანია? - ეჭვით იკითხა ზანგმა.  
- არა, უბრალოდ, ამას პლაკატის ჩამოხევა უნდოდა და არ დაანება, - ინგლისურად აუხსნა აფრიდონიძემ და, რადგან უნინ ინგლისური არ იცოდა, თავადვე გაუხვირდა, ამის თქმა რომ მოახერხა.

- რა წერია აქ? - მკაცრად იკითხა იმან.  
- ქართველებო, გამოფხიზლდით, სანამ დროაო, - აუხსნა აფრიდონიძემ, მაგრამ გაღიზიანებულმა შავკანიანმა მაშინვე გააფრთხილა, კეთილი ინებეთ და მხოლოდ ინგლისურად ილაპარაკეთ, ქართული არ მესმისო. არადა, აშკარად ჩანდა, რომ ესმოდა, მაგრამ არ უნდოდა, გაეგო. აფრიდონიძემ იგივე ინგლისურად უთარგმნა.

- ქართველი ხარ? - თვალმონკურული შეეკითხა ინგლისურად ისე, თითქოს ქართველობა დანაშაული იყო.

- დიახაც, ქართველი ვარ, - უპასუხა ამაყად და ამით, როგორც ჩანს, უფრო გააღიზიანა.

- ძაღლი შენია? - ზოის ზიზლით გადახედა, ეტყობა, ისიც ქართველად მიიჩნია. ცოფიანიაო, დასკვნა, სამიშა საზოგადოებისთვის და მისი იზოლაცია უნდა მოხდესო. თქვენ კი უადგილო ადგილას პროვოკაციული მოწოდების გაკერისთვის ჯარიმა დაგეკისრებათო, თავის მენყვილეს რაღაც ანიშნა, იმან ქარიდან ხელობრივი მოიხსნა და მისკენ გამოემართა, მაგრამ ზოიმ ისე საზარლად შეულრინა, რომ ფერდაკარგული ადგილზე გაქვავდა.

- ქართველი ხარ, ბიჭო? - შეეკითხა აფრიდონიძემ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ამის შემდეგ შავკანიანმა სცადა მისი დაკავება, ქმრიდან ჯერ ხელობრივი მოიხსნა, მერე ზურგიდან შემოუარა და აქ მოხდა გაუფრთხილ რამ, - ზოიმ, შენი დედაცო... შეაგინა და... ღრენით მისკენ გაიწია. პირდაღებულმა და თვალებგაფართოებულმა შავკანიანმა კი უკან დაიხია და, ალბათ, გაფრთხილებაც შეეტყო ბოდა, თეთრკანიანი რომ ყოფილიყო; კიდევ შევხვდებითო, დაემუქრა, უკუსვლით მანქანისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ ისე წავიდა, ძაღლისთვის თვალის მოუცილებია, ზურგივით შეძერა შიგნით და მისმა მენყვილემ მანქანა ადგილიდან მოწყვიტა. ირგვლივ შეკრებილი ცნობისმოყვარენი მაშინვე დაიშალნენ. ზოის თავზე ხელი გადაუსვა, ერთხანს აკვირდებოდა, ვინმე თუ დაინტერესდებოდა ქართველებისადმი მონოდებით, მაგრამ ამის ნამკითხველი არავინ გამოჩენილა, ან როდის გამოჩნდებოდა ვინმე - ირგვლივ ქართველის ჭაჭანება არ იყო. რამდენიმე კვარტალი ისე გაიარეს, საგულისხმო არაფერი შეხვედრიათ. მოულოდნელად ჩინურ უბანში აღმოჩნდნენ. აქ, ძირითადად, ჩინელები მიმოდიოდნენ, მაღაზიებზე, რესტორნებსა და ბარებზე მხოლოდ იეროგლიფები იყო გამოსახული, ნაირფერ რეკლამებზეც ასევე იეროგლიფები ციმციმებდა და ქუჩაში პატარა, გრძელბუნია ჩინური პეკინეზები დარბოდნენ. ზოიმ ადვილად მოძებნა მათთან საერთო ენა - ჯერ დაეცინათ, მერე დროუნეს გაუსვამდა, რაღაცას გადაუბარა და დაეგზავნა აგრძელებდა. ერთ ადგილას უზარმაზარი ბანერიდან გაღიმებული ჩინელი ინგლისურად ასე მოუნიდებდა თავის თანამემამულეებს: ჩემო ჩინელებო! წინ, ეთნიკური უმცირესობიდან რეალური უმრავლესობისკენ. ჩვენ ეს შეგვიძლია! ხმა მიეცით პრეზიდენტობის კანდიდატს ხუან მაგარს! არადა, საქართველოში ნუთუ ერთი ქართველი პრეზიდენტობის კანდიდატი მაინც არ მოიძებნა, გადასენდნენ ქართველები თუ რა?.. ყველა-

ფერს იფიქრებდა, მაგრამ, თბილისში ჩინური უბანი თუ გაჩნდებოდა, ამას ვერასდროს წარმოიდგენდა, საინტერესოა, ჩვენი უბანი თუ შემორჩა ამ თბილისსო, ჩაილაპარაკა თავისთვის. ზოიმ პატრონს გამოხედა, ქუჩის კუთხისკენ ნაძუნძულდა, ისიც მიჰყვა. გაიარეს რამდენიმე კვარტალი და შეუხვიეს ვინრო ქუჩაზე. აქ ძველი, ლამაზი შენობები იდგა, ერთერთის კედელზე გაკრული პლაკატიდან კი მოღიმარი მამაკაცი იცქირებოდა. მოვითხოვთ ქართული ავტონომიური რესპუბლიკის შექმნას. ხმა მიეცით პრეზიდენტობის კანდიდატს ჯუმბერ კაჭკაჭიშვილს! მოთხოვნა, მართალია, ქართულად ეწერა, მაგრამ სრულიად გაუგებარი იყო, ვის რაში დასცირდა საქართველოში ქართული ავტონომია, რისთვის უნდა დაეყენებინათ ქართველებს ასეთი აბსურდული მოთხოვნა - ამგვარი სიგიჟე მხოლოდ კაჭკაჭიშვილის თავში თუ დაიბადებოდა. ახლა კი მიხვდა, რატომაც გამოდნენ ქართულ სეპარატიზმს ადრე ნანახ პლაკატზე. არადა, ეს ქუჩა, ეს სახლები რაღაც ძალიან ნაცნობი ეჩვენა და უცერად თავში თითქოს რაღაცამ დაარტყა... ეს ხომ სოლოლაკია, მისი უბანი, მისი სკოლა, ეს კი მისი ქუჩაა, აქ თითქმის ყველაფერი უცვლელია, მისი სახლიც ძველებურად ისევ თავის ადგილას დგას, მხოლოდ მისამართი შეუცვლიათ - ასათიანის 25-ის ნაცვლად რატომღაც Strit 25 გაუხდიათ. მესამე სართულზე ავიდნენ. გაოცებული მისჩერებოდა ერთხანს თავისი ბინის კარზე გამოკრულ სრულიად უცხო გვარებს: TOMAS WOMENBELD, MARK BELDVOMEN... - მეზობლის კარზე, სადაც გოზალიშვილები ცხოვრობდნენ, რატომღაც MURTALZON ეწერა, მესამე კარზე კი მისი ძველი მეზობლის ჯანაშიას ნაცვლად იეროგლიფი იყო გამოყვანილი. არადა, აშკარად ასათიანის 25-ია, მესამე სართული, იგივე კარი და ზარიც კი იგივეა. არაფერიც არ შეშლია, ნამდვილად მისი ბინაა და ზარის ღილაკს დაანვა. კარი გრძელბუნია, დონდოლი კაცმა გაულო, ზოის დანახვამ უკან დაიხია და, რა გნებავთო, იკითხა ინგლისურად.

- ეს ასათიანის 25-ია? - ინგლისურადვე შეეკითხა.

- თქვენ შეგეშალათ, 25-ე Strit-ია.

- ეს შენი ბინაა?

- ჩემი ბინაა.

- შენ რას მიეღ-მოეღები! - ამან ქართულად ისე შეუტია, დაბნეულმა დონდლომ პირი დაალო. - ორმოცი წელია აქ ვცხოვრობ, შენ კი იძახი ჩემიაო, გაინიერეთი, გამაბარე! - დონდო გვერდზე გაიწია და ზოის თანხლებით შიგნით შევიდა. ოთახი კი ნაცნობი ეჩვენა, მაგრამ ავეჯი ეუცხოვრა. ზოიმ ავეჯი დაყნოსა და აივანზე გაჰყვა. აქედან მთელი სოლოლაკი მოჩანდა, მთის ფერდობზე კი ნაცნობი ეკლესია. არა, ეს ნამდვილად მისი ბინა იყო, მაგრამ ეს თავხედი უცხოელი რანაირად მოხვდა აქ?.. ოთახში შემბრუნებულს ის შავკანიანი პოლიციელი და მისი ულვაშმა მენყვილი დახვდნენ.

- აი, ეს თავხედი შემოიჭრა ჩემს ბინაში და ამბობს, რომ მისი ბინაა, - ინგლისურად შესჩვილა დონდლომ შავკანიანს, ის კი თვალმონკურული აშკარად ზიზლით მიაჩერდა.  
- თქვენ ყაჩაღურად შემოიჭრით სხვის ბინაში; უადგილო ადგილას გააკარით პროვოკაციული მოწოდება; თქვენმა ძაღლმა დაკბინა სრულიად უდანაშაულო მოქალაქე და მე, მე... - გაიმეორა ხაზგასმით და ცერა თითი მკერდზე მიიკაკუნა, - პოლიციის ოფიცერს დედა შემეგინეთ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ამის გამო დაპატიმრებული ხართ.

- ჯერ ერთი, მე არავითარი მიმართვა არ გამოკრავს. ჩემს ძაღლს არავინ დაუბნებია და არ უგინებია, ახლა კი ჩემს საკუთარ ბინაში დაგბრუნდი.

- ეს ჩვენი ოჯახის საკუთრებაა, ათი წელია კანონიერ ქორწინებაში მყოფი მე და ჩემი მეგობარი ამ ბინაში ვცხოვრობთ და ჩვენს საერთო შვილს ვზრდით, - გაისმა ქალის ნრიპინა ხმა, - მის ზურგს უკან მელიტი, ზორბა მამაკაცი და პატარა, დიდთავა ბიჭი იდგნენ. ეს უკვე მეტისმეტი იყო. და უფრო იმან გადარია, რომ ამგვარი

სიბინძურე სწორედ მის სახლში ხდებოდა.  
- კაცთან დაქორწინებულ კაცს ოჯახს ეძახით და კიდევ ჩემს ბინაში ცხოვრობთ, თქვენი პედარასტი დედა კი მოვტ...! - იღრიალა და, ალბათ, მიახრჩობდა კიდევ, პოლიციელი რომ არ აფარებოდა, თან თავის მენყვილეს რაღაც ანიშნა; ის ხელბორკილის უღარუნიტ ამისკენ გამოემართა, მაგრამ ზოიმ გაბმულად შეუღრინა და ადგილზე გააშეშა.


- ქართველი ხარ, ბიჭო? - ისევ შეეკითხა ულვაშს, იმან კი ოდნავ შესამჩნევად დაუქინა თავი.

- მერე რა დაგემართა, ბიჭო, ქართული დაგავინყდა?

- სამსახურში ქართული აკრძალულია, - ჩაილაპარაკა ხმადაბლა, მენყვილეს რომ არ გაეგო და, როგორც ჩანს, იმის დასამტკიცებლად, რომ მხდელი სულაც არ იყო, მისკენ ერთი ნაბიჯი გადმოდგა, მაგრამ უკანა თათებზე წამომართულმა ზოიმ ხელიდან კბილებით გამოგლიჯა ხელობრივი. ახლა ხელობრივ-მომარჯვებული ზანგი წამოვიდა მისკენ, მაგრამ ზოიმ პირში გაჩრილი ხელობრივი ლამის სახეში შემოარტყა. გაისმა სროლის ხმა, ნაგაზი ნკმუტუნით იატაკზე განვა. ყურიდან სისხლმა გამოჟონა.

- ძაღლი ესროლე, შე არაკაცო?! - აფრიდონიძემ შავკანიანისკენ გაიწია, მაგრამ იმან დაასწრო და, როგორც ჩანს, ელექტროშოკი გამოიყენა, ტკაცანი და მუცელში მწველი ჩხვლეტა ერთი იყო - მაშინვე გაითიშა...

... თვალი რომ გაახილა, ზოისთან ერთად ტროტუარზე იდგა, ქუჩაზე გადასვლას აპირებდა, მაგრამ უცერად ის შავშლაპიანი უცნობი და მისი გაფრთხილება გაახსენდა, მერე საზურავების ღრჭიალი და იმ სამინეღმა სიზმარმა კინოფილმის კადრებით თითქოს თვალწინ გაურბინა - საავადმყოფოს პალატა ჰაერში მოლივლივ ავეჯით, სხვა რუსთაველის გამზირი, უქართველებო თბილისი, თავის სახლში შეჭრილი ჰომოსექსუალების ოჯახი, შავკანიანი პოლიციელი, ყურში დაჭრილი ზოი და ელექტროშოკი... არადა, ეს თუ სიზმარი იყო, მაშინ ხომ სანდოში უნდა გაეღვიძა, ის კი ზუსტად იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც მანქანა დაეჯახა. თუ სიზმარი არ იყო და ყველაფერი რეალობაში გადახდა, როგორღა მოხვდა იმ სხვა, მისთვის სრულიად უცხო თბილისში?.. ნაგაზის მარცხენა ყურზე აღმოჩენილმა პატარა ნახვრეტმა უფრო მეტად დააბნია, მან ხომ თავისი თვალთ ნახა თუ როგორ დაჭრა ზოი იმ არაკაცმა... ქუჩის მეორე მხარეს აღარ გადასულა. უკან მობრუნდა, ფართო, მოკრწელებული ქუჩა ჩაათავა, ჩაუარა თავის სკოლას, შეუხვია ვინრო ჩიხში და თავის სახლს მიადგა - ასათიანის 25. მესამე სართულზე ავიდა, კარზე მიკრულ, დროისგან გაშავებულ აბრაზე თავისი სახელი ამოკითხა - თადეოზ აფრიდონიძე - და ნაცნობ ზარის ღილაკს დაანვა. კარი დედამისმა გაუღო და შვენიერ ამოისუნთქა - ეს კი ნამდვილად მისი ბინა იყო. დედას დანვრილებით უამბო, რაც გადახდა, ზოის გახვრეტილი ყურიც კი აჩვენა, მაგრამ მაინც ვერაფრით ვერ დააჯერა. ამის შემდეგ, ვისაც კი ეს ამბავი უამბო, არავინ დაუჯერა; ერთმა ნაცნობმა დასცინა კიდევ, იქ უცხოპლანეტელებსაც ხომ არ შეხვდიო და მისი შიშით, გიჟად არ ჩამთვალონო, აღარავისთვის მოუყვლია. არადა, ამ ამბავმა მოსვენება დაუკარგა. მარტო დარჩენილი სულ ამაზე ფიქრობდა, განსაკუთრებით კი ერთი კითხვა ანუხებდა: ნუთუ შეიძლება, რომ თბილისი ოდესმე ქართველებისგან მართლა დაიცალოსო. ცხოვრება უნინდებურად გრძელდებოდა - აფრიდონიძე დადიოდა სამსახურში, ხვდებოდა მეგობრებს, დროსტარებდაც არ იკლებდა, შიგადაშიგ დაოჯახებაც ფიქრობდა (უკვე ორმოცდასამი იყო) და თავს გადამხდარი თანდევდა დავინყვებს ეძლეოდა. მხოლოდ ზოგჯერ, როცა ზოი გასასეირნებლად გაჰყავდა, ის შავშლაპიანი უცნობი ახსენდებოდა ხოლმე და იმ საბედისწერო ადგილას, სადაც მანქანა დაეჯახა, ქუჩაზე აღარ გადადიოდა... ■



# რუსთა ციხიდან „უფლის სურათი“

(კუძლენი ქალბატონ მანანა ხაჯიშვილი)

უფლის ნათელი თვალნი ციმციმებს, გამარჯვების გზით, მჯერა, წინ ვივლი!

ღმერთო, ვინ გასცა ჩემს მტრებს პასუხი?

## ჯემალ დობორჯინიძე

როცა მენვევი, სული იხარებს, მისხენით შენ და მგოსნურმა გეშმა, ვერ მაცდენ, ეშმაკ, და რად ხარხარებ? მე აღმადგინა უფლის ნუგეშია.

მზეობ ცად, ზეობ ყოვლისმხედველო, ყოვლის შემქმნელო და ყოვლის მამავ, თუნდაც სასუთრო ტანჯვით მეძნელოს, ჩვენ ვერ გაგყვაროს ვერცერთმა ჟამმა!

მზე მზეობს, ღამით მთვარე მთოვარებს, სულში ვარსკვლავთა ჟიკ-ციმციმი. უფალო, შენ ხარ შემნე-მოყვარე, ეშმა ამოად ძრნის და იცინის.

ტკივილი განცდის თაიგულია, ვერც მოვიშორე და არც მშორდება. უფალოს რომ ეტრფის, ჩემი გულია, უფლის ნათელი მიახლოვდება.

ღურჯად ბიბინებს ზეცის ლაყვარდი, ანგელოზს ვუცქერ თვალცრემლიანი და სინანულში როცა ჩავევარდი, ვიგრძენ, უფალო, ხმა მადლიანი.

მე ეს ცოდვები ისევ მამძიმებს, ტკივილთა მთაზე ვგაგვარ ცოდვილი.

• ცრემლები მბანენ გაცრეცილ სახეს და მეღვრებიან ცოდვილს უბეში, უფალო, ძილში ვით ელვა ვნახე, ტანით მურყოლვარემ ვპოვე ნუგეში.

• რაც გავჩნდი, უკვე დიდი ხანია, გადავიარე გზები და მთები, ამ ქვეყნად ყოფნის ჟამი გაიარს, ვიცი, უფალო, დამეუფლები.

• წყაროსთვალი რომ ლივლივებს, უფლის ნათელი მგონია, მახარებს და მაღიმელებს, დავძლიე მელანქოლია.

• ხან პირდაპირი და არა მოთნე, ცოდვილიც, მაგრამ ვნანობ ჩემს ცოდვებს, მნამს, მაზიარებ ტკივილთა მომთმენს, ყოვლისმხედველო და ყოვლისმცოდნე!

• როცა ბოხოქრობს ჩემში გრიგალი, შენ ხარ იმედი ყოვლისმძლეველო, კვლავ ვრჩები ბედთან შეურიგალი, მამულის მთებო, ზღვა და ტყე-ველო!

• ბევრჯერ მანვნიეს შური და მტრობა, მაინც არ ნახვდი და არ დავეცი, მნამს ადამის ძეც და მეგობრობა და ჩემს მტრებს მტრულად ხმა არ გავეცი.

• ვინც მიმტრო, ვხედავ, დამარცხდა ყველა, უჩემოდ თითქოს ციდან ნაქუხი, ვტირი და მიღმა ჩანს ცისარტყელა.

• ენა ვერ ვძლიე, ვიძლიე ენით, რამდენი ვროშე და ვილაქლაქე, ენამრავლობა ჩანს ჩემი სენი, შემინდეთ, რაც რომ ვილაპარაკე!

• განსჯის და ფიქრის გაჩნდა სურვილი. გულისხმით გიხმობ ყოვლისმხედველო, ენის ლაქლაქს ჯობს ზოგჯერ დუმილი ასეა, არვინ შემოგედავოს!

• ჩემი გულიდან შემომანათე, სული ამევსო და მანეტარებ. ან არავისთან არ ვიკამათებ, არავინ არის უფლის შემდარე.

• კვლავ მძინვარებენ მამულის მტრები, უფალო, უნდა გავაჩანავონ, მამულიშვილთა რიგში ჩავდგები, საომარ ჰანგებს გამოსცემ ჩანგო.

• ცაზე შენ, დაბლა დედაა ჩემი, დედა-სამშობლო ორნივე ერთია და სიყვარული მე მათი მშენის, ამის მონამე თვითინ ღმერთია.

• რომ გამოხვიდე ჩემი გულიდან, მე როგორ გავძლო უშენოდ, ღმერთო, ცრემლად ვიფრქვევი სინანულითა, იყავი ჩემთან, რომ სანთლად ვენთო!

• მზე არ იმზევებს უშენოდ და მთვარეც არ იმთოვარებს, უფალო, სულს აუშენებ, ვინაც რომ ჩავთვლის მოყვარედ.



## ავთანდილ ხარაიშვილი

ფრესკებფენილი... მადღგანფენილი... შრომით და ლოცვით ცადაღვლენილი... სულმნათ სანთლებით თვალახელილი... მარადისობას გადაფრენილი... ქართულ ანბანზე ჯვარდანერილი – ზეცაა საღმრთო წმიდა წერილი!..

ცარგვალის თვალით ცვარნამცვენილი... სიცოცხლის ხალას სხივებასმული... რწმენით მომავალ!.. ანწყო-წარსულით – წმიდა სამებით ხარ ხელდასმული!..

მთიები კეთილ თვალებით გათოვს, როცა ცისკრისას გასცქერ ცისპირსა. გამონათებ თვინიერ მნათობს, აახასხასებ ხალას მზის სხივსა! თფილის ჩაფსკენიხარ ფუძე-ფესვებით

# სამება

სამარადისო დიდება ერსა!.. გიგალობ ლექსის ზესკენელ-ქვესკენელით ნურც ეჭაჭანოს ჩვენს თავზე მტერსა – უჭირდეს ჭირსა, ეხაროს ჭერსა!

ვარსკვლავთ ჯვარში ჯვარშემართული, გალობს ქართული გუმბათ-სართული! ციმციმებს ცრემლი წმიდა წარსულის, – უბინო სული ზეცად ასული!

ლოცვა-კურთხევა გვიცავს ღვთისმშობლის... ანგელოზების ქეობს სინაზე... არ ვვიშვიშობდით, არც არ ვვიშობდით, – გარდა ღმერთისა, არვის წინაშე!

დიდგორ-შამქორი ჯიშებ ვილაშქრეთ, ფეხზე ვისამხრეთ, ფეხზე ვივასშმეთ. ჯაჭვ-მუზარადში გამოვიზარდეთ, ზამთარი მზეზე გამოვიზამთრეთ.

ბრძენი დავითის ბრძენ ჭყონდიდელის კალას კედელზე დაბრძანდეს ძეგლი, გამოცოცხლდებო ცა ოდინდელი მარად ქართული ხატებ-ტაძრებით...

ხალიბთუფალთა ლივლივი რვალის, მკვირცხლი ცხენების ძვრიალი ნალის, ზეძლიერება ძლიერთა ძალის, სანთელ-საკმეველ უკვდავი კვალის... განყდებ უწმინდურთ წყეულთ წრიალი, უცოდველთ ცრემლის ციმციმ-ციალი!..

ჯიგარში მჯერა, რომ გამარჯვებს, მარჯი გურჯების აბჯრის ჟღერიალი, – სიტყვის სატყერის ორომტრიალი!

არრა ტირილი – ოხერტიალი ტრელი სტრიქონი მოხეტიალე! ზეობს ნაზამთრი ზვარი... ხეხილი... მზის რძით გარდილი მზეობს მზეხილი.

ვაზიც, ხარ-ჯიხვებ რქებდაგრეხილი, არრა ხეიბარფესვდაფეხვილი... ზართა ზანზარი, ზემ-ზახილი, სულმნათთა ციდან ჩამოძახილი.

წვერნამახული ცისკრის სამხილი ცეცხლს ცრის მაცხოვრის ცეცხლის მახვილი. გასუსულია სული ავსულის, ვადაგასულის თან თავგასულის!

ვინ თქვა, ხელიდან რო ვართ წასული, მზე შუბის წვერზე არ არს დასული... ცრემლები ცვივა ციერთა ლოცვის, მსოფლად მაცხოვრის, მეორედ მოსვლის – სამების! ერთ ხმის! ხმაძლიერთა! ღმერთის მამულში გამრავლდეს მრევლი: კოლხთა, იბერთა, ძირძველ ერთთა, უპირველესი ბრძენი ენითა, განგების ნაკურთხ გენითა!

7 ივნის-მარიალისა, 2005 წელი, სამეობა

# აბესალომ აბესალომ... (აკადემიკოს აბესალომ ვეკუას სსოვნას)



როცა დავითს, მეფეს ისრაელი-სას, უფლისწული აბესალომი დაელუ-პა, სულით ხორცამდე შეძრული მეფე ასე მოთქვამს – „აბესალომ, აბესალომ, ნეტავ მე მოვმკვდარიყავი შენ სანაცვ-ლოდ...“

აბესალომ ვეკუას ასევე გულმხურ-ვალედ დასტირის ყველა, ვინც მასთან ცხოვრობდა, საქმიანობდა, თუნდაც იცნობდა მას.

წურავინ ვინუგეშებთ ამით თავს – კაცმა ოთხმოცდარვა წელი გაასრულა, თავისი ვალი ოჯახის, ქვეყნის, უფლის წინაშე პირნათლად გაისტუმრა, ოთხ-მოცდაათადე მოიყარა და ცას ხომ არ გამოეკერებოდაო...

მათ ბაბუ მოუკვდათ და მერე რო-გორი ბაბუ, გინესის წიგნში შესატანი! აი, ამის დამადასტურებელი ორიოდ ფაქტიც: ნათლულები, ჩვეულებრივ, ნათლიაზე უმცროსები არიან, აბესა-ლომ ვეკუას კი თავისზე ხნიერი ნათ-ლულები ჰყავდა, მზია და ზეზვა – ერ-თი მილიონ რვაასი ათასი წლისანი! ეს უძველესი ადამიანები, პირველი ევ-როპეიდები, აბესალომ ვეკუამ დმანის-ში აღმოაჩინა და, პირველადმომჩენის უფლებით, კიდევ მონათლა ისინი, მზია და ზეზვა დაარქვა.

ადამიანებს, ჩვეულებრივ, ცხოველ-თა სახელებს არქმევენ – ვეფხვია, ლო-მა, ნუკრი, გელა (< მგელა)... პირიქით კი, ცხოველის ჯიშსა და სახეობას ადა-მიანის სახელი რომ მიემარგოს, ასე არ ხდება... მსოფლიო პალეონტოლოგია-ში კი ათამდე გადამწებულ ცხოველს აბესალომ ვეკუას სახელი დაერქვა: არის „Crocota- აბესალომი“ ანუ „აფთა-რი-აბესალომი“, „აბესალომის ირემი“, „ვეკუას ცხენი“, „ვეკუას ბეჭემოთი“, „მარტორქა-აბესალომი“... აბესალომ ვეკუამ, ჯერ კიდევ სტუდენტმა, 17 მილიონი წლის წინანდელი აფთრის ქვედა ყბა აღმოაჩინა და, იქიდან მოკი-დებულთ, თითქმის სამოცდაათი წლის განმავლობაში ამდიდრებდა თავის უძ-ველეს „ზოოპარკს“ – როგორც ველზე მომუშავე მკვლევარიცა და როგორც ამ ძიებათა ორგანიზატორიც – პალე-ობიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვა-ნელი.

მოკლედ, მართლაც რომ, საგინესე კაცი მოუკვდა მეცნიერებას, დაეკარგა საქართველოს, მოგვაკლდა ოჯახს.

ვინც მთელი თავისი სიცოცხლე მი-ლიონობით წლის წინანდელ სამყარო-ში დახეტილობდა, ის მარადისობაშიც გაიკვლევს გზას: უკვდავებაში, აბესა-ლომ, უკვდავებაში!

თამაზ კვაჭანტირაძე

„ადამიანი არის ჩამოვარდნილი ღმერთი, რომელსაც ახსოვს ზეცა“.  
ლამარტინი

ხანგრძლივმა ურთულესმა კოსმიურმა მოვლენამ და გენიათა მოღვაწეობამ დედამიწაზე მრავალი ურთიერთგანსხვავებული ცივილიზაცია წარმოშვა. მათგან ერთ-ერთი და გამონაკლისი ფიროსმანის მოსვლაა. ბედნიერია საქართველო, ვარსკვლავებმა მის ნიალში ფიროსმანაშვილი რომ ჩამოვადო, რასაც კეთილი და უჩვეულო ზეციური აურა მოჰყვა. ნიკოს შემოქმედება ისეთივე მხატვრულ-იდუმალი ფორმაა, როგორც არის მილიონობით წლის წინანდელი პირველყოფილ ადამიანთა მღვიმეების განმაცვიფრებელი კედლის მოხატულობა, საოცრება – ეგვიპტის ცივილიზაციის პირამიდები, რაც გახლავთ სამყაროს ცნობიერების მათემატიკური მკაცრი ფორმულა, ღვთაებრივ ხაზთა თანხვედრა და კოსმოსის მოცულობითი დაუნჯება, მთლიანობაში დროისა და სივრცის მარადიული გალერეა, იმავე პერიოდის მრავალი სახის ფორმისა და შინაარსის ქანდაკებანი, ბარელიეფები, გორელიეფები და უნიკალური კედლის მხატვრობა, თავისი იდუმალი იეროგლიფებით და ქვის ქმნილებით – შეუდარებელი სფინქსით, რომელშიც სამყაროს უსასრულო მზერა და ღვთიური ფიქრია გაცხადებული.

ასევე ცივილიზაციათა არანაკლები საკვირველებაა მაიას და აცტეკების იდუმალ კულტურათა შემოსვლა დედამიწაზე.

როგორც გაუნყეთ, შორეული მზერით, ფიქრით და სევდით ამ უზარმაზარ შემოქმედებით სივრცეებს უმთლიანდებდა ნიკო ფიროსმანაშვილი. სამწუხაროდ, ამგვარ ღვთიურ ქმნილებათა აღმოცენებას და მის ხანგრძლივ შეგუებას ურთულესი და განსხვავებული ფსიქოლოგიით ვერ უძლებს მომდევნო თაობები და გაურკვეველი, უცხოვრებელი შიშველებილი გაურბის. ისმის კითხვა: – რატომ მოიძულევენ მათ მომდევნო ცივილიზაციები? ამ შემთხვევაში მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენა და ახსნა შესაძლებელია, მაგრამ საერთო შედეგი ხომ სახეზეა, თან ტრაგიკულად მწარე...

დამალონებელია, რომ გონებრივად ვერ გაუგო ადამიანთა მოდგმამ ამ ღვთიურობით მოსილ უძველეს ცივილიზაციას და დაუცველად – ღია ცის ქვეშ ტოვებს. შემდგომ ველად მივხედვით შედეგ ქმნილებებს მტვრად გარდაქმნილი სტიქია ეუფლება და დაუნდობლად თავს დასტრიალებს (მინას რაში ენადლევა, თავის ზედაპირზე ეს ქმნილებანი მონესრიგებულ ხელოვნებად იქნება განფენილი თუ მტვრად მოყრილი). ოდითგანვე მაღალ კულტურას და ცივილიზაციას უფლისგან რჩეული გენიები ქმნიან, ბოლოს მხოლოდ მოაზროვნე ერთეულები გადაარჩენენ და სამარადისოდ ინახავენ. გავისხენოთ სევდის მომგვრელი ქართული, კოლხურ-იბერიული კულტურა და მათი უძველესი ცივილიზაცია, რომელიც, მიწას მიბარებული, ათასეულ წლებს ითვლის, ან წყლისქვეშა გორაკებში ჩამარხული უნიკალური შორეული წარსულის ექსპონატები...

ნიკო ფიროსმანაშვილის მოსვლით ქართული ფერწერის ახალი თვითნაბადი ცივილიზაცია დამკვიდრდა, რომელმაც მთელი ქვეყანა გაანათა და გააკვირვა.

იგივე ამბავი ხდება ჩვენგან შორს, ევროპის ცენტრში, ამაღლებულმა მოულოდნელობამ შეძრა და ჟრუანტელი მოჰკვარა პარიზს ამაღლო მოდილიანის გამოჩენით. მისმა სრულიად განსხვავებულმა მხატვრობამ საქვეყნოდ აღიარებული გენიებიც ჩააფიქრა, ისინი ხომ საერთო კოსმიური ქსოვილით იყვნენ შებურვილნი. ამაღლო კი იტანჯებოდა თავისი მარტოხელა განსხვავებული ნიჭით და ღრმად ემოციური გენიით. სამწუხაროდ, ნიკო ფიროსმანაშვილის არ იყოს, ძალიან ცოტა სურათ-ტილოების შექმნა

მოასწრო მხატვარმა, რადგან დედამიწამ ვერ აიტანა კოსმიური მხურვალე სხეული და მაცხოვრებით გააძევა თავისი ნიალიდან. ამგვარადვე შეინარა ბნელმა ძალამ ნიკო ფიროსმანაშვილი, მოცარტი, ვან-გოგი, ბეთჰოვენი, კარუზო, ტერენტი გრანელი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე და მრავა-

მოქმედების ჩამაფიქრებელი სიახლეთვითმყოფადობით აღლევებული ხარ და მართალი, ღრმად მორწმუნე ბერის ლოცვასავით სინმინდის თანაზიარი ხდები...

ფიროსმანაშვილის ფერწერული სურათის წინ მდგომი პიროვნება სულით, გონებით და გულით მიიზიდები და უშუალოდ შედიხარ დიდი მაცეტროს სასწაულ-

# ნიკო ფიროსმანაშვილი



ლი სხვა, მაგრამ, ამ წმინდან ხელოვანთა შედეგებთან ერთად, იდუმალი, მარად ამოუშლელი აჩრდილი ჩანვა დედამიწის სხეულში.

ყველაზე დიდი ნესრიგი კოსმოსში უფალი და სიყვარულია...

გონებაშერყეული და დათრგუნვილი სიკვდილი ჭაობში ეგდო შიშველი და სისხლი სდიოდა რქებომტვრეულს...

კოსმოსი და უფალი გამუდმებით რომ არ ნათლავდეს ჩვენს პლანეტას, იგი ხელიკისფერი, სულთამხუთავი ჯოჯოხეთი იქნებოდა. მინის მიუტევებელმა სტიქიამ დროთა ჟამში მრავალი რჩეული გენია შეინარა, მათთან ერთად – უთვალავი კეთილი და უდანაშაულო ნიჭიერი ადამიანიც. ევროპის კულტურისა და ხელოვნების მანათობელ ცენტრში, პარიზში, მოდილიანის ზეცოდან ჩამოვადებაც ხომ საკვირველებაა. ამაღლო თავიდანვე გრძნეულად გაიაზრა პარიზული ფერწერის სიახლეები და მისი ფეთქებადი მიმდინარეობის მთავარი არსი, მაგრამ, ამაღლოს სხვა მხატვრებისაგან გამოარჩევს უმთავრესი და გამაოგნებელი საოცარი სტილისტური ინდივიდუალიზმი...

მოდილიანის პიროვნული ფილოსოფია, პოეტურ-მუსიკალური ჟღერადობა, მხატვრის ღვთიური გემოვნების, მოცურავე ხაზთა და არაჩვეულებრივ ფორმათა მიმზიდველი, მსუყვე კოლორიტის, ფერთა ძლიერი და მეტყველი ჰარმონია და ნაწარმოების მთლიანობის, უიშვიათესი მხატვრული სტილის შექმნა თავისი ზეციური განწყობილებით მაყურებლისთვის უცხო და შორეულია.

არამინიერი ხიბლი, ადამიანური ბუნების იდუმალება და ბავშვივით ალალ ფიქრთა სულიერი სუნთქვა ნიკო ფიროსმანაშვილი. უდიდესი მხატვრის შე-

მოქმედი შემოქმედებით გაიშვიათებულ სივრცეში, მაგრამ ბოლომდე ვერ უმთლიანდები, თანდათან გადაულახავ სიმორეს მიაღებები და აქ არის თურმე ღვთის სულიერი ნაღდი საწყისი. ამ ურთულეს საუფლოში შესვლის ყოველგვარი ცდა ნაკლებმდეგია და სინანულშეპყრობილი მორჩილებით ეთხოვები ფერწერულ ტილოს, რადგან დიდ შემოქმედებაში ღმერთი ზის – ჩუმი – მქადაგებელი.

ნიკო ფიროსმანაშვილი, ფანტასტიკურად მეტყველი ფერის მეოხებით, სულიერი სინმინდის, ამქვეყნიური მშვენიერების და ამაღლებული სიყვარულის მოძღვარია. ექვგარეშობა, ლუკა ზის მის სხეულში, მოციქული და უშუალო ხატმწერი მასწავლებელ-მაცხოვრისა.

უდაბნოში მომლოცველ წმინდანივით კეთილშობილი და კათცმოყვარეა მხატვარი – მაცხოვრებით მასაც უზრავლო ადამიანებთან და ღარიბ-ღატაკებთან ჰქონდა ურთიერთობა. სამწუხაროდ, მის ირგვლივ მყოფნი ვერ აღიქვამდნენ ნიკოს კოსმიურ იდუმალებას და მხოლოდღა ღვთივკაცური სიყვარული და ბუნდოვანი ინსტინქტი-ინტუიცია აკავშირებდა მათ...

როგორც მოგახსენეთ, თვითმყოფადი ფერწერის უხვის და უსაზღვროდ გაბედული შუქ-ჩრდილის ფერმწერია ნიკო. ამ გზით ნიკალასეული ალალი, ნაღდი და უნაკლო საქართველო დახატა თავისი ულამაზესი მუქი ლურჯი ცით, უმშვენიერესი მთა-ბარით და კეთილშობილი ადამიანებით – განურჩევლად ფენისა და საქმიანობისა. შთამბეჭდავი და აღმაფრთოვანებელია ფიროსმანისეული, უიშვიათესი სილამაზის და კეთილთვალევა ცხოველთა ხატულობა. ნიკალა, სხვა გენიებისგან განსხვავებით, ყოველ-

## ჩემო ემილიან ადამიან

გვარ სწავლებას მოკლებული, მინდვრის შაშვია მგალობელი, სულის მკურნალად დამატკობელი ხმით, მოზომილი რეესტრით და მის მიმართ დაუსრულებლად მოსმენის სურვილით. ანდამატური სიამოვნების მომგვრელი და ბუნების იდუმალი განწყობილების შემომთავაზებელი. ამგვარი ფორმისა და განსხვავებულ ფერთა მომღერალია, ბუნებისგან უნაკლოდ განსწავლული ნიკო ფიროსმანაშვილი...

ქალის სიყვარულს ბოლომდე ვერ გაჰყვა ნიკო, რადგან ღვთიური უხილავი ძაფით იყო მიბმული ხელოვნებისა და სიცოცხლის ვარდისფერ ხეზე, რის შედეგადაც განდევლობას და მართობას შეეგუა.

ადამიანის ყველაზე მაღალი გრძნობისა და ნიჭის გამოშლავნება ხელოვნებაშია. შემოქმედება რომ არ იყოს, ნებისმიერ სიყვარულს გაუჭირდებოდა არსებობა. თუმცა ხელოვნება თავად სიყვარულია. დიდი შემოქმედება ხომ ღმერთია და ოქროს გვირგვინი სიყვარულისა.

ნიკო ფიროსმანაშვილის ნებისმიერი სურათ-ტილო წმიდა სურათ-ხატია სალოცავი.

მაცხოვრის ცრემლით განბანილ ვაზის მტევნებს ხატავდა ფიროსმანი და დღენიადგ ფერთა სიმრავლეს სწირავდა უზენაესს...

გენიალურმა მხატვარმა პაპლო პიკასომ სულმწარეობით აღიარა მოდილიანისა და ფიროსმანაშვილის სიდიადე... ამაღლო მოდილიანის გამოჩენამ აალაპარაკა პარიზი – მხოლოდ დასაწყისში... ამაღლორულად, ევროპის სამხრეთით, ქალაქ თბილისში, ნიკალამ სიცოცხლეშეეგა ააღლვა და ინტელექტუალური საფიქრალი გაუჩინა, მაგრამ დრო მძიმედ ჩადაგა ხალხსა და ავტორს შუა.

ფიროსმანაშვილის მხატვრობას ინტერესით იხილავდა და ღრმად აფასებდა დიდი ფრანგი მწერალი რომენ როლანი, რომელიც ნიკოს ერთ-ერთი სურათ-ტილოს მფლობელიც იყო.

ძალიან აფასებდნენ და უყვარდათ ფიროსმანი რუსეთის მონინავე ხელოვანთ, განსაკუთრებით დიდ მწერლებს და პოეტებს – სემიონოვის და ევტუშენკოს ოჯახებში ნიკალას თითო ფერწერული ტილო ინახებოდა.

მაღალ შეფასებასა და სიმპათიას გამოხატავდნენ ფიროსმანაშვილის მიმართ უბრწყინვალესი სომეხი მხატვარი მარტიროს სარიანი და უდიდესი კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანი.

ასევე, დიდი ქართველი მხატვრის ფერწერული ნახატებით მოხიბლული იყო გენიალური ფრანგი მხატვარი ფერნანდ ლეჟე.

ამჟამად ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებას ეცნობიან და ეთაყვანებიან ისეთი ცივილიზებული ქვეყნები, როგორებიცაა: საფრანგეთი, იაპონია, იტალია, გერმანია. პოლანდია, საბერძნეთი, ჩეხეთი, პოლონეთი, ესპანეთი, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი, ისრაელი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვა მრავალი. ფიროსმანს უმღერიან მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავები, იქმნება მუსიკა, იწერება ნიგნები და ლექსები, გთავაზობთ ნიკოზე შეთხზულ ტერენტი გრანელის შედეგს:

**ფიროსმანაშვილის**  
შენ დაგედევნა სამიკიტნო რკინის რაზებით,  
ყალბი არღნებით განუხებდა  
ღამე წვიმაში,  
არ კადრულობდი შებრალებას ბედის წინაშე,  
დაგედევნა ლანდი მთვარისგან განაბრაზები.  
  
ჩუმად გენვია საოცრების რუხი ხაზები,  
ფარულ კომმარებს ატირებდი სევდის მინაში

▶▶ და ღამის ლოთებს დაეძებდი ღვინის თასებით.

ლოცვით ამსხვერვედი ზიარებას სასაფლაოზე. სისხლიან მკერდით აიტანე ბროლის არმაზი. ანთებულ მხატვარს საიქიო ალბათ გაოცებს.

შენი ოცნება ისვენებდა წითელ ნარმაზე, ცოდვილ ქალაქში დადიოდი ჩოხის ამარა. საშინელებამ უცნაურად დაგასამარა...

ფიროსმანის, თვითმყოფადი შემოქმედის უმდიდრესი განძი ადამიანური დღესასწაულია.

მხატვრის ბუნებრიობა და სულიწმიდა, იესოს ცრემლია უმანკო, მაგრამ ამქვეყნად, სადაც არ შეიხედავ ადამიანი, ჯოჯოხეთურად ნვალობს მდიდარი იქნება თუ ღარიბი, ნიჭიერი თუ უნიჭო, კეთილი თუ ბოროტი... გამოუცნობია სამყაროს შემოქმედება და უმკაცრესი მარწუხები. ყოველივეს ეზიარა ფიროსმანი და საცოდავად შეეწირა კიდეც...

უპატოსნესი, რაინდული, კეთილი სული ამოძრავებდა ნიკალას და სრულიად ჯანსაღი ხელოვანი ნებისმიერ დამოუკიდებელ სულს საკუთარი სულითვე ხატავდა და ღვთივკურთხეულად ამარადიულვებდა, მაგრამ, ასევე ნიკო ფიროსმანაშვილს არ მადლობდნენ მხატვრის შედეგებით განებებულნი და გამდიდრებული უმადური თანამედროვენი, რადგან რთულზე რთული ყოფილა თურმე ღვთისნიერ ადამიანთან ახლოს მისვლა და ნორმალური ურთიერთობა.

ნიჭიერთ ხომ ოდითგანვე არაკაცური შური და მტრობა დევნის სასტიკი.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან ერთად საქართველოსაც თავისი კუთვნილი კოსმიური სიკეთის ნილი ერგო და რამდენიმე გენიალური მოღვაწე ჩვენც გვებოძა როგორც ხელოვნებაში, ასევე მეცნიერებაში.

ნიკო რთულსა და თვითმყოფად კომპოზიციას, ძლიერსა და მდიდარი შემადგენლობის ფერს, სურათის სიღრმისეულ კოლორიტს და არქაულნარევ, კულტურამოსლოდ ღრმა გემოვნებიან ფორმებს საგანგებოდ არ ეძებდა და თვითმიზნურად არ ფიქრობდა მათზე. ყოველივე უზენაესისგან მიერთმეოდა უშუალოდ და კანონიერ პატრონს ტილოზე უნაკლოდ გადაჰქონდა.

როგორც უთვალავ ფერთა ციმციმ-ციავია სამყაროში და ასევე ვარსკვლავთ ხეულზე, თანაბრად იგვიფ ფერთ სიმრავლეა დედამიწაზეც, რასაც ფიროსმანაშვილი უფაღივით ხედავდა და მხატვრულად აღიქვამდა.

ფერთა შემადგენლობის განხილვისას ცისარტყელაზე იტყვიან ხოლმე, სამყაროს მთავარ ფერთა შემადგენლობისააო. ამ უცნაური ნახევარწრიული ცის მოხატულობაზე მეც გეთანხმებით, რადგან ცისარტყელა ბუნების უთვალავ ფერთა, ცნობა და ნახევარტონლობის – ნიუანსების მათემატიკური ტაბულაა შეკუმშული ფორმით.

ცისარტყელა ხომ დედამიწის კოსმოსთან ფერთალოგის ღვთიური ავტოგრაფია. ჩემი აზრით, სამყარომ თავისი უბიდან დედამიწა თუ დაკარგა, უმაღლესი გაფერმკრთალდება მისი მომხიბლველი სურათ-სახე, შეეზღუდება კოსმიური აზროვნება და საეჭვოდ გახდება სულის არსებობის რაობა. ასევე ეჭვქვეშ დადგება საკითხი სამყაროსეული მეცნიერების ყველა საფუძვლისა. ყოველმხრივ სარწმუნოა, რომ კოსმიური მწვანე სიცოცხლის ფერისაა დედამიწა, სივრცეში ძალიან პატარა და მძაფრი... სამყაროს უსასრულო ფიქრია ეს მწვანე პლანეტა, რომელიც განუხაზვლევად ყველაფერს იტევს და მზესავით სჭირდება კოსმოსს, რადგან მისი სიცოცხლის თუ არსებობის უხილავი ამთვლეელი და ღვთის შეცნობის რეალური კერაა...

დიდი მხატვარი, პოეტი, მწერალი და მეცნიერი ყოველივე ამას სინათლესავით ხედავს – რომ სამყაროს უსასრულობის ბოლომდე შეუსწავლელი იდუმალი მომწესხველობა დედამიწაზეა თავმოყრილი...

მინდა გავიმეორო – ნიკო ფიროსმანაშვილი ზეციური ნაყოფია და უთუოდ ლუკა მოციქულის მეორედ განსხეულებაა...

სამწუხაროდ, კაცობრიობა იშვიათად უფროსხილდება ღვთიურ სახეებს, რადგან ამ მიმართებაში ცივი და უდარდელია. უფრო სტიქიას მიმსგავსებული უაზრობა და მრუდე ზნე-ხასიათისაა. ადამიანის თითქოსდა შინაგანი მიმალული ბუნება კოსმიურთან ფარდობითია და უმძიმესი სტიქიაა მბოროტავი, ხშირად დანამგრეველი და სისხლმწყურვალე. სიკეთისა და ბოროტების არათანაბარი მატარებელია ადამიანთა უმეტესობა და ამანვე განიწრაფიროსმანაშვილი, ტერენტი გრანელი, ვან-გოგი, მოდილიანი. მათთან ერთად ნიჭით და სიკეთით სავსე მრავალი უდანაშაულო...

ჩემო კეთილო მკითხველო, ამჟამად ლირიკული, მაგრამ დრამატული გადახვევით მინდა შეგასვენოთ ამქვეყნიური ნიკოსგან და მივეყვით ნიკალას წყალქვეშა სვედიან სვლას უცნაური სათავეებისკენ.

ნიკო ფიროსმანაშვილი თავისი შემოქმედებით, ზღვის ბინადარი საოცრება ორაგულივით, საკუთარ გენიაზე შენირული მხატვარია. ორაგულები, როცა დაქვირითდებიან, ზღვიდან თუ დიდი მდინარეებიდან ჯგუფ-ჯგუფად დაიძრებიან დანიშნულ ადგილას ქვირითის დასაყრელად. თევზური ინტუიციით, შეუსვენებლად მიემუხრებიან მდინარის პირველ წყარომდე, დაპატარავებულ კალაპოტში. ნელი სვლით და ცოცვით მიიწევენ წინ, წყაროს თვალამდე. ამ მსვლელობისას გზადაგზა ტანის ფერიც ეცვლებათ. მუქი მწვანე კრიალა ზურგით და ვერცხლისფერი ფაფრით ზეცას შეჰყურებენ, ხოლო თეთრი და მოვერცხლისფრო ქვირითით სავსე მუცლით კრიალა და სხვადასხვა ფერის ქვეშ თევზისეული სინაზით ელაციცებიან, ოდნავ ეხახუნებიან, ასე ცოცვით ქვიდან ქვაზე გადადიან და უსასრულო სურვილი აქვთ, როგორმე მივიდნენ წყაროს თვალამდე და მის სიღრმეებშიც ჩააღწიონ...

წყაროს სანაპიროს მომდგარი, წყურვილით ალტკინებული ჩალისფერი ირმები კი ბუნების ამ საოცარ მოვლენას ნუშისებური თვალებით, ნესტოდებაბერილინი, ფრუტუნით შეჰყურებენ...

დასასრულს, ასობით დალილ-დაქანცული ორაგული სიამით თუ ტკივილით ადგილზევე ფერად-ფერად ქვირითს ყრის და განწირული საკუთარ სიცოცხლეს ეთხოვება... მაცხოვარივით თევზისეულ ვერცხლისფერ ჯვარს გაეკვრებიან და ასე გადაარჩენენ ორაგულთა უმშვენიერეს მოდგმას...

ნიკო ტანჯული და შენირული იმიტომ კი არ იყო, რომ უჭირდა და ღარიბი იყო. არა, მეგობრებო! ნიკალასავით სულგრძელი ქართველი ყოველთვის იშოვნინდა თავისსა და ოჯახის სარჩოს, თანაც, ქიზიყელსა და მირზაანელს, უმდიდრესი და ულამაზესი კუთხის წარმომადგენელ ნიკო ფიროსმანაშვილს, სულ სხვა გასაჭირი და ვალდებულება დაეკისრა უზენაესისგან – დიდი შემოქმედის სულით დაორსულდა ის და მისი ბედისწერის გარდაუვალობა დაეკისრა გამჩენისგან, რათა ეშვა თავისი ჯიშისა და ჯილაგის გადამრჩენელი ხელოვნება. ქვირითით სავსე ორაგულივით გაიარა მან ურთულესი გზა და ცხოვრების საწყისთან გაწუტვია სული...

ასე დაშრეტილი, ყველაფერგაცემული და წმინდანის დონეზე უპატოსნესი მარტოხელა მხატვარი, შთამომავლობისთვის შენირული ორაგულივით, უპატრონოდ მიგდებულ სხეულად მიბარდა მინას... ხოლო უდიდესი შემოქმედის სულს მონვეტილი ღვთიური ნაყოფი თავის ერს

უსასრულო დროით გადარჩენის მარგალიტებად შესწირა...

მხოლოდ ნიკო ფიროსმანაშვილს შეეძლო, ზეცაში და მიწის ზედაპირზე ბრძენი ქურუმივით მოსიარულეს, მაცხოვარივით წყლის ქვეშაც ზეადამიანური ფუნქციით ემოგზაურა და საკუთარი ერის გადარჩენისთვის თავისთავზე სასიკვდილო მძიმე წერტილი დაესვა...

ამქვეყნად უმეტესობა გენიოსებისა სიცოცხლეშივე ტრაგიკულია და, ღრმად მორწმუნე წმინდანებთან შედარებით, არანაკლებ ნამებულნი. გენიის მფლობელი ის კოსმიური კატეგორიაა, რომელიც დღე და ღამე იწვის შემოქმედის უხილავი ცეცხლით. საბოლოოდ აღმძვრალი და კვამლში გახვეული ნახშირდება ის და მსუბუქ ნაცრად იქცევა, მაგრამ მათ მიერ შობილი ხელოვნების ნიმუშები მზესავით მარადიულია...

სიკვდილთან და საფლავებთან ნიკალას დიალოგი არასოდეს არ გაუმართავს, რადგან სულიერად მათზე მაღლა იდგა ყოველთვის...

მშობლიური, მზეჩაღვრილი ქარვისფერი ყურძნის მტევანი და მუქი შინდისფერი ვაზის რტო იყო მხატვრის ღვთიური ზიარება.

სასწაულია გენიოსის ცხოვრება, რადგან წუთისოფლის უმკაცრესი მცნება თავის დროზე მასაც არ ასცდებია. მანამ კი დღე და ღამე თავდადებული შრომით მარადიულობის ახალ სამყაროს ქმნის. ამ შემთხვევაში შეუთანხმებელი და მოულაპარაკებელი ურთიერთიანაცვლებია, რაშიც მხოლოდ უფლის კანონები მოქმედებს... მეცნიერული ძიებები და თეორიული მტკიცებულებები არ არის საჭირო, რათა გავარკვიოთ ნიკო ფიროსმანაშვილის რომელიმე ფერწერული სკოლის წარმომადგენლობა. ნიკო არ ეკუთვნოდა არც ერთ მხატვრულ მიმდინარეობას. იმ ბედნიერ პერიოდში კოსმიური ნიჭის ტალღამ გადაუარა ჩვენს პლანეტას და ჩვილი ნიკალა დაბადა სოფელ მირზაანში, რომელსაც უზარმაზარი ფუნქცია დააკისრა – ეხატა თავისი ქვეყანა. ეს არის და ეს... ერთმა ქართველმა მხატვარმა, გულდანყვებილმა, უზუნაესს შესჩივლა, სანყენია, ნიკალას შემდეგ მისი დონის ფერმწერი რომ არ გამოჩნდა საქართველოში. წარმოიდგინო, როგორ უნდა გამოჩენილიყო, როდესაც ათასწლეულებში, ალბათ, ერთხელ თუ ხდება ამგვარი კოსმიური საოცრება-ფუნქციონირება. გაისროლა შორეულმა გენიის ქვემეხი და მორჩა, გარკვეული დროით დაიცალა – დაიღალა ის სისტემა. გაივლის ათასი ან მეტი წელი და ისევ ჩამოუქროლებს ნიჭის ხალიჩა ჩვენს პლანეტას და, ვინ იცის, სად ჩამოაგდებს, რომელ ქვეყანაში – საფრანგეთში, საბერძნეთში თუ ისევ საქართველოში, ზღვის პირას? მხოლოდ უფალმა უწყის.

იმავე სამყაროსეული მოვლენით პროცესის შედეგია ვაჟა-ფშაველას ურთულესი გენია...

როგორც მოგახსენეთ, ნიკალა რომელიმე ფერწერული სკოლის წევრი არ არის და არცა რომელიმე იდეათა გამზიარებელია.

იმ პერიოდის რომელიმე დაჯგუფების შემთხვევაში, ნიჭიერი და გამორჩეული მხატვრები ფერწერული სკოლის წარმომადგენლებთან ერთად გონების განვითარებით და ტექნიკის ათვისების პროცესში და ურთიერთშეხვედრით შემოქმედებით ხენიტს აღწევდნენ. ამგვარი მეცადინეობით შემზადებულნი და მოულოდნელ მიღწევათა აფეთქებებით დამოუკიდებელ გენიას შობდნენ. ამათ მიმდინარეობას ეკუთვნის: დავიწყოთ კლასიკოსებით, მერმე ბარბოზონელთა სკოლა, რასაც აპყვა იმპრესიონიზმი; შემდეგ მოდის პოსტიმპრესიონიზმი, ფოვისტები, ექსპრესიონისტები. მათ ნიაღში იფეთქა კუბიზმმა და მოგარდა აბსტრაქციონიზმი. მერმე შემოიჭრა სიურრეალიზმი. ამრიგად, მრავალი და მრავალი მიმდევრობა ისევ მოდის, მაგრამ უკვე ილღებიან ისინი და ჩიხიც შეინიშნება... მერმე, მომავალში რა მიმართულება გამოჩნდება ხელოვნება-

ში, დროის საქმეა. შეიძლება ახალი სტილისა და ფორმის კლასიკას დაუბრუნდეს კაცობრიობა... ახლა ვენციოთ პოსტიმპრესიონისტების გაერთიანებას, კერძოდ, უდიდეს მხატვარს, ტულუზ ლოტრეკს. ის ხშირად დასცინოდა ჯგუფურ წრეებს და ამბობდა, ვერ ვიტან მხატვართა ჯოგურ ცხოვრებასო. ლოტრეკსაც ჰქონდა, უთუოდ, ველური თვისებები (ემწნევა კიდეცა მხატვრის ზოგიერთ ტილოს), თუმცა პოსტიმპრესიონისტთა სკოლას კი მიეკუთვნებოდა. აქედან გამომდინარე, ჩვენს ნიკალას სამართლიანად ვამსგავსებ გამოქვაბულის მხატვრობის შედეგების შემქმნელ ველურ გენიებს. ღმერთმა მათ შორის ერთ-ერთ ჯანსაღ მონადირეს, შემოქმედს გენია რომ შეუგორა და დაბადებიდან აპყვა კირკიტის ფინი – ხან ქვას თლიდა კაჟის მტკიცე ქვის ნატეხით, ხშირად, ველად გასული, მხატვრულ ფორმებს აკვირდებოდა, ბუნების ნაძერწს, ნადირობისას გაოგნებული შეჰყურებდა ირმების ჯოგს და მათ ლტოლვას. ან იხსენებდა უფროსების მიერ (ალბათ, ბელადის) კერიის ცეცხლში გამომწვარ თიხას, წყალში რომ გახსნიდა და ყველას საძინებელ კუთხეებს გამოქვაბულის ბრტყელ ქვეშე უგონიწმინავდა. ზოგიერთი ფერი აფურისა იყო, შავიც, მომწვანო ან ნაცრისფერი. ამდაგვარი შემზადებული ფერებით დაიწყო მან ხატვა და პირველად გაელია ადამიანს... მერმე დაჟინებით მიეძალა ამ საქმეს და ქმნიდა გამოქვაბულის ქვის კედლის მონადირეთა ცხოვრების ამსახველ პანორამას. ტომის მოძმებს მოსწონდათ მისი ნახატები და შემდგომში ხიფათით სავსე ნადირობაზე არ გაჰყავდათ... ასე იქმნებოდა პირველყოფილი გამოქვაბულის მუზეუმი. ჯერჯერობით მათ არ ჰქონდათ სალაპარაკო ენა, მხოლოდ ხელების მკაცრი მოძრაობის პანტომიმა იყო ურთიერთობის დამამყარებელი. ველური მხატვრობა და პანტომიმა – აი, რითი დაიწყო პირველყოფილი ადამიანთა შემოქმედებითი ზეცება...

საფიქრალია, რომ მილიონობით წლის წინათ მღვიმეების ველური პირობები იშვიათად იყო. მაშინ, წარმოიდგინეთ, რამდენი მაგისტანა გენიალური ნიჭი და ნაღვლიანი თვალები მიიბარა მინამ. აქ, ამ შემთხვევაში დიდი მეცნიერული კვლევები არ არის სჭირო. საერთო პროცესი და განვითარება მხოლოდ ასეთი იყო. ამდაგვარი ისტორიის გააზრებისთვის აინშტაინის და ივანე ჯავახიშვილის შეწახება არ გვჭირდება – ჩვეულებრივი გონებრივი ხედვა, თამამი გააზრება და წარსულის ისტორიულ სიმართლებებთან აღმოჩენდებით.

საკვირველად მოვარდნილ ნიკალას ის განსაკუთრებული ნიჭიც მისცა უფალმა, რომ მის ფერწერაში უახლოესი ეპოქის მთავარი ხასიათ-განწყობილებები აღებეჭდა. შემოქმედებით მარტოობაში მყოფ მხატვარს არაფერი უნახავს და არც გაუგონია იმ პერიოდის პირიზული ფერწერის მიმდინარეობებზე. ამ დროს ხატავს მათი ლიდერებივით და, მგონი, უფრო მაღალი დონით, გამონაკლისი მატისია (მატისი ხომ მათში შეუდარებელი ფერმწერია), ზოგ მომენტში მასაც უტოლდება. ეჭვს გარეშე მჯერა, ფიროსმანი დერენტან, მარკესთან, ვლამინკთან, დიუფისთან ერთად მრგვალ, ულამაზეს მაგიდასთან ძმურად ზის და გენიის ღვთიური იდეებით იკვებება...


ნიკალას ირგვლივ თუ როგორი კოსმიური ქსელ-ხლართებია გაბმულ-დაქსაქსული და გამაოგნებელი ჭექა-ქუხილია ზეციური, მიახლოებით მაინც რომ აღვწერო, ერთი სქელტანიანი წიგნის დაწერა მომიწევს. მინდა ვირწმუნო, რომ ამისთვის უთუოდ მეყოფა სიყვარული, ცოდნა და ინტუიცია.

დიდი ნიკალა კოსმიური თვალით იმზირებოდა და მისთვის ნათელი იყო, ჩვენს პლანეტაზე თუ რა ხდებოდა. დედამიწელები ყოველმხრივ ბოჭავდნენ მას და ყოველდღიური გაგდებით ემუქრებოდნენ. საბოლოოდ უდროოდ მაინც გააძევეს ამქვეყნიდან... ■

# ყიღნასი

## ერთი პოემის

ელბარ ალან კო



I  
 შუალამეა, ჩავცქერი ნიგნებს, ვწუხვარ და ვდარდობ: მივაგნო იქნებ  
 ფოლიანტებში ჩაკარგულ სიბრძნეს... ელავს ბუხარი ნითლად ნაფერი.  
 ამ დროს კაკუნი გაისმა წყნარი, მე გავიფიქრე: „გავალო კარი?  
 გზასაცდენილი იქნება მგზავრი, აქ ეგულემა მყუდრო ნაპირი,  
 შემოალამდა ვილაცას ალბათ, და აქ იპოვა მყუდრო ნაპირი,  
 მგზავრია, მგზავრი, სხვა არაფერი.“

II  
 ჰო, კარგად მახსოვს: ამინდი ცივი, დეკემბრის სუსხი ძვალ-რბილში მივლის,  
 ბუბუტავს ღუმელში უღონო სხივი, და ნოხს ეღვრება ჩემს წინ დაფენილს.  
 ვნატრობ, ნეტავი გათენდეს მალე, არ ეკარება ძილი ჩემს თვალებს  
 და ისევ მასზე ფიქრი მანვალებს, ვისაც უჩუმრად ცაში აფრენილს,  
 „ლინორს“ უხმობენ ანგელოსები, „ლინორს“, უჩუმრად ცაში აფრენილს,  
 აქ კი არ დარჩა მას არაფერი.

III  
 აჰ, მაშინ შიშით დაზაფრულს ვგავდი, ჩუმი შრიალი ალისფერ ფარდის  
 გულს მიღონებდა, მავსებდა დარდით, სახეზე კაცის არ მედო ფერი...  
 დაღონებული, კაემნით სავსე, თავს ვიმშვიდებდი, ვამბობდი ასე:  
 „რატომ მაშინებს კაკუნი კარზე? მგზავრი იქნება, განა ვამპირი...  
 შემოალამდა ვილაცას ალბათ, მგზავრია, მგზავრი, განა ვამპირი...  
 ჰო, მგზავრის ხმაა, სხვა არაფერი.“

IV  
 შევძახე მყისვე: „ვინცა ხართ მანდა, გთხოვთ მაპატიოთ „მისტერ“ თუ „მადამ“,  
 კარის გაღება დამაგვიანდა... ქარი მეგონა აქ მონაბერი...  
 აკაკუნებდით თქვენ ისე ფრთხილად, რომ ვერ გავიგე, ნამძლია ძილმა...  
 შინ შემობრძანდით, აქ დახვდით დილას, ღამეა ბნელი, შავად ნაფერი...“  
 სულმოუთქმელად გავაღე კარი, დგას კართან ღამე შავად ნაფერი...  
 უკუნი ღამე, სხვა არაფერი.

V  
 მივჩერებოდი წყვილად, მდუმარი, მაგრამ არ ჩანდა ჩემი სტუმარი,  
 კაკუნი კარზე, ყრუ, უჩუმარი, არ ისმის, ნეტავ, რად ვიზაფრები?...  
 შიშმა შემიპყრო... იმგვარი შიში ალბათ არავის უგრძნია ძილშიც,  
 და უცებ: თითქოს ხელახლა ვიპვი... აღმომხდა: „ლინორ!“ და გამძაფრებით  
 გაიმეორა ექომ ჩემი ხმა, „ლინორ!“ – შევძახე ცას გამძაფრებით,  
 ისმოდა: „ლინორ!“ – სხვა არაფერი.

VI  
 აღვვებოდი შევედი სახლში, ენთო ღადარი ჩემს გულში მაშინ,  
 მივხურე კარი და უცებ, წამში, ისევ აუშვა შიშმა აფრები...  
 კვლავ განმეორდა კაკუნი ნელი, უფრო ხანგრძლივი, და საშინელი,  
 მე ვთქვი: „ამაღამ არავის ველი, ქარი იქნება აქ მონაფრენი,  
 ფანჯრებს აწვალავს, კარს აზანზარებს, ქარი ხმაურობს აქ მონაფრენი...  
 ქარია, ქარი, სხვა არაფერი.“

VII  
 დარაბებს ნელა შევახე ხელი... და უცებ: დიდი და საშინელი,  
 შემოფრთხილდა ყორანი ძველი, და მომჩაჩრდა შიშით გაბერილს.  
 წინ წამოსწია ამაყად მკერდი, ჩუმი სალამიც არ უთქვამს ჩემთვის,  
 ზის, როგორც „ლორდი“ ან როგორც „ლედი“, აქვს გამოხედვა მას აღმაცერი...  
 ათენას ქანდაკს შემოასკუპდა, აქვს გამოხედვა მას აღმაცერი...  
 დუმს მედიდურად, სხვა არაფერი.

VIII  
 ზის, აბანოზის ხესავით შავი\*, ისე ამაყად უჭირავს თავი,  
 რომ გამეღიმა... ავივსე კრძალვით, და მზერა მისკენ კვლავ გამეპარა...  
 „არ შეგრჩენია თმის ღერი თავზე, თამამი კი ხარ“, – მივმართე ასე, –  
 „შენს გულადობას დიდად ვაფასებ, და შენც პასუხი გამეცი ჩქარა...  
 იქ, პლუტონიის ცივ სამეფოში რას გეძახიან? – მითხარი ჩქარა!“  
 დაიყრანტალა ყორანი: „არა!“

IX  
 გაოცებისგან დავაღე პირი ... მესმოდა ჩემი გულისტქმა ხშირი,  
 შიშის ზარსმცემდა ხმა გასაკვირი, ვთქვი: „ბოდავს-მეთქი, ეს ზღანდარა...“  
 მაინც შემთხვევა არის პირველი, სწვეოდეს ვინმეს ღამით ფრინველი,  
 დიდრონი, შავი და საკვირველი ირგვლივ აფრქვევდეს დარდას და ვარამს,  
 ბიუსტს თამამად შემოასკუპდეს, ირგვლივ აფრქვევდეს ნუხილს და ვარამს,  
 სახელად ერქვას იმ ფრინველს: „არა...“

X  
 სიტყვა არ უთქვამს მას ამის მეტი, უცებ დადუმდა ბრიყვი, ჩერჩეტი.  
 „სხვა რამ სათქმელი არა აქვს ჩემთვის, თუ, საიდუმლოს – დუმილით  
 ფარავს?“  
 ვთქვი მაშინ გულში, მან კი წყეულმა, ისე, რომ სულაც არ შერხეულა,  
 თავი ჩაჰქინდრა ანაზდეულად. მე ვეუბნები: „სტუმრობა კმარა!“  
 ხვალ ჩემი ძველი მეგობრებივით დატოვებ ამ სახლს, სტუმრობა კმარა!  
 დაიყრანტალა ყორანი: „არა!“

XI  
 დუმდა ყორანი. ესა თქვა მარტო. მე ვთქვი: „ამ ფრინველს რად ვეკამათო?  
 უეჭველია: მის საწყალ პატრონს, როცა ცხოვრებამ არ გაახარა,  
 ეს სიტყვა დასცდა... რად უნდა კითხვა, აჰ, ალბათ ტანჯვა ითმინა დიდხანს

და მაშინ დასცდა ის ერთი სიტყვა, რაც მე გულს მიკლავს, და შიშით მზარავს,  
 ყორანმაც მისგან თუ შეითვისა ის, რაც გულს მიკლავს და შიშით მზარავს,  
 საბედისწერო, ის ცივი: „არა...“

XII  
 ზის. მედიდურად იგრძელებს კისერს, თან ნაღვლიანი თვალებით მიმზერს,  
 მე მეღიშება, ვიხრები მისკენ და ვაკვირდები მშვიდად და წყნარად...  
 სავარძლის ხავერდს მივადე თავი და მომეძალა ფიქრების შვაგი,  
 ნავილულულდე: „რისთვის დამჩხავის? ამ შუალამით რად გამამწარა?  
 ნუთუ ის ჩემი მისანი არის? ამ შუალამით რად გამამწარა?  
 რატომ დამჩხავლა ყორანი: „არა“?!

XIII  
 ო, ყორნის სიტყვებს ვერა და ვერა, ვერ ვივინყებდი, ველავდი ჯერაც...  
 ვგრძნობდი, წყეულმა სასტიკი მზერა შიგ გულისგულში რომ გამიყარა...  
 ლამპა ბალიშებს თვალებით ჭამდა\*\*, ვთქვი: „კარგად მახსოვს, რომ  
 იჯდა მანდა  
 ის, ვინც მიყვარდა, იგი ვინც მწამდა და სამუდამოდ თვალს მიეფარა...  
 ვერ მიეყრდნობა სავარძლის ხავერდს, იგი, ვინც უკვე თვალს მიეფარა...  
 არ დაბრუნდება ის უამი, არა...“

XIV  
 ფიქრმა წამილო... ჩამთვლიმა ნუთით, აჰ, სიზმარ-ცხადში ვბორგავდი, ვწუხდი,  
 სერაფიმების დაჰქროდა გუნდი და შუბლზე ოფლი მდიოდა ღვარად.  
 შევძახე ჩემს თავს: „აი, მიზანი! სულელი, ნუთუ ვერ შეიცანი:  
 ღმერთი საამო შარბათს გიგზავნის, მას დაგავინყებს, ვინც შეგაყვარა...  
 შესვი შარბათი! – ის დაგავინყებს შენს ლინორს, თავი ვინც შეგაყვარა...“  
 დაიყრანტალა ყორანი: „არა!“

XV  
 შევძახე ფრინველს: „კრულ იყავ, კრული! შენ – ფრინველი ხარ, თუ მაგნე სული?!  
 თუ ქვესკნელიდან, ხარ ამოსული, გთხოვ, დაუბრუნდე ქვესკნელს და ნკვარამს!  
 თუ ხარ მისანი, მითხარ, უდაოდ, ოდეს დავტოვებ მე ამ უდაბნოს  
 და დავსახლდები იქ სამუდამოდ, შევბას თუ ვპოვებ ედემის კარად?  
 თავდავინყების შარბათს ვიპოვი? იქ, გალაადში, ედემის კარად?  
 დაიყრანტალა ყორანი: „არა!“

XVI  
 შევძახე ფრინველს: „კრულ იყავ, კრული! შენ ფრინველი ხარ, თუ მაგნე სული?  
 თქვი: ჩემს წამებას, აქვს დასასრული? მეც და შენც უფლის ნათელი გვფარავს...  
 თუ მისანი ხარ, მითხარი მაშინ: ბედის სამანებს გავცდები საშიშს?  
 გადავხვები? – ედემის ბაღში იმ წმინდა ასულს, თვალეცისკარას?  
 ანგელოზები რომ ეძახიან: „ლინორს“, – იმ ასულს თვალეცისკარას?“  
 დაიყრანტალა ყორანი: „არა!“

XVII  
 ვთქვი: „ფრინველი ხარ, თუ თავად ეშმა, დე ჩაგიტანოს წვიმამ და თქემმა  
 იქ, პლუტონიის ცივ სამეფოში, რომელსაც ღამის წყვილადი ფარავს...“  
 ნელა შეირხა, და გაიზმორა... მე კი მრისხანედ შევძახე ყორანს:  
 „ბურტყელიც არ დაგრჩეს აქ, მოსაგონრად მაგ ცრუ სიტყვების... გაფრინდი ჩქარა!  
 და მოაშორე ჩემს გულს ნისკარტი, მომწყდი თავიდან, მომშორდი ჩქარა!...“  
 დაიყრანტალა ყორანი: „არა!“

XVIII  
 და ის ყორანი, მას შემდეგ ასე, ზის პარმალს ზემოთ, ქანდაკის თავზე,  
 გაშეშებული, ნაღველით სავსე და დუმს მთვლემარე დემონის დარად.  
 ლამპის მკრთალ შუქში, კუშტი, დიდგული, ჩანს იატაკზე მისი ფიტული...  
 იმ აჩრდილიდან, ოჰ, ჩემი სული, ვინც ნუთისოფელს ბედმა გაჰყარა,  
 სამარადისოდ ფერფლად ქცეული, ვინც ნუთისოფელს ბედმა გაჰყარა,  
 არ წამოდგება არასდროს, არა!..

# ორი თარგმანი

# ყმზანო

1

ერთხელ, ზამთრის ბნელი ღამით, ვკითხულობდი წიგნს და წამით ძილმა თვალი წამიტიყუა მწარე დარდით გულდასერილს...  
 უცებ კარზე კაკუნს ვისმენ... განმეორდა ეს ხმა ისევ...  
 „სტუმარია“, – ვთქვი მე მყისვე, – მოენატრა სითბო, ჭერი...  
 ალბათ ვინმე მგზავრი არის, მოენატრა სითბო, ჭერი...  
 მგზავრი, მეტი არაფერი.

2

თვე: დეკემბრის ცივი, მრუმე. დაღვრემილი ვუმზერ ღუმელს, სველ იატაკს ეფინება ბუხრის ალი, როგორც ფარჩა...  
 ვნატრობ დილის გათენებას... დამეკარგა მოსვენება,  
 მისი სახე მეჩვენება, ვინაც ჰგავდა ცისკარს, მარჯანს,  
 ვისაც „ლინორს“ ეძახიან ანგელოსნი, და ჰგავს მარჯანს,  
 აქ კი კვალიც რომ არ დარჩა.

3

ჩემს წინ ძონისფერი ფარდა უცნაურად აშრილდა,  
 ჟრუანტელმა დამიარა, აღარ მადევს კაცის ფერი...  
 რომ დავძლიო გულში შიში, თავს ვიმშვიდებ გასაჭირში,  
 ვთქვი: „რას მარგებს აქ ვიშვიში, სტუმარია, განა მტერი,  
 ალბათ უცხო მგზავრი არის, მგზავრი ვინმე, განა მტერი,  
 მგზავრი, მეტი არაფერი.

4

„ვინც არ უნდა იყოთ მანდა, მომიტყევთ, „სერ“ თუ „მადამ“, –  
 მივაძახე უცხო სტუმარს, – „გალოდინეთ, ალბათ, ბევრი...  
 მომერია უცებ ძილი და კაკუნი ჩუმი, ფრთხილი,  
 ვერ გავიგე, ვარ დაღლილი... ჭრიალებენ დარაბები...“  
 ვალბ კარს და: მოჩანს ღამე (ჭრიალებენ დარაბები...),  
 ღამე, მეტი არაფერი.

5

შევცქეროდი ღამის წყვილად... ჯერ არავის განუცდია  
 ის, რაც მაშინ განვიცადე დაზაფრული გულის ძვერით.  
 „ლინორ!“ – მწარედ დავიძახე, ხოლო ექო იმ ნაზ სახელს  
 იმეორებს, სიმებს არხევს, ექო, ჩემთან მონაფრენი...  
 „ლინორ!“ – ექო იმეორებს შორეთიდან მონაფრენი.  
 „ლინორ!“ – მეტი არაფერი.

6

დავუბრუნდი კვლავ ჩემს ოთახს, გული ჩემი წუხს და შფოთავს,  
 კვლავ კაკუნი ისმის კარზე, როგორც ბედის განაჩენი...  
 და ვთქვი მაშინ: „ალბათ ქარი, აკაკუნებს აბუზარი...  
 ქარის ხმა უეცარი, შორი გზიდან მონაბერი...  
 დიახ, ქარი აკაკუნებს შორი გზიდან მონაბერი...“  
 ქარი, მეტი არაფერი.

7

ფარდის გადანევა მინდა და ყორანი გამოფრინდა...  
 და შხუილით ჩამიქროლა და ფრთებს იქნევს გამძაფრებით.  
 უცნაურად თავს იფასებს და ათენას ქანდაკს თავზე  
 დაასკუპდა და ზის ასე, მაცნე ავი ბედისწერის...  
 ზის, ვით „ლორდი“, ანდა „ლედი“, მაცნე ავი ბედისწერის...  
 ზის და მეტი არაფერი.

8

მედიდურად ჩემს წინ რომ ზის შავი, როგორც აბანოზი\*,  
 ღიმილსა მგვრის, თუმც ჩემს გულში დარდს და ნაღველს ვერა ფარავს.  
 ვუბნები ყორანს ასე: „აღარ შეგჩა თმები თავზე,  
 მაგრამ მაინც თავს იფასებ, თავხედო და მეტიჩარავ,  
 იქ, პლუტონის სამეფოში, თქვი, რა გქვია, მეტიჩარავ?...“  
 ყორანი კი ჩხავის: „არა“.

9

თქვა ეს სიტყვა ისე ნათლად, რომ სასწაულს ჰგავდა, მართლაც,  
 „მაგრამ აზრი აღარა აქვს მის ამ ბუჟუტურს“, – ვთქვი მე მყარად.  
 არის მაინც საკვირველი, რომ ეწვიოს კაცს ფრინველი,  
 შავი, უშნო, საშინელი, თან მელოტი, თან ჭალარა...  
 ფრინველი თუ რაღაც მხეცი, თავხოტორა, და ჭალარა...  
 და იმ უჟუმურს ერქვას: „არა“.

10

მეტი არაფერი მითხრა და ყორანმა იმ ერთ სიტყვას  
 თითქოს სული გააყოლა, თქვა და თავი ძირს დახარა...  
 ხმას არ იღებს, თითქოს ძინავს, მივაძახე: „ვინ ხარ, ვინა?  
 შენც დატოვებ ხვალ ჩემს ბინას ჩემი მეგობრების დარად...  
 ხვალ შენც ჩემგან გაფრინდები ძველი იმედების დარად...“  
 ყორანი კი ჩხავის: „არა“.

11

ამივარდა უცებ თავში სიტყვა მისი და ვთქვი მაშინ:  
 „ალბათ ყორნის საწყალ პატრონს, ვინც ცხოვრებამ გაამწარა  
 და ადგამდა ეკლის გვირგვინს, ბევრჯერ დასცდა სიტყვა იგი,  
 უიმედო და სასტიკი... წარმოსთქვამდა წარა-მარა...  
 და ყორანმაც შეითვისა, რაც ესმოდა წარა-მარა,  
 ერთადერთი სიტყვა: „არა“.

12

ხმას არ იღებს, ზის ჩემს წინა და მე ისევ გამეცინა...  
 და ფიქრებში ჩავიძირე მეოცნებე კაცის დარად...  
 სავარძელში ჩავრგე თავი, ვფიქრობ: „ნეტავ, რას დამჩხავის  
 ეს ფრინველი, მავნე, ავი, თავხედი და ლაზღანდარა?  
 რისი თქმა სურს, რას მიქადის თავხედი და ლაზღანდარა?  
 და რას ნიშნავს მისი „არა“?

13

დუმს ყორანი და მეც ვდუმვარ და შევცქერი უცხო სტუმარს,  
 ვგრძნობ, წყეულმა ცხელი მზერა შიგ გულში რომ გამიყარა...  
 თვალებით ნთქავს ღამა ბალიშს\*\*... გამიფრინდა მე იღბალი...  
 მახსოვს მისი სახე მკრთალი... ის აქ იჯდა მშვიდად, წყნარად...  
 ან ვერასდროს მიეყრდნობა ის ამ ხვერდს მშვიდად, წყნარად...  
 არ მოხდება ასე, არა!

14

მომეჩვენა, თითქოს აქვე: სერაფიმი გუნდრუკს აკმევს...  
 რბილ ფარდაზე თავდახრილნი, ანგელოსნი დგანან ჯარად...  
 შევუძახე ჩემს თავს მაშინ: „უფალი წყვეტს შენს ბედს ცაში  
 და გიგზავნის შარბათ-ჰაშიშს, შენი გულის გასახარად...“  
 ლინორს მალე დაგავინწყებს შენი გულის გასახარად...  
 ყორანი კი ჩხავის: „არა“.

15

„ვინ ხარ-მეთქი, ოდითგანვე: ფრინველი თუ სული მავნე?  
 აქ რა წყვილია ჩამოჰყვევი, რა ქარბუქს და სასტიკ არავს?  
 როს დანყვევილ ამ უდაბნოს გავეყრები სამუდამოდ,  
 სანუკვარი და საამო მიღმიეთი დამიფარავს?  
 შვებას მომგვრის გალაადი და ბალზამით დამიფარავს?“  
 ყორანი კი ჩხავის: „არა“.

16

„ვინ ხარ-მეთქი, ოდითგანვე: ფრინველი თუ სული მავნე?  
 ცას გაფიცებ, ღმერთს გაფიცებ, ვისი დიდი მადლი გვფარავს,  
 მეც ვენვევი ედემს ოდეს, თქვი, რა უნდა მიხაროდეს,  
 მას, ვის გამოც გული ჰგოდებს, იმ წმინდა სულს თვალცისკარას,  
 ჩავეხვევი? ედემ-ბალში ვნახავ ლინორს თვალცისკარას?“  
 ყორანი კი ჩხავის: „არა“.

17

მივაძახე: „ეს რა მესმა, ფრინველო თუ თავად ეშმაგ!  
 გამეცალე, დაუბრუნდი ქვესკნელსა და ღამის წკვარამს!  
 აქ არ დაგრჩეს ბურტყლი შენი, როგორც მაცნე, ავი „ძღვენი“  
 მაგ ცრუ სიტყვის, დამეხსენი, გამეცალე-მეთქი, ჩქარა!  
 ჩემს გულს ბრჭყალი მოაშორე და მოსცილდი ჩემს სახლს ჩქარა!...“  
 ყორანი კი ჩხავის: „არა“.

18

და მას აქეთ, პარმალს ზემოთ, ზის და მოჰგავს პირქუშ დემონს,  
 სადღაც შორეთს იმზირება, მომწუსხავი მზერით მზარავს...  
 გაუტკებება ზოგჯერ ძილი... ღამის შუქზე მისი ჩრდილი  
 იატაკზე განფენილი, მოედება ფარდას ღვარად...  
 იმ ჩრდილიდან ჩემი სული, მოლაპლაპე ცეცხლის ღვარად  
 არ აღსდგება, ანი, არა!

### თარგმნა ბაბრატ ბაღიძე

\*არც ერთ მთარგმნელთან „აბანოზი“ არ ფიგურირებს, არადა არის დედანი: „Then this eboni“.

\*\* ცოტა უცნაური „სახე“ კი არის, მაგრამ ასეა დედანში: „ღამა თვალებით ჭამდა ბალიშს“. ამ „მეტაფორას“ გვერდს უვლის ყველა მთარგმნელი. დამინტერესა, თუ როგორ მოიქცნენ რუსი მთარგმნელები. აღმოჩნდა, რომ მათაც უთარგმნელად დაუტოვებიათ ზმნა „gloated“ („თვალებით ჭამდა“). შეიძლება ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ჰქონდეს, მაგრამ ვამჯობინე ფრაზა ისე ამეწყო, როგორც დედანშია და არა „შუქის ციმციმი“. „შუქის ფრქვევა“, „შუქის ციაგი“ და მისთანანი, რაც სულაც არ არის ის, რაც დედანშია (მთარგმნ.).

